http://www.tsu.ge/newspaper

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

მე-7-8 გვ.

როგორც სიტყვით, ისე საქმით იბრძოდნენ იმისთვის, რომ ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტი ცრუ მეცნიერებისთვის ხელში არ ჩაეგდოთ

ალმა მატერ

უნივერსიტეტი

8 თებერვალი, ორშაბათი, 2010 წ. №1 (2097)

უნივერსიტეტი მუდამ უფრთხილდება თაობათა შორის კავშირს

მინდა ყველა უნივერსიტეტელს, უნივერსიტეტელთა ყველა თაობას მივულოცო პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსების დღე! უნივერსიტეტი საქართველოსთვის არასოდეს ყოფილა რიგითი აკადემიური დაწესებულება. ქართულ ეკლესიასთან ერთად უნივერსიტეტმა გადაარჩინა ქართული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობის იდეა.

დღეს ჩვენი უნივერსიტეტი ახალი გამოწვევების წინაშე დგას! ერთადერთი, რაც არ იცვლება, არის ის, რომ ჩვენ ვართ პირველი ქართული უნივერსიტეტი — ამ განწყობას, დამოკიდებულებას, განსაკუთრებულ მოლოდინს, რასაც ჩვენს უნივერსიტეტს უკავშირებს ქართული საზოგადოება, სტუდენტი, მისი მშობელი, გამორჩეულად გრძნობს ჩვენი პროფესურა. ძალიან ბევრი ცვლილება ხდება უნივერსიტეტში... მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა ვუთხრა აკადემიურ საზოგადოებას იმისთვის, რომ ამ მტკივნეული ცვლილებების პროცესს მოთმინებითა და გაგებით ეკიდება, რაც უდავოდ აღნიშვნის ღირსია. ამას განსაკუთრებით ხაზს ვუსვამ, რადგან თუ ჩვენ გვინდა ვიყოთ კონკურენტუნარიანი, ევროპული სტილის უნივერსიტეტი, ამ ცვლილებებსა და გამოწვევებს სხვა ალტერნატივა არ აქვს.

ჩვენ გვყავს საუკეთესო სტუდენტობა. მიხარია, რომ საქართველოში პირველ ქართულ უნივერსიტეტს სტუდენტთა საუკეთესო ნაწილი ირჩევს, რაც გვავალდებულებს — დავაკმაყოფილოთ მათი მოლოდინი, რათა სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო გარემო და მათზე ორიენტირებული კვლევები გვქონდეს, ამ თვალსაზრისით კი, ზოგადად, უნდა ვიყოთ ევროპული უნივერსიტეტი. ჩვენ ყველანი კარგად ვაცნობიერებთ იმ გარემოებას, რომ იქ, სადაც უნივერსიტეტია, რეალურად შემდგარია სახელმწიფოც... თანამედროვე ევროპაც ხომ შუა საუკუნეების ევროპაში ახალი უნივერსიტეტების დაფუძნებით შედგა. ანალოგიურად შეიძლება ითქვას, რომ ახალი ქვეყანა, ახალი საქართველო იწყება სწორედ ახალი უნივერსიტეტით, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათლების მქონე ახალგაზრდობით... ამავე დროს, ჩვენ გვინდა, უნივერსიტეტის სამომავლო პერსპექტივები დავინახოთ იმ დიდი სიმაღლეებიდანაც, რაც იმთავითვე ჩვენს უნივერსიტეტს საფუძვლად დაუდეს დიდმა ქართველმა მეცნიერებმა. ივანე ჯავახიშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დააარსა, როგორც ევროპული უნივერსიტეტი და დღეს, ჩვენ კვლავ ვუბრუნდებით ევროპული განათლების ორბიტას, რომელსაც, სამწუხაროდ, მე-20 საუკუნის დასაწყისში, ბედის უკუღმართობის გამო, მოსწყვიტეს.

უნივერსიტეტი, ტრადიციულად, მუდამ უფრთხილდებოდა და უფრთხილდება თაობათა შორის კავშირს. უნივერსიტეტის დაფუძნების დღეს ღვაწლმოსილ პროფესორებს ჩვენ საზეიმოდ მივანიჭებთ ემერიტუსი პროფესორის წოდებას — ეს არის ყველაზე უმაღლესი წოდება, რაც განსაკუთრებული დამსახურების გამო ენიჭება უნივერსიტეტის გამორჩეულ პროფესურას. ჩვენ არა მარტო გამორჩეულად აღვნიშნავთ მათ ღვაწლს უნივერსიტეტის წინაშე, არამედ, ასევე, მინდა აქცენტი გავაკეთოთ იმაზეც, რომ უნივერსიტეტმა

ყოველთვის უნდა გააერთიანოს თაობები, გააერთიანოს ცოდნა — ძველი და ახალი... მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ასეთ დამოკიდებულებას მუდმივად უნდა გავუფრთხილდეთ, რაც, ცხადია, უნივერსიტეტის სულისკვეთებას და ტრადიციას აყალიბებს.

გიორგი ხუბუა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

გისურვებთ წარმატებებს და მრავალი ნიჭიერი თაობის აღზრდას!

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს გილოცავთ წმიდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს! სიმბოლურია, რომ 92 წლის წინ, უნივერსიტეტი დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, 8 თებერვალს დაარსდა და იმ დროისათვის მთელს კავკასიაში პირველი და ერთადერთი უნივერსიტეტი იყო.

ხარისხიანი უმაღლესი განათლების არსებობა ქვეყნისთვის პრიორიტეტულია. ამ მხრივ, უმნიშვნელოვანესია სახელმწიფო უნივერსიტეტის როლი და თქვენს მიერ განხორციელებული სასწავლო პროგრამები, რაც თქვენს როლს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთერთი საუკეთესოა. გისურვებთ წარმატებებს და მრავალი ნიჭიერი თაობის აღზრდას.

პატივისცემით,

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

დიმიტრი შაშკინი

უნივერსიტეტის დაარსებიდან 92 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები

8 თებერვალს თსუ-ში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 92 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში უნივერსიტეტის პანთეონში უნივერსიტეტის დამფუძნებელთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი აღევლინება. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები ყვავილებით შეამკობენ მათ საფლავებს. ამ დღის აღსანიშნავად მოეწყობა გამოფენა — „უნივერსიტეტი გუშინ, დღეს, ხვალ...“. ამ ღონისძიებას ორგანიზებას თსუ-ის მუზეუმი უწევს, გამოიფინება უნივერსიტეტის მშენებლობის ამსახველი ფოტო-მასალა. მომდევნო ეტაპზე სტუმრებს ივანე ჯავახიშვილის ხელით დაწერილი წესდების გაცნობის საშუალება ექნებათ. გამოიფინება თსუ-ში პირველი დამსახურებული პროფესორის ალექსანდრე ცაგარელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოები.

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა საგამოფენოდ წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ ხელნაწერებს, რომლებიც შესწავლას საჭიროებენ. ხელნაწერთა შორისაა: წიგნი აღსარებისა; ორბელიანი, საბა–სულხან – წიგნი სიბრძნე სიცრუის თქმული სულხან ორბელიანოვის ზღაპარნი თვისი ზნეობითისა სწავლისა; ორბელიანი, საბა–სულხან – წიგნი სიბრძნე სიცრუისა ნათქვამი სულხან ორბელიანისა ჟამსა სიჭაბუკევისა მისისა; გაბრიელ მცირე – ღვთივ შვენიერი თხრობანი სულისა ფრიად სარგებელი წელსა ეწოდების გვირგვინი 1701 წელი; ქართული საწერი დედანი; კარაბადინი; პარაკლისი; მოთხრობანი; რუსთაველი შოთა – ვეფხისტყაოსანი 1839 წელი; იოანე ჭიმჭიმელი – თარგმანებაი წმინდისა ევანგელიისა 1782 წელი.

ამავე დღეს, თსუ-ის 12 ემერიტუს პროფესორს საზეიმოდ გადაეცემათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლები.

თაობები

მე-11-14 გვ.

საზოგადოების მხრიდან გამოწვევების პასუხად თსუ-ის რექტორმა 2009 წლის ანგარიში წარმოადგინა

მე-3, 19 გვ.

8 თებერვალს ემერიტუს პროფესორებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლები საზეიმოდ გადაეცემათ

მე-4-6 გვ.

თენგიზ ცერცვაძე: ავადმყოფობა ჩემთვის საინტერესო შემთხვევაა, რომელიც უნდა ამოხსნა და დაამარცხო

მე-9-10 გვ.

მოგონებები უნივერსიტეტის დამფუძნებელთა შესახებ

მე-15-16 გვ.

ოთარ ჩხეიძის სახელობის სტიპენდიატი წელს ანა ბაქანიძე გახდა

მე-18 გვერდზე

ბრძანება №03/01-01

21.01.2010

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორთა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 34-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის 490 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ 16-ე მუხლის მე-2 პუნქტის, აკადემიური საბჭოს 2008 წლის 28 მაისის 91 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 30 მაისის 13 სხდომის გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ“ მე-4, მე-6, მე-11, მე-15 მუხლების, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის დამტკიცების შესახებ“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის 2009 წლის 13 ნოემბრის 215/02-01 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ- პროფესორთა ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად;

2. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე 2 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან დოქტორანტი;

3. კონკურსი გამოცხადდეს 2010 წლის 21 იანვარს, დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2010 წლის 22 თებერვლიდან 2010 წლის 9 მარტამდე, კონკურსი ჩატარდეს საბუთების მიღების დასრულებიდან არანაკლებ 1 და არაუგვიანეს 2 თვის ვადაში;

4. კონკურსი ცხადდება იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორთა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ მიმართულებებზე:

სისხლის სამართლის მიმართულება – 2 საშტატო ერთეული;

სამართლის მეთოდების მიმართულება - 1 საშტატო ერთეული;

5. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე ხელფასი განისაზღვრება თვეში არანაკლებ 675 (ექვსას სამოცდათსუთმეტი) ლარით;

6. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) სამოტივაციო წერილი;

7. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე, 2010 წლის 22 თებერვლიდან 2010 წლის 9 მარტამდე. თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზ. 3 (II კორპუსი) 1 სართული (იურიდიული ფაკულტეტის კანცელარია) ოთახი 117;

8. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“ და განთავსდეს თსუ-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი *გ. ხუბუა*

თსუ-ის გამომცემლობა 2009-2010 წლებში გამოცემული წიგნების გამოფენას აწყობს

8 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ-ის გამომცემლობა 2009-2010 წელს გამოცემული ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნების: „ხევსურული პოეზია“, „სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი“, „ფსიქოლოგია და ცხოვრება“, „შიდა ქართლი უძველესი წარსულიდან“, „ბიოგეოგრაფია“ და „ივირონის აქტები“ გამოფენას მოაწყობს. მათი ნაწილი თურქეთშია დაბეჭდილი, ნაწილი კი — საქართველოში.

ნატო ოგოლაძე

„ხევსურული პოეზია“ პირველად 1931 წელს დაიბეჭდა. ეს გახლავთ ფოლკლორისტული, ლიტერატურათმცოდნეობითი და ლინგვისტური კვლევის კლასიკური ნიმუში, რომელიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

სამოციქულო სიმფონია-ლექსიკონის მეცნიერულ შედგენა-გამოცემას XX საუკუნის 40-იან წლებში აკაკი შანიძემ ჩაუყარა საფუძველი. მან 1944 წელს დაურთო სიმფონია უძველეს წერილობით ძეგლს „ხანმეტ ლექციონარს“, ხოლო 1946 წელს გიორგი მთაწმინდელის „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრების“ ტექსტზე დართულ ლექსიკონში პირველად გაატარა გრამატიკული ინდექსების სისტემა. მისივე რედაქციით 1948-1949 წლებში გამოიცა „ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი“, რომელიც შეადგინა ივანე იმნაიშვილმა. 1956 წელს აკაკი შანიძემ დაბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია.

„სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი“, რომელიც თსუ-ის გამომცემლობამ დასაბეჭდად მოამზადა, შეიძლება ითქვას, პირდაპირი გაგრძელებაა „ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონისა“, იგი მოიცავს მთელ არსებულ მასალას და სრულყოფილად წარმოადგენს ახალი აღთქმის ქართული რედაქციის მთელ ლექსიკურ თუ გრამატიკულ მრავალფეროვნებას.

სიმფონია-ლექსიკონი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და იუდეისა და სამარიის აკადემიური კოლეჯის თანადგომით დაიბეჭდა. მას წინ უძღვის კორნელი დანელიას და ქ-ნი ლელი ბარამიძის საკმაოდ ვრცელი წინასიტყვაობა.

„სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი“ სიმფონიასთან ერთად განმარტებითი ლექსიკონიც გახლავთ, რომელშიც შეძლებისდაგვარად ამომწურავადაა მოცემული სიტყვის ძირითადი თუ მეორეული (კონტექსტური) მნიშვნელობა და წარმოდგენილია შესაბამისი ტექსტური დამოწმებები.

2009 წელს თსუ-ის გამომცემლობამ „ივირონის აქტების“ ოთხტომეულიც გამოსცა, რომელიც ათონის მთაზე, ივირონის ტაძარში დაცული აქტების ერთობლიობაა და ფრანგულიდან ცისანა ბიბილეიშვილმა თარგმნა.

8 თებერვალს გამოფენაზე, ასევე, წარმოდგენილი იქნება არნოლდ გეგეჭკორის „ბიოგეოგრაფია“ და ოთარ ჯაფარიძის „შიდა ქართლის უძველესი წარსულიდან“. არნოლდ გეგეჭკორის სახელმძღვანელოდ განკუთვნილი მონოგრაფია ყურადღებას იპყრობს იმითაც, რომ მასში გამოყენებულია ავტორის მიერ გადაღებული უნიკალური ფოტოსურათები.

რაც შეეხება ოთარ ჯაფარიძის ნაშრომს, მასში განხილულია შიდა ქართლის ჩრდილო ზოლში მიმდინარე პროცესები ძვ. წ. II ათასწლეულში და არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით გამოკვლეულია ჩრდილოეთიდან სამხრეთით მოსახლეობის მიგრაციის პროცესები. ოთარ ჯაფარიძის გამოკვლევა უაღრესად აქტუალურია თანამედროვე ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენების კონტექსტში.

„წიგნების ნაწილი უკვე გაყიდვაშია და ყველა მსურველისთვის ხელმისაწვდომია. ზოგადად, ჩვენი გამომცემლობის პრიორიტეტია, გამოვცეთ რაც შეიძლება მეტი სახელმძღვანელო და მაქსიმალურად გავუადვილოთ სტუდენტებს სწავლის პროცესი. ვთანამშრომლობთ ჩვენს პროფესორ-მასწავლებლებთანაც, რათა დავბეჭდოთ ნათარგმნი სახელმძღვანელო ლიტერატურა. ამ მხრივ აღსანიშნავია ფილიპ ზიმბარდოსა და რიჩარდ გერიგის „ფსიქოლოგია და ცხოვრება“, რომელიც, ძირითადად, გათვლილია სტუდენტებზე, თუმცა იგი ფართო მკითხველისთვისაც არის საინტერესო. „ხევსურული პოეზია“, რა თქმა უნდა, სახელმძღვანელო არ გახლავთ, მაგრამ ფოლკლორისტიკით დაინტერესებულთათვის ფასდაუდებელი საკითხავი ლიტერატურაა. „სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი“ კი მეტად მნიშვნელოვანია ბიბლიისტიკის საკითხების შესწავლისას. მზადების პროცესშია „პოლიტიკურ მეცნიერებათა ახალი სახელმძღვანელო“, რომელიც ოქსფორდის უნივერსიტეტის მიერ არის გამოცემული. მისი სამეცნიერო რედაქტორია მალხაზ მაცაბერიძე“, – განაცხადა თსუ-ის გამომცემლობის მენეჯერმა მარიკა ერქომაიშვილმა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის ხელმძღვანელობას გარკვეული სტრატეგია აქვს შემუშავებული. მათ თავის ერთ-ერთ პრიორიტეტად სახელმძღვანელოებისა და კლასიკად ქცეული რარიტეტული ქართული სამეცნიერო წიგნების მოძიება და ხელახალი გამოცემა მიიჩნიეს, რომელიც როგორც სამეცნიერო წრეებისთვის, ასევე, დაინტერესებული მკითხველისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიცავს.

აკაკი შანიძის „ხევსურული პოეზია“ უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა

აკაკი შანიძის უზარმაზარ მეცნიერულ მემკვიდრეობაში მის ნაშრომს „ხევსურულ პოეზიას“ გამორჩეული ადგილი უჭირავს. „ხევსურული პოეზია“ პირველად 1931 წელს დაიბეჭდა. ამ წიგნის ხელმეორედ გამოცემის იდეა მაშინ გაჩნდა, როდესაც თსუ-ის გამომცემლობა ახალი კადრებით შეივსო. ამ ნაშრომის ხელმეორედ გამოცემაზე მუშაობა დაწყებული ჰქონდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტსაც. „ხევსურული პოეზიის“ მეორე გამოცემა ზუსტად მიჰყვება პირველს, თუმცა გასწორებულია ბეჭდვის შეცდომები, ე.წ. გაფრენილი სტრიქონები და მსგავსი ხარვეზები... მნიშვნელოვანია ისიც, რომ ახალ გამოცემაში წიგნის სამეცნიერო რედაქტორმა, ქალბატონმა მზექალა შანიძემ, გაითვალისწინა შენიშვნები, რომლებიც თავად აკაკი შანიძის ხელით იყო მიწერილი მისივე სამუშაო ეგზემპლარში. შეცვლილია წიგნის ვიზუალური მხარეც. გამომცემლობა შეეცადა ზუსტად შეენარჩუნებინა აკაკი შანიძისეული გამოცემა და ამავე დროს წიგნისთვის მიენიჭებინა თანამედროვე იერ-სახე, რისთვისაც მისი გარეკანი და კორპუსი ხევსურული ორნამენტებით გაფორმდა. იმედია, ახალი გამოცემა კვლავ გაუღვიძებს მკითხველ საზოგადოებას – განსაკუთრებით ახალგაზრდობას – ინტერესს ქართული ხალხური მხატვრული ფოლკლორისადმი.

ნინო კაკულია

„ხალხური პოეზიის სიმშვენიერესა და დიდ მნიშვნელობას ბევრი გრძნობდა ჩვენში, ბევრი კრებდა და ზოგჯერ აქვეყნებდა კიდეც ნიმუშებს სხვადასხვა კუთხიდან, მაგრამ მაინც ცოტაა გაკეთებული ამ დარგში და, რაც გაკეთდა, ისიც გაფანტულია სხვადასხვა გამოცემაში, ძნელი მისაწვდომია ყველასათვის და ამის გამო დასაფასებლადაც ძნელია. კერძოდ, მთაც იქცევდა ამ მხრით ყურადღებას და იზიდავდა მუშაკებს, რომლებიც ხალისით და ზოგჯერ დიდი სიყვარულითაც ეკიდებოდნენ ამ საქმეს, მაგრამ ყველა ეს შეკრებილი ლექსები მხოლოდ შავი მასალაა, რომელსაც შემოწმება, შედარება და მეცნიერული დამუშავება ეჭირება, რომ შესაძლო გახდეს მათი სათანადოდ მოხმარება და გამოყენება.

ამ მიზნით განვიზრახე, რომ რევიზია მეყო და თავი მომეყარა პირველად მთელი მასალისთვის, რომელიც საქართველოს ერთ კუთხეს შეეხება, მთას, შემევსო ძველი ფონდი ჩემ და სხვათა მიერ ახალ-ჩანაწერი ნიმუშებით, დამერთო სათანადო ახსნა-განმარტებანი და ლექსიკონი და ამგვარად შემოწმებულ-გაცხრილული, გამართული და დალაგებული მიმეწოდებინა მკითხველისათვის, როგორც სანდო მასალა და ამით საფუძველი დამედო ხალხური პოეზიის მეცნიერული გამოცემისთვის და გზა გამეკაფა ფართო და სერიოზული ფოლკლორისტული კვლევა-ძიებისათვის ჩვენში“ – წერს აკაკი შანიძე „ხევსურული პოეზიის“ წინასიტყვაობაში, სადაც კარგად ჩანს მისი მისწრაფება ხალხური პოეზიის სიღრმისეულად შესწავლისა.

„ხალხური პოეზიაო, რომ ვამბობ, ვგულისხმობ ისეთ პოეზიას, რომელიც გაჩნდა, განვითარდა და ტრიალებს სოფლის მუშა ხალხში, გლეხობაში, იმ სოციალურ წრეში, რომელიც შრომასა და ჯაფაშია და მეტწილად წერა-კითხვის უცოდინარია. ეს ის პოეზიაა, რომელიც ჩვეულებრივ ზეპირი გადაცემით ვრცელდება ერთი კაციდან მეორეზე და ძველი თაობიდან ახალზე. მისი შემნახავი და დამცველი მრავალ პირთა მეხსიერებაა და ეს არის მიზეზი, რომ მისი ფორმა და შინაარსი ცვალებადია და ადვილად ეგუება ამა თუ იმ კუთხის გემოვნებას, თუ სოციალური ფენის მიდრეკილებას“ — ასე აღწერა თავისი შთაბეჭდილება აკაკი შანიძემ, როგორც ხალხური პოეზიის თვალმარგალიტთა შემგროვებელმა და კარდაკარ მოსიარულემ. მკვლევარი კარგად ჩაწვდა, რა საერთო ჰქონდათ და რა განასხვავებდათ ქართველ ტომებს ერთმანეთისგან. „ხევსურები ბევრად განსხვავდებიან თავის მეზობლებისგან ენით, ჩაცმა-დახურვით, ზნე-ჩვეულებით, სარწმუნოებრივი შეხედულებით, თუ სხვით, მაგრამ ბევრი რამაც აერთებს მათ ფშავლებთან, თუშებთან, მოხევეებთან და მთიულ-გუდამაყრელებთან. პოეზიაში თავს იჩენს როგორც განკერძოებული და განსხვავებული, ისე საერთო ხასიათის მოვლენები“ — აღნიშნავდა აკაკი შანიძე. სწორედ ამ დაკვირვებათა შედეგად „აიკინძა“ ის პოეზია, რომელსაც მკვლევარმა თავის წიგნში მოუყარა თავი. მასში წარმოდგენილია ხევსურთა ყოფა-ცხოვრება და მეომრული ბუნება, რაც გაცხადებულია საგმირო ხასიათის სიმღერა-ლექსებში. აღსანიშნავია, რომ მასში სატრფიალო ლექსები შედარებით ნაკლები ოდენობითაა წარმოდგენილი, რადგან ამ დარგში ხევსურები თურმე ფშავლებს ჩამოუვარდებოდნენ. თუმცა სწორედ მათმა სიყვარულმა შეაძლებინა მკვლევარს იმ უზარმაზარი მასალის შეკრება და შესწავლა, რომელსაც „ხალხურ პოეზიაში“ მოუყარა თავი. ეს სიყვარული მას სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა და ქართულ საზოგადოებას ხელი-ხელთ საგოგმანებლად დაუტოვა თავისი წიგნი — საგანძური, რომელშიც, როგორც თავად აღნიშნავდა, უთვალავი მარგალიტი მოიპოვება.

***

აკაკი შანიძის „ხევსურული პოეზიის“ ახალი გამოცემის რედაქტორები არიან ქალბატონი მზექალა შანიძე და ავთანდილ არაბული, რომლებიც თავადაც მეტად არიან დაინტერესებულნი ხალხური პოეზიის პოპულარიზაციით. წიგნის და მისი ავტორის თაობაზე მათთვის ცნობილი დეტალები კიდევ უფრო ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას აკაკი შანიძის მეცნიერულ მემკვიდრეობაზე.

მე-17 გვერდზე

საზოგადოების მხრიდან გამოწვევების პასუხად თსუ-ის რექტორმა 2009 წლის ანგარიში წარმოადგინა

უმაღლესი სასწავლებლის პრესტიჟს მისი სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევების მაღალი დონე განაპირობებს. უნივერსიტეტის მიღწევებზე, სამეცნიერო პროექტების ზრდის დინამიკაზე სასაუბროდ და საზოგადოების მხრიდან გამოწვევების პასუხად რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე წარმოადგინა 2009 წლის ანგარიში, სადაც ნათლად ჩანს ის პრიორიტეტები, რომელთა მიხედვით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცდილობს, გახდეს ლიდერი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ რეგიონში. რაზე გაამახვილა ყურადღება რექტორმა და რა აქცენტებით შეეცადა საუნივერსიტეტო ცხოვრების წარმოჩენას?

ნინო კაკულია

გიორგი ხუბუა, თსუ-ის რექტორი, პროფესორი:

— უნივერსიტეტში დღეისთვის 100-ზე მეტი სამეცნიერო პროექტი ხორციელდება, ამ მხრივ, გამორჩეულია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომელიც სამაგალითო უნდა იყოს სხვა მიმართულებებისთვისაც. ეროვნულ-საერთაშორისო პროექტებს შორის უნივერსიტეტში 45 საერთაშორისო პროექტი ხორციელდება, რაც ადასტურებს ჩვენი სამეცნიერო პოტენციალის კონკურენტუნარიანობას. სამეცნიერო სკოლების ტრადიციების გაგრძელებისთვის, ასევე, მნიშვნელოვანია ახალგაზრდა მეცნიერთა მიერ განხორციელებული გრანტები და პროექტები. 2009 წელს თსუ-ში დაცულია 77 სადოქტორო ნაშრომი. თუ გავითვალისწინებთ, რომ თსუ-ში სადოქტორო დისერტაციის დაცვის პროცედურა გაცილებით უფრო გართულებულია, ვიდრე სხვა უნივერსიტეტებში (რადგან ჩვენთან დაცული დისერტაციები მაქსიმალურად უზრუნველყოფს შესრულებული ნაშრომების შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან), მაშინ დაცულ ნაშრომთა რაოდენობა შთამბეჭდავია. უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან სამეცნიერო კვლევებზე გათვალისწინებულია ბიუჯეტის 26%, მათ შორის მთელი ჩვენი ბიუჯეტის 10%-ს შეადგენს სამეცნიერო კვლევებისთვის საერთაშორისო და ეროვნული ფონდებიდან მოზიდული თანხა. სწორედ ამ სტატისტიკაზე დაყრდნობით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული ფონდებიდან მოზიდული დაფინანსების თვალსაზრისით, ლიდერია და ეს პოზიცია მომავალშიც უნდა შევინარჩუნოთ.

2008 წელს ჩატარებულ კონკურსში, რომლის შედეგებიც 2009 წელში გამოცხადდა, უნივერსიტეტის მეცნიერებმა ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან და რუსთაველის ფონდიდან 35 გრანტი მიიღეს, რაც გაცილებით მეტია ნებისმიერი სხვა სამეცნიერო ინსტიტუტის თუ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოპოვებულ გრანტებზე. ეს ნიშნავს, რომ უნივერსიტეტი არის ერთ-ერთი ლიდერი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ რეგიონში.

პროექტების წარდგენის თვალსაზრისით უდავოდ მნიშვნელოვანია ის დინამიკა, რაც ჩვენს უნივერსიტეტთანაა დაკავშირებული. მადლობა უნდა ვუთხრათ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტს, რომელმაც მინიმუმამდე შემცირდა საქართველოს ეროვნულ ფონდებში წარდგენილი პროექტების მოხსნის ფაქტი. ასევე, საამაყოა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იმპაქტ-ფაქტორის თვალსაზრისით ლიდერია საქართველოში და ამ მხრივ, სერიოზულად გამორჩევა სხვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლებისგან. ტომსონის ბაზის მონაცემებით, 2009 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მაღალი რეიტინგის გამოცემებში გამოქვეყნდა 105 სტატია. სწორედ ესაა სასიამოვნო და აუცილებელი, რომ ქართული მეცნიერების სახელი ფართოდ გავიტანოთ უცხოეთში. მინდა მადლობა ვუთხრა თითოეულ ჩვენს კოლეგას, თსუ-ის თითოეულ პროფესორს, რომელთაც ასეთი სერიოზული გამოკვლევები განახორციელეს და თავიანთი ნაშრომი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში გამოაქვეყნეს. ყველას მშვენივრად გვესმის, რამდენად მნიშვნელოვანია ამის გაკეთება, მით უფრო, რომ ჩვენს პროფესურას ნამდვილად არ აქვს ის სამუშაო პირობები, რაც დასავლეთის ბევრ წამყვან უნივერსიტეტშია; განსაკუთრებით ეს ეხება მათ, ვინც ექსპერიმენტული ხასიათის გამოკვლევებს ანარმოებს. ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ პროფესურას, უნდა წავახალისოთ ისინი და ეს მათ ხელფასებზეც უნდა აისახოს.

2009 წელს წარდგენილი პროექტებიდან, ჯერჯერობით, ჩვენთვის უცნობია, რამდენი დაფინანსდება, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ ბევრი პროექტის განხორციელების საშუალება მოგვეცემა. 2009 წლის კონკურსში, რომელიც სამეცნიერო კვლევითი აპარატურის შეძენაზე იყო ორიენტირებული, ჩვენმა უნივერსიტეტმა და ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტმა ერთობლივი პროექტი წარადგინეს და მიიღეს სერიოზული დაფინანსება. 2008 წელს ჩვენ, დაახლოებით, 1 000 000 ლარის სამეცნიერო აპარატურა შევიძინეთ მხოლოდ ერთი — ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტისათვის. იმედი მაქვს, რომ 2009 წელს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში თსუ-დან წარდგენილი პროექტების დიდი ნაწილი დაფინანსდება.

2009 წელს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის პირველი ერთობლივი კონკურსის შედეგად გამარჯვებული 3 პროექტიდან 2 („ლოგიკების სტრუქტურული და გამოთვლითი თვისებები“ და „ბაქტერიების გამრავლების სიჩქარეზე ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ზეგავლენის შესწავლა. ტურბიდიტული კვლევები“) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეკუთვნის. 2009 წელს სესფ/სსგფ – ის ერთობლივად გამოცხადებულ ბიზნეს-პარტნიორობის საგრანტო კონკურსში თსუ-დან გაიმარჯვა პროექტმა — „სამედიცინო დანიშნულების ბიოკომპოზიციები ბიოდეგრადირებადი პოლიესტერამიდების საფუძველზე“. 2009 წელს რუსთაველის ფონდის მიერ გამოცხადებულ ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალის კონკურსში ერთადერთი გამარჯვებული პროექტიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეკუთვნის. სამეცნიერო ბილინგვური ელექტრონული ჟურნალი „სპეკალი“ დაფუძნებულია უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით და სსიპ ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდის) მხარდაჭერით. ჟურნალში წარმოდგენილია დარგები: ქართველოლოგია, ლიტერატურათმცოდნეობა, ენათმეცნიერება, თარგმანმცოდნეობა.

2009 წელს თსუ-ში მიმდინარე საერთაშორისო მნიშვნელობის ექსპერიმენტული სამეცნიერო კვლევებიდან აღსანიშნავია ტოპკვარკის ფიზიკის მიმართულებით წარმოდგენილი კვლევები ATLAS-ექსპერიმენტის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ ექსპერიმენტი ATLAS-ი არის კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ფართომასშტაბიანი და ძვირადღირებული ექსპერიმენტი, რომლის შედეგებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამყაროს წარმოქმნისა და აგებულების შესახებ ცოდნის სრულყოფისთვის.

ფიზიკოსების მექას ცერნს უწოდებენ. ცერნში 40-მდე ფიზიკოსია ჩართული და, მოხარული ვარ, აქედან მათი აბსოლუტური უმრავლესობა თსუ-ის კურსდამთავრებულია.

გულდასაწყვეტია, რომ ცერნის პროექტში ქართველი მეცნიერები სხვა, საკმაოდ ცნობილი უნივერსიტეტების სახელით მონაწილეობენ, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ სამი ექსპერიმენტიდან ერთ-ერთი — ატლასის ექსპერიმენტი მთლიანად ქართველების მიერ ხორციელდება — ეს ქართული სამეცნიერო და, პირველ რიგში, ჩვენი საუნივერსიტეტო სკოლის დიდი აღიარებაა.

2009 წლის ოქტომბერში ჩვენ ვუმასპინძლეთ მე-5 საერთაშორისო კონფერენციას - „ფიზიკა მომავლის კოლაიდერებზე“. კონფერენციის მუშაობაში თსუ-ს მეცნიერ-მკვლევრებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს CERN-იდან, ქალაქ დუბნის ბირთვული გამოკვლევების გაერთიანებული ინსტიტუტიდან, აშშ-დან და სხვადასხვა ევროპული ქვეყნებიდან ჩამოსულმა მეცნიერებმა. ამ ექსპერიმენტში ქართველ მეცნიერთა მონაწილეობა თავისთავად დიდი აღიარებაა და ამასთან ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ამ პროექტში ქართველ დოქტორანტებსაც აქვთ ჩართვის შესაძლებლობა.

საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია თსუ-ში მიმდინარე პროექტი: „GRID ინფრასტრუქტურის შექმნა და მისი გამოყენება მაღალი ენერგიების ფიზიკაში“. პროექტი წარმოადგენს GRID ტექნოლოგიების საქართველოში დანერგვის ერთ-ერთ პირველ მცდელობას. ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები GRID კლასტერზე ადმინისტრატორის და G-LITE კვანძების სერტიფიკატების ასაღებად. GRID კლასტერის გაშვება 2010 წლისთვისაა დაგეგმილი. გასულ წელს ამ მიმართულებით მოსამზადებელი სამუშაოები ფაქტობრივად დასრულდა.

ნამდვილად შეგვიძლია ვიამაყოთ 2009 წელს სოფელ იგოეთთან გათხრების შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური მასალით. ასეთი ფართო მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს არასდროს უწარმოებია. გარდა ამისა, გადარჩენილია საქართველოს ისატორიისთვის უმნიშვნელოვანესი ძეგლი, მოპოვებულია დიდი საერთაშორისო სამეცნიერო მნიშვნელობის ნივთები, რომელთა შესახებ უკვე მოხსენდა შვედეთის, გერმანიის, იტალიისა და საფრანგეთის სამეცნიერო წრეებს. ამასთან, ლუვრის ლაბორატორიასთან დადებული ხელშეკრულების ფარგლებში დაიწყო კოლხეთში მოპოვებული ოქროს ნივთების ანალიზი, მათი მიკენურ ოქროსთან შედარების მიზნით. დადასტურდა, რომ კოლხური ოქროს ნივთები დამზადებულია მდინარეებში არსებული ალუვიური ოქროსაგან. ექსპერიმენტი კვლავ გრძელდება...

გარდა შვედეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, იტალიის, გერმანიისა და საფრანგეთის სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებთან წარმოებული სამუშაოებისა, უნივერსიტეტის სამეცნიერო ბაზაზე დაიწყო არქეოლოგიაში ფიზიკოსებთან ერთად უპრეცენდენტო ექსპერიმენტების სერია. მოხარული ვარ, რომ პირველად საქართველოს უნივერსიტეტების ისტორიაში საფუძველი ჩაეყარა სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენცია-კონკურსებს არქეოლოგიის დარგში. კონფერენციაზე ჩვენმა სტუდენტმა-არქეოლოგებმა კარგი შედეგები წარმოადგინეს.

აღსანიშნავია, რომ ლექციათა-სემინარების ჩასატარებლად რეგულარულად ვიწვევთ საზღვარგარეთიდან წამყვან მეცნიერებს. დაახლოებით, უცხოეთში მოღვაწე 40-ზე მეტ ქართველ პროფესორთან და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან გვაქვს მუდმივი კავშირი. ისინი თსუ-ში პერიოდულად კითხულობენ ინტენსიურ კურსებს. რისთვისაც დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მათ.

საზღვარგარეთიდან ჩამოსულ პროფესორთა ლექციების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის ბიუჯეტში სპეციალურად თანხაა გამოყოფილი. მომავალში საქართველოს მთავრობაც გვპირდებადა დაფინანსებას. ვგეგმავთ, ამ პროფესურასთან თანამშრომლობის სხვა ფორმებიც განვავითაროთ.

წარმატებულია „საბავშვო უნივერსიტეტის“ იდეა. ეს პროექტი წელია ფუნქციონირებს და უკვე ყველა ფაკულტეტი მოიცვა. ჩვენი მიზანია, ამ ფორმით ხელი შევუწყოთ მოსწავლეების პროფესიულ ორიენტაციას და უფრო გამოვკვეთოთ მათი ინტერესები. თავად ვარ მომსწრე, თუ როგორ იყო გადაჭედილი დარბაზი სკოლის მოსწავლეებით და როგორი მონდომებით უსმენდნენ ჩვენი პროფესურის ლექციებს. მნიშვნელოვანია, რომ ფიზიკის მიმართულებით, დაახლოებით, 200-მდე მოსწავლე სტაბილურად ესწრება „საბავშვო უნივერსიტეტის“ ფარგლებში გამართულ ლექციებს. ჩვენთვის მთავარია, გავააქტიუროთ კავშირი სკოლასთან, რადგან თუ სკოლაში არსებულ სიტუაციას რადიკალურად არ შევცვლით, ყოველთვის გაგვიჭირდება ადეკვატური უმაღლესი განათლების პროგრამები შევთავაზოთ და განათლება მივცეთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულებს.

აღსანიშნავია, რომ გასულ წელს უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას ჰქონდა სახელმწიფო გრანტი, ზოგიერთმა ფაკულტეტმა ყველანაირი რეკორდიც კი მოხსნა. მაგალითად, ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩარიცხული 800 სტუდენტიდან, მხოლოდ ორს არ ჰქონდა სახელმწიფო გრანტი — რაც ნიშნავს, რომ ჩვენთან სტუდენტების ყველაზე საუკეთესო ნაწილი მოდის.

სკოლებთან თანამშრომლობის მხრივ, ასევე, მნიშვნელოვანია მასწავლებელთა გადამზადების პროგრამა. სხვადასხვა მიმართულებით მომზადდა, აკრედიტაცია მოიპოვა და ამოქმედდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების 13 პროგრამა. დღეს უნივერსიტეტი ეხმარება სკოლას, რათა მასწავლებლებმა გაიღრმავონ ცოდნა თავიანთ დარგში მეცნიერების უახლესი მიღწევების საფუძველზე და იმავდროულად დაეუფლონ სწავლების თანამედროვე მეთოდებს.

სწავლების თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია უნივერსიტეტში ევროპული მეთოდოლოგიის დანერგვაც. დაიწყო კურიკულუმის რეფორმის ახალი ეტაპი — თუნინგის მეთოდოლოგიის დანერგვა, რაც თვით ევროპულ უნივერსიტეტებშიც პრინციპული სიახლეა. იგი გულისხმობს სწავლის შედეგზე, პროფესიულ და ზოგად უნარებზე დაფუძნებულ სასწავლო პროგრამებს, ანუ სტუდენტის და დამსაქმებლის ინტერესების გათვალისწინებას სწავლების პროცესში. თსუ-სთვის ერთობლივი აკადემიური ხარისხები და ინტერნაციონალიზაცია პრიორიტეტულია. მინდა, სიამოვნებით აღვნიშნო, რომ შარშან დაინერგა და ამოქმედდა ახალი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა საჯარო მმართველობაში, რომელიც ხორციელდება შპაიერის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით და ითვალისწინებს მაგისტრის ერთობლივი, ქართულ-გერმანული ხარისხის მინიჭებას. ეს ნიშნავს, რომ თსუ-ის ბაზაზე სტუდენტები იღებენ ევროპული დონის ცოდნას და ამის დამადასტურებლად - მაგისტრის ევროპულ ხარისხს, რაც არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ნებისმიერ დასავლურ ქვეყანაში დასაქმების გარანტიაა. აღნიშნული პროგრამის განხორციელებით დაინტერესდა ჩვენი მთავრობაც, რადგანაც ჩვენ ვთავაზობთ გადამზადების და პროფესიული მომზადების კურსებს უკვე დასაქმებულ სახელმწიფო მოხელეებსაც. ცოტა ხნის წინ საუბარი მქონდა განათლების მინისტრთან - დიმიტრი შაშკინთან, რომელიც გეგმავს, ამ პროგრამასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობაში სპეციალური მოხსენებით წარსდგეს.

მე-19 გვერდზე

8 თებერვალს ემერიტუს პროფესორებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლები საზეიმოდ გადაეცემათ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის სათუთად ეპყრობოდა მეცნიერთა იმ პლეადას, რომლებიც თავიანთი შრომითა და მოღვაწეობით მეცნიერების მწვერვალებს წვდებოდნენ და ქმნიდნენ ეროვნული მეცნიერების განვითარების ისტორიის ახალ ეტაპს. სწორედ ასეთი დამსახურებისთვის თსუ-ის პროფესორთა ნაწილს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით (თავი 5, მუხლი 39), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 275 დადგენილების საფუძველზე ემერიტუსის წოდება მიენიჭა, მათ შორის ,თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრულ პროფესორებს: ციური ახვლედიანს, ლილი გოქსაძეს, რუსუდან ენუქიძეს, გურამ ლორთქიფანიძეს, დამანა მელიქიშვილს, ირინე მელიქიშვილს, ნანა ფურცელაძეს, ნათელა ჭოხონელიძეს, ასევე, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სრულ პროფესორებს: დავით გორდეზიანს, თამაზ ვაშაყმაძეს, რევაზ ზარიძეს და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრულ პროფესორს მურთაზ მაღრაძეს.

ამა წლის 8 თებერვალს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 92-ე წლისთავზე, სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაში შეტანილი წვლილისათვის, ემერიტუს პროფესორებს საზეიმოდ გადაეცემათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლები. ვის რა დამსახურება და რა წვლილი მიუძღვის საუნივერსიტეტო ცხოვრებაში?

თამარ მარუაშვილი

დამანა მელიქიშვილი საერთაშორისო სახელის მქონე ფართო პროფილის ენათმეცნიერია, რომლის ფილოლოგიურ-ლინგვისტურმა ნაშრომებმა და ფილოსოფიურ-თეოლოგიურმა ძიებებმა შესამჩნევად წასწია წინ ქართველოლოგიური მეცნიერება, ისევე როგორც ძველ ენათა (ძვ. ქართულისა და ძველბერძნულის) კონტაქტების სფერო (თარგმანის თეორიითა და ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის კვლევითურთ).

წმინდა ლინგვისტიკის მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოლო წლებში გამოქვეყნებული უნიკალური მონოგრაფია „ქართული ზმნის უღლების სისტემა“ (2001), რომელიც საეტაპო მონოგრაფიაა არა მარტო ავტორის მეცნიერულ შემოქმედებაში, არამედ საერთოდ ქართული გრამატოლოგიის ისტორიაში.

წიგნმა საყოველთაო ინტერესი გამოიწვია, იგი მაშინვე ითარგმნა ორ ევროპულ (ფრანგულ, ინგლისურ) ენაზე და მალე გამოიცემა კიდეც უცხოეთში.

დამანა მელიქიშვილის საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები მიეძღვნა გელათის ლიტერატურული სკოლის უმნიშვნელოვანეს წარმომადგენელთა (მეტადრე იოანე პეტრიწის) ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ნაწარმოებთა ინტენსიურ კვლევას.

სრულიად განსაკუთრებულია დამანა მელიქიშვილის ღვაწლი ფილოსოფიური ტერ-

მინოლოგიის პარალელურ (ძველბერძნულ-ქართულ) შტუდიებში. ამ კომპლექსური მუშაობის შედეგად დაწერა რამდენიმე მონოგრაფია.

მათ შორის მნიშვნელოვანია: იოანე პეტრიწი, განმარტება პროკლე დიადოხოსის ღმრთისმეტყველების საფუძვლებისა (თანამედროვე ქართულზე, ლექსიკონითა და შენიშვნებით (1999 წ.); ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ისტორიიდან (1999 წ.) და სხვ. ამ ნაშრომებისთვის 2000 წელს დამანა მელიქიშვილი დაჯილდოვდა წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის პრემიით.

ათეული წლების მანძილზე დამანა მელიქიშვილმა აღზარდა მთელი პლეადა ქართულბერძნულ ფილოლოგიაში მომუშავე ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერებისა, რომლებიც ამჟამად თავადაც წარმატებით ეწევიან სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას. მისმა ნაშრომმა „ძველი ქართული თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ 2007 წელს დაიმსახურა „VTB ბანკ ჯორჯია“-ს ყოველწლიური პრემია „პარნასი“ საგანმანათლებლო დარგში.

იგი რამდენიმე პრობლემატური პროექტის ავტორი და ხელმძღვანელია.

ლილი გოქსაძე დაიბადა 1935 წელს. თსუ-ის დამთავრების შემდეგ (1957 წ.) მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში და 55-ე საშუალო სკოლაში. 1959-62 წლებში იყო თსუ-ის ინგლისური ფილოლოგიის კათედრის ასპირანტი, ასპირანტურის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1964 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „არასრულმნიშვნელობიან ზმნათა შეკვეცის საკითხი თანამედროვე სასაუბრო ინგლისურ-

ში“. არის 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 13 სახელმძღვანელოსა და 1 მონოგრაფიის ავტორი. 1993 წელს დაიცვა სადოქტორო ნაშრომი თემაზე: „კატენაციის საკითხისათვის თანამედროვე ინგლისურში“. ხოლო ნაშრომისათვის „ინგლისური ენის გრამატიკის უმაღლესი კურსი“ — 2002 წელს მიენიჭა სახელმწიფო პრემია. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 12 საკანდიდატო დისერტაცია.

რუსუდან ენუქიძემ 1957 წელს თსუ-ის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი (ინგლისური განყოფილება) დაამთავრა. 1957-1964 წლებში იყო საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებულ ანსამბლში (ხელმძღვანელი ი. სუხიშვილი, ნ. რამიშვილი) სოლისტი და თარჯიმანი. შვეიცარიაში გასტროლების დროს შეხვდა კიტა ჩხენკელს (ლოზანაში) და (ჟენევაში) გრიგოლ რობაქიძეს, რომელიც ყველა კონცერტს და რეპეტიციას ესწრებოდა. ამ შთაბეჭდილებების საფუძველზე დაიწერა მისი ცნობილი სტატია „ქართული ცეკვა - ქართული გენი“. 1963 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება.

1992-2006 წლებში მუშაობდა თსუ-ის ინგლისური ფილოლოგიის კათედრის გამგედ, ხოლო 2006 წლიდან — ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელად. 1984 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მხატვრული ქრონოტოპი და მისი ლინგვისტური ორგანიზაცია“; ხოლო 1991 წელს სადოქტორო დისერტაცია: „ლინგვისტური პრაგმატიკა და მხატვრული ტექსტის პროცესუალობა“.

1985-2000 წლებში კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ტრენინგებზე დიდ ბრიტანეთში (ლიდსის, კემბრიჯის, ოქსფორდის უნივერსიტეტები), აშშ-ში (ჩიკაგოს უნივერსიტეტი) და ავსტრიაში (ვენა) იმყოფებოდა.

1995 წლიდან - საქართველოს ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციის (ETAG) წევრი და მისი ერთ-ერთი დამფუძნებელია. 1996 წლიდან გახდა ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების (LSA) წევრი.

მისი პედაგოგიური და სამეცნიერო ინტერესების სფეროს წარმოადგენდა: ტექსტის ლინგვისტიკა, სტილისტიკა, მხატვრული ტექსტის ლინგვო-სტილისტური ანალიზი.

გამოქვეყნებული აქვს 25 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 3 მონოგრაფია, 2 სახელმძღვანელო და 20 სტატია. მისი ხელმძღვანელობით საკანდიდატო დისერტაცია დაცული აქვს 6 დისერტანტს.

ამჟამად ატარებს სალექციო კურსებს „ინგლისური ფილოლოგიის შესავალში“ და „ინგლისური ენის სტილისტიკაში“; ამასთანავე არის თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სექტორის (დასავლური ფილოლოგია) ხელმძღვანელი.

გურამ ლორთქიფანიძე დაიბადა 1938 წელს ქ. ბათუმში. 1961 წელს დაამთავრა მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი არქეოლოგიის განხრით. 1965 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე — „კოლხეთი ძვ.წ.აღ. II-I ს.ს“, რომელიც ახალი სიტყვა იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში. 1975 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: -„კოლხეთი ძვ.წ. VI-II ს.ს.“ გურამ ლორთქიფანიძე აირჩიეს საქართველოს საისტორიო საზოგადოების და ოდესის არქეოლოგიური საზოგადოების წევრად. მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებისა და კონგრესების მუშაობაში მოსკოვში, პეტერბურგში, დამასკოში, ერევანში, პრაღაში, ლონდონსა და ბერლინში.

1977 წლიდან არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის პროფესორი. 1985-2006 წლებში ხელმძღვანელობდა კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრას. პროფესორმა გურამ ლორთქიფანიძემ საფუძველი ჩაუყარა კულტურის შემსწავლელ მეცნიერებას. ამავე წლებში ხელმძღვანელობდა თსუ-ის პედაგოგ-თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტს.

წლების განმავლობაში კითხულობდა კურსებს: არქეოლოგიაში, კულტურის ისტორიასა და თეორიაში, ქართული კულტურის ისტორიაში, ბიბლიურ არქეოლოგიაში. მისი თაოსნობით დაინერგა ახალი სასწავლო კურსი: „კულტურა - ისტორიის შესწავლის ობიექტი.“ გურამ ლორთქიფანიძე ავტორია საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს — „ქართული კულტურის ისტორია - უძველესი დროიდან XIX საუკუნის პირველი ნახევარი“, რომელიც თსუ-ის პრემიით დაჯილდოვდა. ასევე, თანაავტორია სახელმძღვანელოსი — „კულტუროლოგია“.

პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე არის 9 მონოგრაფიისა და 120 სამეცნიერო სტატიის ავტორი, რომლებიც ქართულ, რუსულ, ინგლისურ, თურქმენულ, გერმანულ ენებზე ითარგმნა და გამოქვეყნდა.

2009 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, თსუ-ის საპატიო პროფესორად. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 22 საკანდიდატო და 5 სადოქტორო დისერტაცია. პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე ამჟამად მუშაობს მონოგრაფიაზე — „ბიბლიური არქეოლოგია“. არის რამოდენიმე ჟურნალის რედაქტორი და რედკოლეგიის წევრი, თსუ-ის ებრაული ლიტერატურისა და იუდაიკის კაბინეტის გამგე.

ციური ახვლედიანი დაიბადა 1942 წელს ქ. თბილისში. 1963 წელს დაამთავრა თსუ-ის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი ფრანგული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. 1963-1967 წლებში გაიარა ასპირანტურის კურსი და 1967 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „თანხმოვანთა აქცესიური კომპლექსების ფონეტიკური სუპერაცია ფრანგულ ენაში“. 1968 წელს მიენიჭა დოცენტის წოდება. 1987 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „დიაქრონიული ფონოტაქტიკა და რომანული კონსონანტიზმის პრობლემები“. 1988 წელს მიენიჭა პროფესორის, ხოლო 2009 წელს პროფესორ-ემერიტუსის წოდება.

არის ღირსების ორდენისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლის ორგზის მფლობელი.

მისი ხელმძღვანელობით დაცულია 14 სადისერტაციო ნაშრომი ფრანგული, ესპანური

და იტალიური ფილოლოგიის სფეროში.

1964-1967 წლებში იყო თსუ-ის ფრანგული ფილოლოგიის კათედრის მასწავლებელი, 1967-1987 წლებში თსუ-ის ფრანგული ფილოლოგიის კათედრის დოცენტი, 1987-1995 წლებში თსუ-ის ფრანგული ფილოლოგიის კათედრის პროფესორი, 1995-2006 წლებში თსუ-ის ფრანგული ენის კათედრის გამგე, 2006-2009 წლებში – თსუ-ის რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი. ციური ახვლედიანი არის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 4 მონოგრაფიის, 8 სახელმძღვანელოსა და მრავალი სამეცნიერო სტატიის ავტორი.

მონაწილეობდა 20-ზე მეტ საერთაშორისო კონფერენციაში: ნიუ-ორლეანი (ლუიზიანა, აშშ – 2009 წ.), როსარიო (არგენტინა - 2009 წ.), ფლორენცია (იტალია — 2009 წ.), უტრეხტი (ნიდერლანდები — 1983 წ.), ბუქარესტი (რუმინეთი— 2008 წ.), ბათუმი (საქართველო — 2009 წ.), ქუთაისი (საქართველო — 2009 წ.), თბილისი (საქართველო — 2009 წ.) და სხვ.

პროფესორ ციური ახვლედიანს გავლილი აქვს უმაღლესი სკოლის პედაგოგთა სტაჟირება გრენობილის სტენდალის უნივერსიტეტში (1986 წელი) და პარიზის სორბონის უნივერსიტეტში (1999 წელი).

მე-5 გვერდზე

8 თებერვალს ემერიტუს პროფესორებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლები საზეიმოდ გადაეცემათ

მე-4 გვერდიდან

ციური ახვლედიანი მუშაობდა ქუთაისისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებში მიწვეული პროფესორის სტატუსით, რადგან აღნიშნულ უნივერსიტეტებს პროფესორი არ ყავდათ და ვერ ხსნიდნენ მაგისტრატურის განყოფილებას. იქ მოღვაწეობის პერიოდში მისი ხელმძღვანელობით დაცულია საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

ირინე მელიქიშვილი დაიბადა 1943 წელს ქ. თბილისში. 1960-1965 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიური ენების განყოფილებაზე.

1972 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „მარკირების მიმართება ფონოლოგიაში“, ხოლო 1997 წელს სადოქტორო დისერტაცია თემაზე — „საერთო-ქართველური ძირი სტრუქტურული და ტიპოლოგიური თვალსაზრისით“ და მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის წოდება.

1965-1981 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში. 1986 წლიდან მუშაობა გააგრძელა გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ზოგადი ფონეტიკისა და აღმოსავლურ ენათა ტიპოლოგიის განყოფილებაში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1995-2005 წლებში იყო სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართველურ ენათა კვლევის ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელი. 2000 წლიდან დღემდე მუშაობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერების და ფონეტიკის ინსტიტუტში, სადაც 2005-2006 წლებში ასრულებდა კათედრის გამგის მოვალეობას, 2006 წლიდან დღემდე სრული პროფესორია.

პროფესორ ირინე მელიქიშვილის სამეცნიერო ინტერესების სფეროს წარმოადგენს: ზოგადი და შედარებითი ენათმეცნიერება; ენათა ტიპოლოგია და უნივერსალიები; ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება, ქართველოლოგია, ფონოლოგია, მორფოსინტაქსი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტიპოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი, პროფესორი ირინე მელიქიშვილი არის 2 სამეცნიერო მონოგრაფიის: „მარკირების მიმართება ფონოლოგიაში“ და „ძირის სტრუქტურათა ტიპოლოგია და საერთო-ქართველური ძირი“-ს, ერთი სახელმძღვანელოსა და 20-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი. იგი მონაწილეობდა სხვადასხვა საგრანტო პროექტებში, საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებსა და კონფერენციებში.

ნანა ფურცელაძემ 1953 წელს დაამთავრა თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი არაბული ფილოლოგიის სპეციალობით. 1953-1956 წლებში გაიარა ასპირანტურის სრული კურსი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის აღმოსავლური ენების განყოფილებაში აკადემიკოს გიორგი წერეთლის ხელმძღვანელობით. 1962 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „მაჰმუდ თეიმურის ენის ზოგი საკითხი“. 1988 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია — „სიმბოლო-ფორმულა ძველ არაბულ პოეზიაში“. პროფესორ ნანა ფურცელაძეს გამოქვეყნებული აქვს 70-მდე ნაშრომი. მათ შორის აღსანიშნავია მონოგრაფიები „მუალაკები, ისლამამდელი არაბული პოეზია“ (1985 წ.). ამჟამად გამოსაქვეყნებლად მომზადებულია „არაბული ლიტერატურის ისტორია“, ნაკვ. I. V-VII ს.

ნანა ფურცელაძის ნაშრომები გამოქვეყნებულია თბილისში, მოსკოვში, პოლონეთში (ვარშავა), გერმანიაში (ჰალე). იგი მონაწილეობდა მთელ რიგ საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში.

ნანა ფურცელაძეს ეკუთვნის არაბული ლიტერატურის სხვადასხვა ძეგლის თარგმანი ქართულად, რომელიც ქვეყნდება გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დღემდე, მათ შორის აღსანიშნავია „მაჰმუდ თეიმურის ნოველები“ (1958 წ.), „ათას ერთი ღამე“ ტ. I, II, V, VI, რომელსაც დართული აქვს მისივე კომენტარები. ამ თარგმანისათვის მას მიენიჭა ივანე მაჩაბლის პრემია (1998 წ.) თ. მარგველაშვილთან ერთად (რომელსაც ეკუთვნის დანარჩენი ოთხი ტომის თარგმანი). ნანა ფურცელაძის მიერ თარგმნილი პოეტური ძეგლები ეკუთვნის როგორც შუა საუკუნეების, ისე თანამედროვე არაბ პოეტებს. ბოლო მისი თარგმანი გამოქვეყნდა 2009 წელს („ახალი თარგმანები“). ეს არის VI საუკუნის გამოჩენილი პოეტის შანფარას ნაწარმოები, რომელსაც ერთგვარად ბარათაშვილის „მერანს“ უკავშირებენ. გამოსაქვეყნებლად გამზადებულია მისი ნაშრომი (წაკითხული 2009 წელს უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციაზე) „რუსთაველის ზოგიერთი აფორიზმის პარალელები კლასიკურ არაბულ პოეზიაში“.

ნანა ფურცელაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობს უფროსი მასწავლებლის (1957 წ.), დოცენტის (1964 წ.), პროფესორის (1990 წ.) თანამდებობებზე. 1998-2004 წლებში ხელმძღვანელობდა არაბული ფილოლოგიის კათედრას. 2006-2009 წლებში იყო სრული პროფესორი.

ნანა ფურცელაძის ხელმძღვანელობით

შესრულდა და დაცულია რვა საკანდიდატო დისერტაცია და მთელი რიგი სამაგისტრო ნაშრომებისა.

უნივერსიტეტში სხვადასხვა დროს კითხულობდა შემდეგ კურსებს: არაბული ენა, არაბული ლიტერატურის ისტორია, თარგმანის თეორია და პრაქტიკა, არაბულიდან ქართულად თარგმნის სემანტიკური და სტილისტური პრობლემები, შუა საუკუნეების არაბული პოეტური ძეგლების სტილისტიკა, შუა საუკუნეების არაბული პროზის სტრუქტურული მოდელები. არაბული პოეზია ესპანეთში, სტროფული პოეზია ზაჯალი და მუვაშშაჰი.

ნანა ფურცელაძე დაჯილდოვებულია „ღირსების ორდენით“ (2202 წ.) და ივანე ჯავახიშვილის საპატიო მედლით (2005 წ.).

ნათელა ჭოხონელიძე დაიბადა 1940 წელს ქ. თბილისში.

1958 წელს ოქროს მედლით დაამთავრა ქ. თბილისის 66-ე საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე, რომელიც წითელ დიპლომზე დაამთავრა 1963 წელს.

1964 წელს ნათელა ჭოხონელიძემ სწავლა განაგრძო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენის 1 კათედრის ასპირანტურაში და 1967 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1968 წლიდან ნათელა ჭოხონელიძე მუშაობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვადასხვა თანამდებობებზე: უფროსი ლაბორანტი, მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი, სლავური ენების კათედრის გამგე. 1991 წელს იცავს სადოქტორო დისერტაციას თემაზე — "Тенденция к аналитизму в языке".

2006 წელს ნათელა ჭოხონელიძე კონკურსის შედეგად იკავებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორის თანამდებობას და არის რუსული ენისა და ლიტერატურის მიმართულების ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პროგრამების შემდგენელი და ხელმძღვანელი.

მრავალ მაგისტრს, ასპირანტსა და დოქტორანტს ნათელა ჭოხონელიძის ხელმძღვანელობით დაცული აქვს დისერტაციები რუსული ენის აქტუალური პრობლემების სფეროში.

მრავალფეროვანია ნათელა ჭოხონელიძის სამეცნიერო დიაპაზონი: თანამედროვე რუსული ენა, რუსული ენის პრაქტიკული გრამატიკა, ენის ეკოლოგია, მეტყველების კულტურა, მხატვრული ტექსტის ლინგვისტური ანალიზი, სტილისტიკა, რუსული ლინგვისტური მოძღვრების ისტორია, ფუნქციური გრამატიკა, შესავალი სლავურ ფილოლოგიაში.

ნათელა ჭოხონელიძის მიერ რუსული ენის ეკოლოგიის დარგში შემოთავაზებული პროგრამებით მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობენ საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

ნათელა ჭოხონელიძეს გამოქვეყნებული აქვს 80-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, სტატიები.

განსაკუთრებული ინტერესი სტუდენტებს შორის გამოიწვია ნათელა ჭოხონელიძის მიერ 2008 წელს გამოცემულმა სახელმძღვანელოებმა: "Грамматика русского языка" და "Активные процессы в современном русском языке".

ნათელა ჭოხონელიძე აქტიურ მონაწილეობას იღებს სამეცნიერო კონგრესების, კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მუშაობაში როგორც საქართველოში, ასევე, საზღვარგარეთ — რუსეთში, გერმანიაში, ბულგარეთში, ფინეთში, უნგრეთში, პოლონეთში და ა.შ.

ნათელა ჭოხონელიძე არის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ "Славистика в Грузии"-ს რედაქტორი და რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს განყოფილების პრეზიდენტი.

2004 წლიდან ნათელა ჭოხონელიძე „სლავური სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის“ დამაარსებელი და ხელმძღვანელია, რომლის ერთ-ერთი პროექტის მიხედვით საქართველოში ინერგება რუსული ენის დისტანციური სწავლება.

ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის იგი დაჯილდოვებულია ღირსების ორდენითა და მედლით.

დავით გორდეზიანი დაიბადა 1937 წელს ქ. თბილისში, მოსამსახურის ოჯახში.

1961 წელს თსუ-ის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურაში მიახლოებითი ანალიზისა და გამოთვლითი ტექნიკის კათედრაზე. 1962 წელს ვადაზე ადრე დაასრულა საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობა, რისთვისაც მიენიჭა პრემია.

1964 წლიდან მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში, სადაც დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია გამოთვლით მათემატიკაში. სადისერტაციაო საბჭოს თავმჯდომარეობდა მსოფლიოში აღიარებული მათემატიკოსი და მექანიკოსი, აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი. 1968 წლიდან მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით პრობლემურ ლაბორატორიაში, რომელიც იმავე წელს გადაკეთდა გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტად. 1970 წლიდან ხელმძღვანელობდა ამავე ინსტიტუტის რიცხვითი მეთოდების განყოფილებას. 1979 წლიდან 1985 წლამდე იყო ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში. 1985 წლიდან 2007 წლამდე იყო აკადემიკოს ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი. 1984 წლიდან 2007 წლამდე ასრულებდა თსუ-ის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის გამოთვლითი მათემატიკისა და ინფორმატიკის კათედრის გამგის მოვალეობას. 2006-დან 2009 წლის სექტემბრამდე იყო თსუ-ის სრული პროფესორი.

1982 წელს მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია გამოთვლითი მათემატიკის სპეციალობით.

პროფესორ დავით გორდეზიანს გამოქვეყნებული აქვს 170-ზე მეტი ნაშრომი.

მათ შორის 4 გამოგონება, 2 პატენტი (აშშ, დანია), 3 მონოგრაფია. 1998-2007 წლებში მიღებული აქვს 11 გრანტი. ყავს აღზრდილი მეცნიერებათა 7 დოქტორი, მეცნიერებათა 17 კანდიდატი. 1998-2009 წლებში მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია 15 სამაგისტრო ნაშრომი.

პროფესორი დავით გორდეზიანი არის 70-ზე მეტი საერთაშორისო და სხვა ფორუმების მონაწილე, მათ შორის მათემატიკოსთა ვარშავის მსოფლიო კონგრესის (1983 წ.), მათემატიკოსთა ციურიხის მსოფლიო კონგრესის (1994 წ.), IUTAM-ის სიმპოზიუმების, ათენის ინტერდისციპლინარული ოლიმპიადის მონაწილე. სხვადასხვა დროს ლექციებისა და მოხსენებების წასაკითხად, სამეცნიერო მუშაობისთვის, საკანდიდატო და სადისერტაციო დისერტაციების ოპონირებისთვის მიწვეული იყო საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის,



რუსეთის, დანიის, პოლონეთის, საბერძნეთის, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, აზერბაიჯანისა და მოლდოვეთის სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებში.

პროფესორი დავით გორდეზიანი არის სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრი, სხვადასხვა დროს სადისერტაციო საბჭოების წევრი გამოყენებით მათემატიკაში, გამოთვლით მათემატიკასა და მექანიკაში. მისი შრომები ციტირებულია მსოფლიოში აღიარებულ უდიდეს მეცნიერთა შრომებში, მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებში, ენციკლოპედიურ და მიმოხილვითი ხასიათის ნაშრომებში.

პროფესორი დავით გორდეზიანი 1993 წელს აირჩიეს კომპიუტერულ მეცნიერებათა და სისტემების საერთაშორისო აკადემიის წევრად. არის საქართველოს საბუნებისმეტყველო აკადემიის წევრი და ამჟამად მისი საპატიო პრეზიდენტი, აგრეთვე, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრიც. დავით გორდეზიანი იყო სსრკ მეცნიერებათა აკა-

მე-6 გვერდზე

8 თებერვალს ემერიტუს პროფესორებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლები საზეიმოდ გადაეცემათ

მე-5 გვერდიდან

დემიის მათემატიკური მოდელირების საკოორდინაციო საბჭოს წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკური მოდელირების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი (1985-2006 წლები).

სამეცნიერო, პედაგოგიური და სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობისთვის მიღებული აქვს მრავალი პრემია, ჯილდო და სიგელი. 1998 წელს დაჯილდოვდა საქართველოს ღირსების ორდენით, 1998 წელს მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი.

რევაზ ზარიძე დაიბადა 1938 წელს ქ. თბილისში. 1962 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი. არის ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1973 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო წოდების მოსაპოვებლად. 1986 წელს კი

სადოქტორო დისერტაცია ქ. მოსკოვში.

1987 წელს აირჩიეს ზოგადი ფიზიკის კათედრის პროფესორად. 2006 წლიდან არის თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი. პროფესორი რევაზ ზარიძე 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია.

თამაზ ვაშაყმაძე დაიბადა 1937 წელს ქ. თბილისში. 1959 წელს დაამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, ხოლო 1962 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტურა. პროფესორი თამაზ ვაშაყმაძე თსუ-ში მოღვაწეობს 1962 წლიდან. წაკითხულ აქვს 10-ზე მეტი ძირითადი და სპეციალური კურსები გამოთვლით მათემატიკაში, კურიკულუმსა

და მათემატიკურ ანალიზში, მათემატიკურ მოდელირებაში, წრფივი ალგებრის გამოთვლით მეთოდებში, დიფერენციალურ განტოლებათა თეორიაში, ვარიაციულ მეთოდებში, დრეკადობის თეორიაში. 1968 წლიდან იგი მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგედ, 1988 წლიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორია.

მისი მეცნიერული კვლევების ძირითად დარგებს წარმოადგენს: გამოთვლითი მათემატიკა, მექანიკა, კომპიუტერული მეცნიერებანი, მათემატიკური მოდელირება.

პროფესორი თამაზ ვაშაყმაძე 2003 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, 1999 წელს გადაეცა ვერცხლის მედალი მეცნიერებისა და ტექნოლოგიების რესპუბლიკურ გამოფენაზე, 1997 წელსა და 2009 წელს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი.

1993 წელს მიიღო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ილია ვეკუას სახელობის პრემია.

თამაზ ვაშაყმაძე გახლავთ 15-მდე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციათა ხელმძღვანელი და მეცნიერ-კონსულტანტი, იყო 20-ზე მეტი დისერტაციის ოპონენტი, გამოქვეყნებული აქვს 160-მდე სტატია და გაფართოებული თეზისები, მათ შორის 4 მონოგრაფია, 3 სახელმძღვანელო და 1 საიუბილეო კრებული, მონაწილეობდა 150-ზე მეტ საერთაშორისო და რესპუბლიკური მნიშვნელობის კონფერენციისა და სხვადასხვა სახის სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში, სადაც წაკითხული აქვს 100-ზე მეტი სექციური ხასიათის, 30-მდე პლენარული მოხსენება. გახლდათ ორ ათეულამდე საერთაშორისო და ადგილობრივი მნიშვნელობის კონფერენციის საორგანიზაციო ორგკომიტეტის წევრი.

პროფესორი თამაზ ვაშაყმაძე არის საერთაშორისო ორგანიზაციების (ISIMM, ISBEM), საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის წევრი, თეორიული და გამოყენებითი მექანიკისა და მეცნიერების ისტორიის საზოგადოებათა ვიცე-პრეზიდენტი, 4 ჟურნალის, მათ შორის, "Journal Applied Functional Analisis" (აშშ, მემფისი) რედკოლეგიის წევრი. 1998-2003 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების სერიით — „გამოყენებითი მათემატიკა და კომპიუტერული მეცნიერებანი“ მთავარი რედაქტორი. რეფერატული ჟურნალების Math.Review, Zentralblatt Math.Mach, Математика კორესპონდენტი, რიგი სამეცნიერო (მათ შორის, თსუ-ის დიდი საბჭოს) და სადისერტაციო საბჭოების წევრი.

თამაზ ვაშაყმაძის მონოგრაფია — "The Theory of Anisotropic Elastic Plates" ისწავლება ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის და სხვა ქვეყნების 200-ზე მეტ შესაბამისი პროფილის უნივერსიტეტსა და საინჟინრო-ტექნიკური ხასიათის უმაღლეს სასწავლებლებში. 2009 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მისი ავტორობით გამოსცა სახელმძღვანელო „რიცხვითი ანალიზი, I“.

მურთაზ მაღრაძე დაიბადა 1942 წელს ხარაგაულის (ორჯონიკიძის) რაიონის სოფელ ლეღვანში. 1961 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე აღრიცხვისა და გამოთვლითი სამუშაოთა მექანიზაციის სპეციალობით. 1969 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი ეკონომიკური ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების სპეციალობით, კვალიფიკაციით ინჟინერ-ეკონომისტი. 1969-1972 წლებში სწავლობდა თსუ-ის ასპირანტურაში სახალხო მეურნეობის მართვაში გამოთვლითი ტექნიკისა და ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენების სპეციალობით. 1972-1979 წლებში მუშაობდა თსუ-ის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის ეკონომიკური ინფორმატიკის კათედრის ასისტენტად. 1979 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე — „სამუშაო დროის გამოყენების აღრიცხვის ავტომატიზაცია“ (საქართველოს მანქანათმშენებელი ქარხნების მაგალითზე). 1979-2000 წლებში მუშაობდა თსუ-ის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის ეკონომიკური ინფორმატიკის კათედრაზე დოცენტის თანამდებობაზე, ხოლო 1979-1987 წლებში საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ. 1994-2009 წლებში მუშაობდა ზემოთ აღნიშნული ფაკულტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკასა და ბიზნესში კათედრის გამგედ. 2000 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვის ინფორმატიზაცია“ (თეორია და პრაქტიკა). 1979-2009 წლებში იყო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს, ხოლო 2001-2009 წლებში ეკონომიკის დარგში სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციების დაცვის საბჭოს წევრი, 2003-2004 წლებში თსუ-ის სამეცნიერო საბჭოს წევრი. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა 4 საკანდიდატო და 2 სადოქტორო დისერტაცია, 20 მაგისტრი. იყო 3 საკანდიდატო დისერტაციის ოფიციალური ოპონენტი და რამდენიმე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის ექსპერტი. გამოქვეყნებული აქვს 65 სამეცნიერო შრომა. მათ შორის: ერთი მონოგრაფია „სოციალურ ეკონომიკური პროცესების მართვის ინფორმატიზაცია“, 6 სახელმძღვანელო (თანაავტორობით), 2 ლექციების კურსი, 2 ბროშურა. მისი მეცნიერული კვლევების მიმართულებაა საზოგადოების ინფორმატიზაციის პრობლემები. 1972 წლიდან დღემდე თსუ-ის ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში კითხულობს ლექციებს შემდეგ დისციპლინებში: ინფორმაციული მენეჯმენტი, ინტელექტუალური საინფორმაციო სისტემები, კორპორაციული საინფორმაციო

სისტემები, ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში და სხვა. დაჯილდოებულია ღირსების მედლით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი ემერიტუსები...

ალექსანდრე ცაგარელი

როგორც ისტორიკოსი ზურაბ გაიპარაშვილი აღნიშნავს, დამსახურებულ პროფესორთათვის საპატიო წოდების მინიჭების ტრადიციას საფუძველი ჯერ კიდევ უნივერსიტეტის დაარსებიდან ახლო პერიოდში ჩაეყარა. „პირველი უნივერსიტეტის დამფუძნებლების მიერ შექმნილი თსუ-ის წესდება, დღევანდელი გადასახედიდან, მრავალ საგულისხმო მომენტს ითვალისწინებდა. ერთ-ერთი მათგანი პროფესორის ის საპატიო წოდებაა, რომელიც სულ ახლახან შემოიღო თსუ-ის აკადემიურმა საბჭომ. ემერიტუსი საპატიო წოდებაა და როგორც ტერმინი — თანამდებობიდან გადამდგარ პირს ნიშნავს, რომელიც კვლავაც აგრძელებს სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. ემერიტუსი, როგორც ტერმინი, თსუ-ის პირველ წესდებაში არ გვხვდება, მაგრამ იმის თქმა ნამდვილად შეგვიძლია, რომ სასწავლო ნაწილის პირველი შემადგენლობა განისაზღვრებოდა: დამსახურებული პროფესორებით, დოცენტებით, პრივატ დოცენტებით, პროზექტორებითა და ასტრონომ დამკვირვებლებით. დამსახურებული პროფესორის წოდება დღეს, დაახლოებით, ემერიტუსის წოდებას უთანაბრდება. თსუ-ის 1918 წლის წესდების მიხედვით, დამსახურებულ პროფესორად იწოდებოდა ის, ვისაც თსუ-ში 20 წლიანი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილება ჰქონდა დოცენტობიდან ან პრივატდოცენტობიდან მოყოლებული. ამ წოდების მისაღებად მას წარადგენდა ფაკულტეტის საბჭო. უხუცეს პროფესორს შეუზღუდავი უფლებები ჰქონდა და ის დამსახურებულ პროფესორად ითვლებოდა.

უნივერსიტეტის პირველი დამსახურებული პროფესორის წოდება მიიღო ალექსანდრე ცაგარელმა (1920 წ.). გავიხსენოთ კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები, რომელიც მან ალექსანდრე ცაგარელისა და ივანე ჯავახიშვილის მისამართით წარმოთქვა: „ალექსანდრე ცაგარელი და ივანე ჯავახიშვილი! — გამოაკელით ეს სახელები ჩვენი დროის ანალებს და ხელში შეგრჩებათ სიცარიელე...“. ეს ფრთიანი გამონათქვამი მიგვანიშნებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ალექსანდრე ცაგარელის მოღვაწეობას. იგი 1844 წელს დაიბადა, სწავლობდა პეტერბურგის სამედიცინო ქირურგიულ აკადემიაში, პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, მიუნხენისა და ტიუბინგენის (გერმანია), ვენის (ავსტრია) უნივერსიტეტებში. 1871 წლიდან ხელმძღვანელობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრას. ვინც იცის რა მნიშვნელობა ჰქონდა, ზოგადად, ამ კათედრას ქართული კულტურის, მეცნიერების, ქართველოლოგიის განვითარების თვალსაზრისით, მისთვის უკვე ცხადი ხდება ალექსანდრე ცაგარელის ღვაწლის მნიშვნელობა. 1886 წლიდან ის პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორია, ხოლო 1920 წლის მაისიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი.

გიორგი წერეთელი

მეორე დამსახურებული პროფესორი იყო გრიგოლ წერეთელი, რომელსაც 30 წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის გამო 1926 წლის 26 იანვარს, პედაგოგიური ფაკულტეტის წარდგინებით, დამსახურებული პროფესორის წოდება მიანიჭეს. აი, ასეთი სახელოვანი მეცნიერები იყვნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი ემერიტუსები...“

როგორც სიტყვით, ისე საქმით იბრძოდნენ იმისთვის, რომ ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტი ცრუ მეცნიერებისთვის ხელში არ ჩაეგდოთ

ინტერვიუ მზექალა შანიძესთან

უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებლის, ჰუმანიტარული მეცნიერების თითქმის ყველა დარგში თავისი წვლილის შემტანის, აკადემიკოს აკაკი შანიძის ქალიშვილს, 84 წლის მზექალა შანიძეს ქართული საზოგადოება საკმაოდ კარგად იცნობს. აკაკი შანიძის ოჯახში ხშირად იყრიდნენ თავს უნივერსიტეტის დამაარსებლები და პატარა ბავშვს მათი სჯა-მსჯელობა ხშირად ესმოდა. მას დღესაც ახსოვს ბევრი იმდროინდელი ამბავი. გარდა საკუთარი სამეცნიერო ღვაწლისა, ქალბატონ მზექალა შანიძეს ,,მოარულ ლეგენდად" ყოფნაც ჰმატებს იმ ხიბლს, რაც განსაკუთრებით დღევანდელი თაობის დასაფასებელია. მართალია, ბატონი აკაკი შანიძე ამბების მოყოლით ნაკლებად ანებივრებდა შვილებს, მაგრამ იმდროინდელი სამყაროს აღქმის დარად შემორჩენილ მეხსიერებას კვლავაც შეუძლია გაგვიზიაროს ის წარსული შთაბეჭდილებანი, რომელიც ჩვენს ისტორიას კიდევ რამდენიმე ფურცელს სძენს. სწორედ ამ მიზნით ვესტუმრეთ ქალბატონ მზექალა შანიძეს და რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

ნინო კაკულია

— ***თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში, მაშინ, როცა საქართველოს საზღვრები გაიხსნა გლობალიზაციის პროცესისთვის, თქვენი აზრით, განიცადა თუ არა ქართულმა სალიტერატურო და ქართველურმა სამეტყველო ენებმა რაიმე ცვლილება. ... და თუკი ეს ასეა, თქვენი აზრით, რა ცვლილებებზე შეიძლება საუბარი და როგორ უნდა დავიცვათ ქართული ენის სიწმინდე?***

— როდესაც ქართული ენის სიწმინდეზე საუბრობენ, ჩემი აზრით, ზოგჯერ, ცოტა ვიწროდ ესმით ეს საკითხი. სინამდვილეში იგი ძალიან რთულ პროცესებთან არის დაკავშირებული.

დღეს გლობალიზაციის პროცესი მიმდინარეობს. კულტურულ, მეცნიერულ დონეზე და, საზოგადოდ, ყველა დარგში კონტაქტები სულ უფრო მჭიდრო ხდება. ეს, რა თქმა უნდა, ნებისმიერ ენაში ძალიან ბევრ ცვლილებას იწვევს. ტექნიკურმა პროგრესმა და ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესმა ქართულ ენაში, ისე, როგორც ევროპის მრავალ ენაში, ძალიან ბევრი ინგლისური შემოიტანა. როგორ უნდა შევხედოთ ჩვენ ამ პროცესს? მოგვწონს თუ არ მოგვწონს? საქმე ის გახლავთ, რომ დედამიწის ზურგზე არ არსებობს ენა, რომელშიც სხვა ენიდან შემოსული სიტყვები და გამოთქმები არ იყოს. საუბარია იმაზე, რა დოზით შემოდის უცხო სიტყვა ენაში და რამდენად არის ეს საჭირო?

კომპიუტერიზაციის ეპოქაში ხალხი სხვადასხვაგვარად მოიქცა. მრავალ ქვეყანაში შემოვიდა ინგლისური ტერმინოლოგია, ზოგიერთმა ქვეყანამ მოახერხა ამ ტერმინოლოგიის მთლიანად თავის ენაზე გადატანა. როდესაც მეცნიერებაზეა საუბარი და ისმის კითხვა — რა ენაზე უნდა დაიწეროს? რა ენაზე უნდა დაიბეჭდოს? ამ შემთხვევაში ისევ უცხო ენების საკითხი დგება.

რამდენიმე ხნის წინ ერთი ასეთი საინტერესო ინფორმაცია წავიკითხე: ენათმეცნიერები წერდნენ, რომ, გერმანიაში სხვადასხვა დარგებში სხვადასხვა დოზით იყენებენ ინგლისურ ენას: ფიზიკოსების 98% წერს ინგლისურად, ხოლო ჰუმანიტარები და იურისტები ყველაზე ნაკლებად წერენ ამ ენაზე... როდესაც ენის სიწმინდეზეა საუბარი, არ იგულისხმება მხოლოდ გრამატიკული წესების დაცვა. ენის სიწმინდის შენარჩუნება, ამ ეპოქაში, როდესაც ასეთი ძლიერი დაწოლაა, არ არის დამოკიდებული მხოლოდ ენათმეცნიერთა სურვილებზე და არც მხოლოდ მასწავლებლის კეთილ ნებაზე — მოსწავლეს კარგად ასწავლოს ენა ამა თუ იმ ბრუნვასა და ფორმაში.

სადღა გვაქვს ჩვენ დარჩენილი ქართულ ენა, როგორც საყოველთაოდ სალაპარაკო ენა? ძირითადად, მხოლოდ და მხოლოდ სოფლის მოსახლეობაში, ამავე დროს, მოგეხსენებათ, ჩვენი სოფლები ნაწილობრივ უკვე დაცლილია. ქალაქურ მეტყველებაში კი, მეცნიერებასა და ტელევიზიაში უცხო ლექსიკა უკვე ძალიან ფართოდ არის შემოსული. ამიტომ ენის სიწმინდის დასაცავად მარტოოდენ ენათმეცნიერთა მცდელობა არ არის საკმარისი!

სადღა გვაქვს ჩვენ დარჩენილი ქართულ ენა, როგორც საყოველთაოდ სალაპარაკო ენა? ძირითადად, მხოლოდ და მხოლოდ სოფლის მოსახლეობაში, ამავე დროს, მოგეხსენებათ, ჩვენი სოფლები ნაწილობრივ უკვე დაცლილია. ქალაქურ მეტყველებაში კი, მეცნიერებასა და ტელევიზიაში უცხო ლექსიკა უკვე ძალიან ფართოდ არის შემოსული. ამიტომ ენის სიწმინდის დასაცავად მარტოოდენ ენათმეცნიერთა მცდელობა არ არის საკმარისი.

იმისათვის, რომ სალიტერატურო ენამ თავისი ფუნქციები შეინარჩუნოს, მხატვრული ლიტერატურა უნდა იყოს ისეთი მდიდარი, რომ მისადმი ინტერესი გაიზარდოს და ჰყავდეს ბევრი მკითხველი, რადგან ადამიანების უმეტესობა სალიტერატურო ენას სწავლობს არა ლექსიკონით ან საენათმეცნიერო ლიტერატურით, არამედ სწავლობს მაშინ, როცა მხატვრულ ლიტერატურას ინტენსიურად ეცნობა. ვთქვათ, მე-19 საუკუნეში ფრანგმა საიდან ისწავლა სალიტერატურო ენა? ისწავლა იქიდან, რომ დიდ ფრანგ მწერალთა შემოქმედებას კითხულობდა.

მზექალა შანიძე *ზურაბ გაიპარაშვილის ფოტო*

ძალიან კარგი და საინტერესო მწერლობა გვაქვს. ერთი წუთითაც არ მინდა ვთქვა, რომ ის, რაც თავის დროზე დაწერეს ილია ჭავჭავაძემ ან აკაკი წერეთელმა, ან აღარ გვჭირდება, ან მოძველებულია, მაგრამ ის, რომ დღეს ამ ენას, როგორც ცოცხალ ენას, ვეღარ გამოიყენებს.

მსოფლიოში ძალიან ბევრი ენაა, ზუსტად არ არის დათვლილი, სავარაუდოდ 3000 ენაზე მეტია. მათგან ძალიან ბევრი ან იკარგება, ან უკვე დაკარგულია, ან დაკარგვის საფრთხის წინაშე დგას. ცნობილი ენათმეცნიერი რობინსი, რომელიც ამ საკითხზე მუშაობდა და რომელსაც ამის შესახებ სპეციალურად რამდენიმე გამოკვლევა აქვს დაწერილი, ერთერთ წიგნს უწოდებს „საფრთხეში მყოფი ენები". ენის საფრთხეში ყოფნა სწორედ იმას გულისხმობს, რაზეც უკვე ვისაუბრე — ანუ იმას კი არა, რომ არასწორად სწავლობენ ბრუნვებს, არამედ იმას, რომ ენა თავის სოციალურ ფუნქციებს კარგავს. თუ ჩვენ მეცნიერებასა და სხვა დარგებში მთლიანად გადავედით სხვა ენებზე, სულ ერთია იქნება ეს ინგლისური, რუსული თუ იაპონური, მაშინ ჩვენ ვკარგავთ ენას, როგორც ჩვენი ეროვნული თვითშეგნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს. აი, ამაზე უნდა იყოს ლაპარაკი. დღევანდელმა თაობამ ქართული ენა კარგად აღარ იცის. ქართულ გაზეთებში ვკითხულობ წინადადებებს, რომელშიც უცხო სიტყვებია ნახმარი მაშინ, როდესაც შესატყვისი ქართული სიტყვა არსებობს. ეს არ არის მარტოოდენ გრამატიკული შეცდომა. ეს ის არის, რომ დღევანდელ ცნობიერებასა და ყოფიერებაში ქართული სათანადო ადგილს ვეღარ იკავებს — ეს ენის სიწმინდის საკითხი უკვე აღარ არის, ეს ენის არსებობის საკითხია.

უფრო ადვილია ერთხელ წახვიდე საბრძოლველად, ვიდრე იშრომო ყოველდღიურად, რათა გადაარჩინო შენი ენა. სწორედ ეს შრომა გვჭირდება დღეს...

მოგეხსენებათ, მე-5 საუკუნიდან ქართული ენა ქართველების ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბების ერთ-ერთი ძირითადი იარაღი იყო. ამიტომ უნდა ვუფრთხილდეთ, რომ ქართული ენა არ გადაიქცეს (არსებობს ენათმეცნიერებაში ასეთი ტერმინი) მხოლოდ საშინაო ენად, რომელიც იხმარება მხოლოდ ყოველდღიურ ყოფაში. აი, ჩვენი პირველი საშიშროება ეს არის.

ჩვენი ახალგაზრდა მწერლები, რომელთაც ძალიან მოსწონთ თავი იმით, რომ თუ სადმე საგინებელი სიტყვაა, თავიანთ ნაწარმოებებში ყველაფერი შეაქვთ, ამით დიდ შეცდომას უშვებენ. ეს მხოლოდ მორალის საკითხი როდია, ამით ისინი ენას აღარიბებენ. მწერალმა უნდა შემოიტანოს ახალი პრობლემები, ახალი თემატიკა, ახალი სტილი, თორემ გინება ქართულ ენას არაფერს მატებს. როგორც ხედავთ, ეს თავისთავად არის დიდი პრობლემა და ამაზე უნდა ზრუნავდნენ მწერლები, მეცნიერები... ამაზე უნდა ფიქრობდეს სახელმწიფო და არა მხოლოდ ფილოლოგები...

როდესაც 50-იან წლებში ისრაელის სახელმწიფო ჩამოყალიბდა, იქაც იყო ამ მხრივ ძალიან დიდი პრობლემა. მოდიოდნენ ებრაელები სხვადასხვა ქვეყნებიდან: ამერიკიდან, ესპანეთიდან, რუსეთიდან... სახელმწიფოს საერთო ენა სჭირდებოდა. შეიქმნა პრობლემა, რომელი ენა აერჩიათ, ჭკვიანური გადაწყვიტილება მიიღეს, საფუძვლად ძველი ებრაული აიღეს. მათ გაითვალისწინეს, რომ ძველი ებრაული ვერ იტევს იმას, რაც დღევანდელ ენას სჭირდება, ამიტომ ბევრი იშრომეს, ენის სპეციალური აკადემია ჩამოაყალიბეს, შექმნეს ახალი ლექსიკა, ტერმინოლოგია... დაიწყეს მსგავსი ძირების მოძებნა – იყო თუ არა ებრაულში ან სემიტურ ენებში, თუ არ იყო, გარკვეული მსჯელობის შედეგად გადაწყვიტეს, რომ ამ შემთხვევისთვის ინგლისური ტერმინი აეღოთ. ებრაელებმა ეს შეკრებილი „სიტყვის კონა" პატარ-პატარა წიგნაკებად დაბეჭდეს და ყოველ საგაზეთო ჯიხურში დადეს. ვინც არ იცოდა ესა თუ ის სიტყვა, შეეძლო მისი მნიშვნელობა ამ პატარა წიგნაკებში ამოეკითხა. ახლახან ვიყავი ისრაელში და გაოცებული დავბრუნდი. ამჟამად ივრითზე, როგორც ახლა ეძახიან ამ განახლებულ ებრაულ ენას, იბეჭდება ყველაფერი — გაზეთი, სამეცნიერო ლიტერატურა, ამ ენას ბავშვები სკოლაში სწავლობენ... შეიძლება უფროსი თაობის წარმომადგენლებს გაუჭირდათ მისი აღქმა, მაგრამ ვინც მეორე და მესამე თაობაა, მათთვის ეს ჩვეულებრივი, ბუნებრივი, მშობლიური ენაა. აი, როგორ იზრუნეს ებრაელებმა — ჰქონოდათ საერთო ენა. ენობრივი თვალსაზრისით — ეს არის საოცარი ექსპერიმენტი.

ამ ენაზე ჩვენი „ვეფხისტყაოსანი" რომ თარგმნა ქუთაისელმა გაპონოვმა, მას თარგმანისთვის ეროვნული პრემია მიანიჭეს. და იცით რატომ? ხედავდნენ, რომ ეს არის დიდი მხატვრული ნაწარმოები და რომ მათი ენა საშუალებას იძლევა — ამ დიდი მხატვრული ნაწარმოების თავის ენაზე გადმოღებისა. გაპონოვის მიერ შექმნილი მრავალი ნაწარმოები ფორმა დღეს ებრაულ ლექსიკონებშია შესული. ასევე უნდა ვიზრუნოთ ჩვენც. კომუნისტების დროს გვქონდა სპეციალური კომისია, მაგრამ მისი საქმიანობა, ძირითადად, შემოიფარგლებოდა მართლწერის საკითხებით. რეალურად კი ჩვენ დღეს გვჭირდება ქართული ენისათვის ძალზე მოფიქრებული, გააზრებული, ძალიან ფრთხილი, აწონილ-დაწონილი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება.

— ***გთხოვთ გაიხსენოთ 1978 წლის 14 აპრილს ქართული ენის დასაცავად ამხედრებული უნივერსიტეტი, თქვენი მონაწილეობა ამ პროცესში...***

— მაშინ ყველანი ერთად ვიდექით, მაგრამ მართალი გითხრათ, არანაკლებ მაშფოთებს ის, რაც დღეს ხდება ქართული ენის დაბინძურების თვალსაზრისით. უფრო ადვილია ერთხელ წახვიდე საბრძოლველად, ვიდრე იშრომო ყოველდღიურად, რათა გადაარჩინო შენი ენა. სწორედ ეს შრომა გვჭირდება დღეს...

— ***გლობალიზაციის ეპოქაში ყველანი, განსაკუთრებით პატარა ერები ეძებენ თავიანთ მონათესავე ეთნიკურ ჯგუფებს. არსებობს თუ არა ქართველებისთვის ენის მიხედვით მონათესავე ეთნიკური ჯგუფები ევროპაში ან ჩვენს მეზობლად? როგორც ცნობილია, ქართველურ და ჩრდილო-კავკასიურ ენათა ნათესაობის თაობაზე მეცნიერულ წრეებში დისკუსია დღესაც მიმდინარეობს.***

— ესეც ძალიან რთული საკითხია. თუ საუბარია ენათა გენეტიკურ ნათესაობაზე, ე.ი. მათ საერთო წარმომავლობაზე, ვფიქრობ, რომ გენეტიკური ნათესაობა არ არსებობს, რაც არ გამორიცხავს იმას, რომ მჭიდრო კონტაქტები მართლაც გვქონდა ჩრდილო-კავკასიურ ენებთან...

მე-8 გვერდზე

როგორც სიტყვით, ისე საქმით იბრძოდნენ იმისთვის, რომ ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტი ცრუ მეცნიერებისთვის ხელში არ ჩაეგდოთ

ინტერვიუ მზექალა შანიძესთან

ეს ბუნებრივი მეზობლობაა, ბევრი რამ გადმოღებულია იქიდან ან პირიქით, წაღებული ჩვენგან — ეს, რა თქმა უნდა, რეალობაა. ერთადერთი ნამდვილი და უტყუარია ის, რომ ერთმანეთის უშუალო მონათესავეები არიან ქართველური ენები.

— აკაკი შანიძე, როგორც დიდი მეცნიერი და ერთ-ერთი ფუძემდებელი ქართული უნივერსიტეტისა და სამეცნიერო სკოლისა — ამის შესახებ, ფაქტობრივად, ბევრი რამ არის ცნობილი... მაგრამ ნაკლებად ცნობილია მისი ის თვისება, რომლის შესახებაც, ალბათ, სასურველი იქნება თქვენ მოგვითხროთ... თითქოსდა მშვიდი, უწყინარი ადამიანი, გარეგნულად რომ ტოვებდა ასეთ შთაბეჭდილებას, საჭიროების შემთხვევაში იყო შეუპოვარი და ხშირად იგი მიდიოდა დიდ რისკზეც მაღალი ადამიანური ფასეულობების დასაცავად... რას გაიხსენებთ აკაკი შანიძის დამოკიდებულების შესახებ ივანე ჯავახიშვილთან ან ექვთიმე თაყაიშვილთან? ამის შესახებ დღევანდელმა თაობამ ცოტა რამ თუ იცის...

ახალგაზრდობამ უნდა იცოდეს, რომ როცა 30-იან წლებში ივანე ჯავახიშვილის დევნა დაიწყო, ხოლო ექვთიმე თაყაიშვილი ფაქტიურად პატიმრობაში აღმოჩნდა, ბევრმა ზურგი აქცია ბატონ ივანეს, აკაკი შანიძემ კი საჯაროდ განაცხადა — მე ივანე ჯავახიშვილის ლანძღვით კარიერის გაკეთებას არ ვაპირებო.

— დღევანდელმა თაობამ შეიძლება მათ შესახებ რაღაც იცის, მაგრამ ბევრიც უნდა გაახსენო! ბატონი ივანეც ხშირად მინახავს, კორნელი კეკელიძეს კარგად ვიცნობდი, გიორგი ახვლედიანი სულ აქ, ამ სახლში იყო, კისერზე ვყავდი ჩამოკიდებული, რადგან ბავშვების მოყვარული კაცი გახლდათ, ყველას ვერ ჩამოვთვლი... ამ ხალხისთვის მაღალი ადამიანური ფასეულობების დასაცავად რისკზე წასვლა ბუნებრივ საქციელად ითვლებოდა და რაც მთავარია, არც ერთი მათგანი არ ფიქრობდა, რომ საგმირო საქმეს ჩადიოდა. აი, როგორც ჩვენ, დღევანდელი ადამიანები ვიცავთ ელემენტარული ქცევის ნორმებს, იმათაც მიაჩნდათ, რომ სხვანაირად მოქმედება არ შეიძლებოდა.

აკაკი შანიძე 1908 წელს ჩავიდა პეტერბურგში და მას შემდეგ ივანე ჯავახიშვილთან ერთად იყო. მათი ურთიერთობის ამსახველი წერილები ბევრი არ არის, რადგან სულ ერთად იყვნენ. როგორც კი ერთმანეთს დაშორდებოდნენ, მამაჩემი მაშინვე მისწერდა ხოლმე – სად იყო? რას აკეთებდა? რას სწავლობდა? ერთ-ერთ წერილში წერს: სვანური ენის შესწავლა გამიჭირდა, ძნელი ენა არისო... ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეცნიერულ საკითხებში ყველაფერში ისინი ერთმანეთს ეთანხმებოდნენ... მათ შორის ხშირი იყო განსჯა, კამათი, მაგრამ კამათობდნენ კორექტული ტონით.

ყოველდღიურ ყოფაში ივანე ჯავახიშვილი უაღრესად სადა, უბრალო და ყველას მიმართ ერთნაირად თავაზიანი იყო. ბატონი ივანეს კაბინეტში დამლაგებელიც რომ შესულიყო, იგი აუცილებლად ფეხზე წამოდგებოდა. სწორედ ასეთი უბრალოება ასხვავებდა მას სხვებისგან. ქუჩაში ყველა ესალმებოდა და ქუდს იხდიდა.

ახალგაზრდობამ უნდა იცოდეს, რომ როცა 30-იან წლებში ივანე ჯავახიშვილის დევნა დაიწყო, ხოლო ექვთიმე თაყაიშვილი ფაქტიურად პატიმრობაში აღმოჩნდა, ბევრმა ზურგი აქცია ბატონ ივანეს, აკაკი შანიძემ კი საჯაროდ განაცხადა — მე ივანე ჯავახიშვილის ლანძღვით კარიერის გაკეთებას არ ვაპირებო.

როდესაც პარიზიდან დაბრუნებული ექვთიმე თაყაიშვილი ფაქტიურად შინაპატიმრობაში იყო, აკაკი სულ დადიოდა მასთან. მაშინ უფროსი კლასის მოსწავლე ვიყავი და თან დავყავდი. მე დავესწარი ივანე ჯავახიშვილის უკანასკნელ ლექციასაც. მაშინ 14 წლის ვიყავი და ჩემი თვალით ვნახე, როგორ წაიქცა ბატონი ივანე და მაგიდას როგორ დაემხო.

ეს დღესაც მახსოვს, ან კი როგორ შეიძლება ამის დავიწყება... სასწრაფოდ ექიმი მოიყვანეს, მაგრამ ის უკვე აღარ იყო, მაშინვე გათავდა... ეს იყო ხელოვნების მუშაკთა სახლში... როცა ჩვენ გამოვედით იქიდან, უკვე მთელი ქუჩა, მაშინდელ ლენინის მოედნამდე, ხალხით იყო სავსე. ივანე ჯავახიშვილი გარდაიცვალაო — ერთმანეთს ეუბნებოდნენ

და ეს აღიქვეს, როგორც დიდი ეროვნული უბედურება.

მის დასაფლავებაზეც ვარაზის ხევის ორივე მხარე ხალხით გაივსო, ხმის ამოღებას თითქოსდა ვერავინ ბედავდა. არც იყო არაფერი სათქმელი, რა უნდა გეთქვა... მაგრამ უკვე ის, რომ ამდენი ხალხი მოვიდა და უჩუმრად იდგა, ჩემი აზრით, ეს იყო იმდროინდელი პოლიტიკური დემონსტრაცია. ვფიქრობ, ამას სხვა სახელი არ შეიძლება ვუწოდოთ. ხალხმა აჩვენა, რომ გლოვობს კაცს, რომელიც საქართველოსთვის იყო ილია ჭავჭავაძის შემდეგ იმდენის გამკეთებელი, რამდენიც სხვას არავის გაუკეთებია.

— სწორედ მაშინ თქვა აკაკი შანიძემ ისტორიული სიტყვა, რომელიც დაიწყო — დიდო ივანე!

— მამაჩემმა თავის გამოსვლაში მიმართა ისე, როგორც ყოველთვის მიმართავდა — ბატონო, ივანე! ეს გაზეთებში დაბეჭდეს - დიდო ივანეო...

მინდა ისეთი თაობა გაიზარდოს, რომლისთვისაც ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე და სხვა დიდი მოღვაწეები, რომლებიც მე-19 საუკუნეში გვყავდა, მაგალითი იყოს და გრძნობდნენ ამას, ცდილობდნენ მათი შთამომავლების სახელის ტარებას...

— თუ გაიხსენებთ როგორ ახასიათებდა ბატონი აკაკი შანიძე უნივერსიტეტის დამაარსებლებს, როგორც მათთან ერთად შემოქმედებითი გზის გამკვალავი და მათი მეგობარი? რაზე პაექრობდნენ? როგორი ურთიერთობები ჰქონდათ?

— ადრეც გითხარით, რომ ბევრი ლაპარაკი მამაჩემმა არ იცოდა. სანამ ბავშვები ვიყავით, წაგვეთამაშებოდა ხოლმე ცოტას, რაც შეეხება ამბების მოყოლას, განსაკუთრებით რაიმეზე ლაპარაკი არ იცოდა. თუ ვინმე მოვიდოდა და საგანგებოდ სთხოვდა, მხოლოდ მაშინ ყვებოდა. ბოლო ხანებში კორესპონდენტები დადიოდნენ ხშირად და ეკითხებოდნენ, თავისუფალ დროს რას აკეთებთო... ყოველთვის იყო პასუხი, რომ თავისუფალი დრო მისთვის არ არსებობდა.

1960 წელს, როდესაც გიორგი წერეთელთან და ირაკლი აბაშიძესთან ერთად, იერუსალიმში რუსთაველის პორტრეტის მისაკვლევად გაემგზავრა, უკვე 70 წელს იყო გადაცილებული. მაშინ ირაკლი აბაშიძე იხსენებდა: ჩვენ გვეშინოდა, ვაითუ ვერ იაროს, ხანშიშესულია... აკაკი კი ჩვენზე წინ გარბოდაო.

100 წლის იუბილეზე წარმოთქმულ სიტყვაში თქვა: ხუთიოდე წელი კიდევ მინდა, რომ დაწყებული საქმეები დავამთავროო. მაგრამ მას რამდენ ხანსაც არ უნდა ეცოცხლა, ყოველთვის ექნებოდა რაღაც გასაკეთებელი.

როცა უნივერსიტეტი დაარსდა, მაშინ არ ვიყავი დაბადებული, მაგრამ ჩემი ბავშვობის დროს ყველა მათგანი, ვინც ამ საქმეს ხელმძღვანელობდა, აი, ამ ოთახში ძალიან ხშირად მინახავს. ისინი, როგორც ბავშვს, მეფერებოდნენ და მელაპარაკებოდნენ.

ახლა რომ სუფრების გაშლა და მოლხენა იციან, მაშინ არც იყო ამის საშუალება და რომც ყოფილიყო, დამერწმუნეთ, არც ერთი მათგანი რამდენიმე საათს სუფრასთან არ დახარჯავდა. მეგობრობდნენ, საუბრობდნენ... მამაჩემს საათობით სუფრასთან დროსტარება უწესობად მიაჩნდა.

— პროფესიის არჩევაში ბატონი აკაკი ხომ არ დაგეხმარათ?

— არა, აკაკიმ არ იცოდა ასეთ საქმეებში ჩარევა. იგი თვლიდა, რომ 13-14 წლის ასაკში ადამიანმა თვითონ უნდა განსაზღვროს — რა უნდა და როგორ უნდა, ისევე, როგორც თვითონ მოიქცა მას შემდეგ, რაც 13 წლისა ქუთაისის გიმნაზიაში გადმოიყვანეს. მე ერთი პირობა ვფიქრობდი ბიოლოგობაზე, მაგრამ შემდეგ გავხდი ის, რაც დღეს ვარ.

— ვინ იყვნენ თქვენი მასწავლებლები?

— უშუალოდ ჩემი მასწავლებლები იყვნენ ისინი, ვინც მაშინ ფილოლოგიის ფაკულტეტზე ასწავლიდა. ჯერ ფილოლოგიურზე ვსწავლობდი, შემდეგ, როცა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი გაიხსნა, იქ გადავედი. ჩემი მასწავლებლები იყვნენ გიორგი წერეთელი, გიორგი მელიქიშვილი... ქართულს ვარლამ თოფურია გვასწავლიდა, ერთი პერიოდი სტეფანე ჩხენკელი.

ლენინგრადში (ასე ერქვა მაშინ პეტერბურგს) 2 წლით წავედი, რაც ჩემთვის ძალიან სასარგებლო გამოდგა. აღმოსავლურ ინსტიტუტში ძველი რუსული ინტელიგენციის წარმომადგენლები ჯერ კიდევ იყვნენ დარჩენილნი. ეს იყო ის ხალხი, რომელიც იცნობდა სხვა ერის კულტურას, მეცნიერებას... ჩემი მასწავლებელი იყო არაბისტი კრაჩკოვსკი, შესანიშნავი პიროვნება, ძალიან კარგი მოსაუბრე, რომელიც თავის დროზე მამაჩემსაც ასწავლიდა არაბულს, იგი ხუმრობით „პრავნუჩკას“ მეძახდა.

— თქვენი მეცნიერული მოღვაწეობის შესახებ გვესაუბრეთ...

— დიდი არაფერი გამიკეთებია. განსაკუთრებით ძველი ტექსტები მაინტერესებდა... რამდენადაც განათლებით აღმოსავლეთმცოდნე ვიყავი და არაბული და ებრაული ვისწავლე, დავინტერესდი ბიბლიის საკითხებით. ბოლო ხანებში ამაზე ვმუშაობ. მე ფილოლოგი ვარ და ბიბლიის ქართული თარგმანებითა და ტექსტოლოგიით ვარ დაინტერესებული. ახლახან ვიყავი უკვე მესამედ სინას მთაზე, იქ ახლად აღმოჩენილი ხელნაწერები აღვწერე. წელსაც ბიბლიური წიგნებიდან ზოგი ხელნაწერი გადამაღებინეს. მინდა, თუ დამცალდა, იმათ გამოცემაზე ვიმუშაო.

— რა მიღწევები აქვს სასწავლო-კვლევით ლაბორატორია „ორიონს“, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ? რა გაკეთდა ბოლო წლების განმავლობაში?

— „ორიონი“ 1982 წელს დაარსდა. მაშინ აკაკი შანიძემ ჩამოაყალიბა „ორიონი“, როგორც ახლად ჩამოტანილ ათონურ ხელნაწერთა შემსწავლელი ლაბორატორია. გაუხარდა, რომ მიეცა ახალი თანამშრომლების აყვანის შესაძლებლობა. ჩვენ რამდენიმე ძველი ტექსტი გამოვეცით ძველი ათონური ხელნაწერების მიხედვით, მამაჩემს კიდევ ბევრის გაკეთება უნდოდა, მაგრამ არ დასცალდა. ჩვენ კი შეძლებისდაგვარად განვაგრძობდით მუშაობას.

უნდა მოგახსენოთ, რომ ის სიტუაცია, რა სიტუაციაშიც დღეს უნივერსიტეტის სამეცნიერო დაწესებულებებია, ძალიან შემაშფოთებელია. ახალი ნორმებისა და წესების მიხედვით, ჩვენ გვქონდა ,,ორიონში" სამეცნიერო გრანტი. მოხდა ისე, რომ შემდეგი წლისთვის გრანტი არ მოგვცეს. ასე რომ, ახლა, სრულიად გაურკვეველ მდგომარეობაში ვართ. მაწუხებს ჩემი ლაბორატორიისა და თანამშრომლების ბედი. წყვეტა მეცნიერებაში არ უნდა მოხდეს! მართალია, დღევანდელ რეფორმამდე ბევრი ადამიანი იწოდებოდა მეცნიერად და რეალურად არაფერს აკეთებდა, მაგრამ იყვნენ მეცნიერები, რომლებიც პატარა, მაგრამ სასარგებლო საქმეს აკეთებდნენ. თუ მეცნიერების ეს საშუალო ფენა არ შევინარჩუნეთ, მეცნიერება წინ ვერ წავა! არ შეიძლება მეცნიერებას მხოლოდ აინშტაინები ჰყავდეს! მათ არ უნდა დახარჯონ დრო იმის კეთებაზე, რაც ლაბორატორიაში სხვამაც შეიძლება გააკეთოს, ვთქვათ, სინჯარის გარეცხვა. ჩვენ ვკარგავთ უდიდეს პოტენციალს! ქართველები ნიჭიერები არიან, სადაც წავიდნენ, თავი გამოიჩინეს. საქართველო იცლება მეცნიერებისგან! ჩვენი მეცნიერი, თურმე, ამერიკაში დიდ სამეცნიერო ინსტიტუტს ხელმძღვანელობს. ეს, ერთი მხრივ, საამაყოა, მეორე მხრივ, გულის მოსაკლავი ამბავი! რატომ უნდა ჰქონდეს ჩვენს მეცნიერს საქართველოდან გასაქცევად საქმე?!

არსებობს თუ არა „ორიონი“? — მე არ ვიცი. ვინაიდან გრანტი ვერ მიიღო, მუდმივი მეცნიერ-თანამშრომელი, თურმე, უნივერსიტეტს არ შეიძლება, ჰყავდეს! ამიტომ ჩვენ ვარსებობთ კიდეც და არც ვარსებობთ.

— გთხოვთ გაიხსენოთ თქვენი ახალგაზრდობა — ვისთან მეგობრობდით, როგორ ატარებდით თავისუფალ დროს?

— მიყვარს კლასიკური მუსიკა, ამხანაგებთან ყოფნა, მაგრამ დღეს თითქმის აღარავინ დამრჩა... მიყვარს გახუმრება, სიცილი, სახუმარო ლექსების წერა, ბევრი კაფია დამიწერია, ბევრი კაფიაც მიმიღია...

ჩვენი გართობა იყო, ძირითადად, წიგნის კითხვა. ძალიან ბევრს ვკითხულობდით და სულ ტყუილად ჰგონია განათლების ზოგიერთ წარმომადგენელს, რომ ჩვენ ევროპეიზმს უარვყოფთ და ევროპულ ლიტერატურას არ ვიცნობდით. მოვიდნენ და შეგვეჯიბრონ ამ ბებრებს და ვნახოთ, ვინ რა იცის უკეთესად.

დღეს, ზოგიერთ ახალგაზრდას რომ ვუყურებ, ღვინოსა თუ არაყში რომ იხრჩობა, ვფიქრობ, ჩემი ახალგაზრდობა სჯობდა. ნამდვილად უფრო „ცოცხლად“ მაქვს გატარებული. ვესწრებოდით კონცერტებს, დავდიოდით თეატრში და შემდეგ საათობით განვიხილავდით სპექტაკლებს. ერთმანეთს ვეხუმრებოდით, კაფია-ლექსებს ვუწერდით...

— თქვენ მკაცრ პედაგოგად მიაჩნდით სტუდენტებს — ეს ყოველთვის გახმაურებული იყო...

— არა, ბატონო, სტუდენტისთვის ნიშანი არასოდეს დამიკლია.

— ნიშნებს მკაცრად წერდით?

— რატომ უნდა დაუწერო ვიღაცას მაღალი ნიშანი მხოლოდ იმიტომ, რომ შენი ნათესავია? ის არაპროფესიონალიზმი, რომელიც დღეს ჩვენში გავრცელებულია, ნაწილობრივ იმის ბრალია, რომ ასეთი დამოკიდებულება არსებობდა. მხოლოდ რამე თქვას და დაუწერო სამი – ასეთი მიდგომა არ მესმის! ასეთი ნასწავლი ინჟინერის აშენებული სახლი დაინგრევა, ვთქვათ ექიმმა შეიძლება ავადმყოფი მოკლას — ამაზე აღარ ფიქრობენ? რას ნიშნავს სიმკაცრე? სიმკაცრე ის კი არ არის, რომ სტუდენტი შეაშინო, სიმკაცრე ის არის, რომ ასწავლო ისე, რომ კარგი სპეციალისტი გამოვიდეს. იმედი მაქვს, რომ მივაღწევთ იმ დონეს, როდესაც ყველა ლექტორი თავისი მოწოდების სიმაღლეზე იქნება — ეს ხომ ჩვენს ინტერესებშია, რაც შეიძლება უკეთესად მომზადებული ახალგაზრდობა გვყავდეს.

— რას ეტყვით მომავალ თაობას?

— ცოდნა ჩვენთვის კაპიტალია... სწავლის მაღალი დონე ყველა თვალსაზრისით აუცილებელია, როგორც პრაგმატულად, რათა კარგი სპეციალისტები გვყავდეს, ისე იმისთვისაც, რომ სხვანაირი დამოკიდებულება გვქონდეს საქმისადმი, ქვეყნისადმი, საკუთარი პიროვნული ღირსებისადმი, რათა ყველამ იცოდეს — რისი კადრება შეიძლება და რისი - არა.

მინდა ისეთი თაობა გაიზარდოს, რომლისთვისაც ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე და სხვა დიდი მოღვაწეები, რომლებიც მე-19 საუკუნეში გვყავდა, მაგალითი იყოს და გრძნობდნენ ამას, ცდილობდნენ მათი შთამომავლების სახელის ტარებას...

ავადმყოფობა ჩემთვის საინტერესო შემთხვევაა, რომელიც უნდა ამოხსნა და დაამარცხო

ინტერვიუ პროფესორ თენგიზ ცერცვაძესთან

მისი სამუშაო ოთახი ერთი შეხედვით სულაც არ ჰგავს ექიმის კაბინეტს. მაგიდებზე სრული ანარქიაა: უწესრიგოდ ყრია წიგნები.... ფურცლები... საპრეზენტაციო მასალები... ათასგვარი ფლაერები... კედლები აჭრელებულია პრეზებით, დიპლომებით, მხატვრების ტილოებით.... კარადების მინებიდან კი, ათასგვარ სამედიცინო ლიტერატურასთან ერთად, სხვადასხვა ჯიშის, ფერის, მასალისა და ზომის ბუ შემოგყურებთ.... ეს ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის გენერალური დირექტორის, პროფესორ თენგიზ ცერცვაძის კაბინეტია...

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში წამიკითხავს, რომ სამუშაო ოთახში ასეთი უწესრიგობა შემოქმედებითი ნატურისთვისაა დამახასიათებელი. ფსიქოლოგები საახალწლო სურვილივით უსურვებენ ხოლმე ხელქვეითებს სწორედ ასეთ უფროსთან მუშაობას, რადგან, მათი აზრით, დაულაგებელი სამუშაო მაგიდა მიანიშნებს, რომ მისი პატრონი თავისუფალი და გლობალურად მოაზროვნე ადამიანია.

ბატონ თენგიზთან გასაუბრების შემდეგ ეს მოსაზრება კიდევ უფრო განგიმტკიცდება, რადგან ხვდები, რომ შემოქმედებითობა ამ ადამიანის დამახასიათებელი თვისებაა და მიუხედავად მძიმე პროფესიული ტვირთისა, მასთან ურთიერთობა კოლეგებისა და პაციენტებისთვის ერთნაირად სასიამოვნო უნდა იყოს.

მაია ტორაძე

ბოლო 5 წელია ჩვენი სამსახური სისტემატურად სახელდება, როგორც ერთ-ერთი წარმატებული სამედიცინო ცენტრი. ამიტომ გავბედეთ და განაცხადი შევიტანეთ 2009 წელს Dr. LEE Jong-wook-ის პრემიის მოსაპოვებლად გამოცხადებულ ღია კონკურსში.

პროფესორ თენგიზ ცერცვაძეს დიდი და საინტერესო სამეცნიერო ბიოგრაფია აქვს. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დასრულების შემდეგ მან გაიარა შინაგან სნეულებათა კათედრის კლინიკური ორდინატურა, შემდეგ — ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის დაუსწრებელი სწავლების ასპირანტურა.

1981 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სპეციალობით „კარდიოლოგია". 1984 წლიდან კი დაიწყო შიდსზე კვლევა, ჩაერთო ჯანდაცვის საერთაშორისო პროგრამებში... პარიზის როტშილდის ჰოსპიტალსა და ნიუ იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიარა კლინიკური ტრენინგები: „შიდსი და ინფექციური დაავადებები".

პროფესორი თენგიზ ცერცვაძე წლების განმავლობაში მუშაობდა არაერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე: იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კლინიკური ფარმაკოთერაპიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ამავე ინსტიტუტის იმუნოფარმაკოლოგიის განყოფილების გამგე. 1990 წლიდან იგი დაინიშნა შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის დირექტორად, 2007 წლიდან კი ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის გენერალური დირექტორია.

1997 წლიდან დღემდე თენგიზ ცერცვაძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფექციურ დაავადებათა და კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტამენტში მოღვაწეობს. ამჟამად იგი თსუ-ის სრული პროფესორია. არის ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიისა და ამერიკის ინფექციურ დაავადებათა საზოგადოების (IDSA) წევრი; შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის საკოორდინაციო საბჭოს წევრი; შიდსის საერთაშორისო საზოგადოების (IAS) წევრი; საქართველოს ინფექციონისტთა, ჰეპატოლოგთა, პარაზიტოლოგთა, ეპიდემიოლოგთა და მიკრობიოლოგთა სამეცნიერო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი; მიღებული აქვს უამრავი ჯილდო, მათ შორის: საქართველოს ღირსების ორდენი; აშშ-ის სამოქალაქო კვლევისა და განვითარების ფონდის (CRDF) ჯილდო; „დედოფალ ვიქტორიას მედალი".

არის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 4 მონოგრაფიის და 18 სახელმძღვანელო რეკომენდაციის/გაიდლაინის ავტორი და თანაავტორი.

პრაქტიკულად, სამედიცინო სფეროში არ დარჩენილა ჯილდო, რომელსაც ბატონი თენგიზის სამეცნიერო დამსახურებებისთვის გვერდი აევლო, მაგრამ 2009 წელს მიღებულმა პრემიამ თითქმის ყველა გადაწონა.

გასულ წელს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის აღმასრულებელმა საბჭომ საქართველოს ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკულ ცენტრს, როგორც მსოფლიოში წლის საუკეთესო ინფექციური პროფილის დაწესებულებას, მიანიჭა Dr. LEE Jong-wook-ის 2009 წლის მემორიალური პრემია და 85 ათასი აშშ დოლარი საზოგადოებრივი ჯანდაცვის დარგში (Dr. LEE Jong-wook წლების განმავლობაში იყო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული გენერალური დირექტორი).

კომპეტენტურმა კომისიამ დეტალური განხილვის შემდეგ გამოაქვეყნა შეფასება, რომელშიც მითითებულია, რომ „საქართველოს ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი საქვეყნოდ ცნობილია განსაკუთრებული მიღწევებით ინფექციურ დაავადებათა დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და კონტროლის დარგში. ის ახორციელებს პიონერულ (ნოვატორულ) საქმიანობას შიდსისა და ვირუსული ჰეპატიტების სფეროში. მან უზრუნველყო ქვეყანაში ანტირეტროვირუსული მკურნალობისა და აივ ინფექცია/შიდსის დედიდან ბავშვზე გადაცემის პროფილაქტიკის უნივერსალური ხელმისაწვდომობა".

ბატონმა თენგიზმა პრემიის მინიჭებას თითოეული თანამშრომლის თავდაუზოგავი შრომის შედეგი უწოდა და წინაისტორია დაწვრილებით გაგვაცნო:

— შიდსის პრობლემაზე მე და ჩემი კოლეგები უკვე 25 წელია ვმუშაობთ. თქვენ იცით, რომ შიდსის ვირუსი 1982 წელს აღმოაჩინეს. 1984 წლიდან ჩვენ ამ პრობლემის კვლევაში ჩავებით, მაშინ, როცა შიდსზე მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატები და კიდევ ორი-სამი ქვეყანა მუშაობდა.

ამ ამბავს საინტერესო წინაისტორია აქვს. მე მყავდა პედაგოგი — დიდი რუსი მეცნიერი-იმუნოლოგი რემ პეტროვი, მაშინდელი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, რომელმაც დამირეკა და მითხრა, რომ მსოფლიოში გაჩნდა ახალი დაავადება, რომელიც უახლოეს მომავალში კაცობრიობის ნომერ პირველი პრობლემა გახდებოდა. მანვე შემომთავაზა, როგორც იმუნოლოგსა და ინფექციონისტს, დამენებებინა თავი სხვა პრობლემებზე მუშაობისთვის და დამეწყო ამ მიმართულებით მუშაობა. ბუნებრივია, ვიკითხე, თავად რატომ არ დაინტერესდა ამ პრობლემით. აღმოჩნდა, რომ მაშინდელი პოლიტბიურო (ბრეჟნევი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო) აივ-ინფექციის საფრთხეში ვერ დაარწმუნა, რადგან ჩათვალეს, რომ ეს დაავადება სულ რამდენიმე ჰომოსექსუალისტს შეეყარა და მხოლოდ ოკეანისგაღმითა სახელმწიფოების პრობლემა იყო. მე კი ვენდე რემ პეტროვს, რომელიც ნიჭიერი და გლობალურად მოაზროვნე მეცნიერი იყო. იგი მიხვდა, რომ აივ ინფექცია მალე მთელი მსოფლიოს პრობლემა გახდებოდა და დიდ მასშტაბებს შეიძენდა.

შიდსის პრობლემის სერიოზულობაში დავარწმუნე ჩემი ხელმძღვანელი, პროფესორი სერგო კობალაძე, რომელმაც მაშინდელი საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ოთარ ჩერქეზიასთან მიშუამდგომლა. მან აპარატურის შესაძენად ვალუტა გამოგვიყო. ასეთი რამ მაშინდელ საქართველოში და მთელ საბჭოთა სივრცეში წარმოუდგენელი გახლდათ, რადგან, რაც უნდა ბევრი ფული გქონოდა, უცხოურ ვალუტას ვერ იშოვიდი. ასე დავიწყეთ მუშაობა შიდსის პრობლემაზე. შევიძინეთ შიდსზე კვლევის აპარატი, რომელიც ახლა სამუზეუმოდ გვიდგას. 1984 წელს შევასრულეთ საბჭოთა კავშირში პირველი და აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი პირველი გამოკვლევა შიდსზე. 1989 წელს შევქმენით შიდსის ცენტრი.

2001 წელს შიდსის ცენტრი და ინფექციური საავადმყოფო შეერთდა და შეიქმნა ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრი, რომლის ხელმძღვანელიც მე გახლავართ. ამის შემდეგ ჩვენი კოლექტივი სულ ცდილობდა და ახერხებდა, რომ ნოვატორთა რიგებში ყოფილიყო. მიმაჩნია, რომ ჩვენ მართლა დიდი წვლილი შევიტანეთ არა მხოლოდ ამ დაავადების, არამედ ინფექციური პათოლოგიის და კლინიკური იმონოლოგიის დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და კონტროლის დარგში, რისთვისაც ბოლო 5 წელი სისტემატურად ვსახელდებოდით მსოფლიოს ერთ-ერთ წარმატებულ ჯანდაცვის ორგანიზაციად.

2002 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის სპეციალურ სესიაზე, რომელიც შიდსს მიეძღვნა, მომეცა შესაძლებლობა სიტყვით გამოვსულიყავი. ეს გახლდათ უნიკალური მოვლენა, რადგან, იცით, რომ იქ მხოლოდ მაღალი რანგის პოლიტიკოსებს აქვთ სიტყვით გამოსვლის საშუალება. ახლა ამ სესიებზე საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობს ან ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი, ან საქართველოს პირველი ლედი, შიდსის და ტუბერკულოზის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე სანდრა რულოვსი. აქვე გეტყვით იმასაც, რომ ქალბატონი სანდრა ამ საქმეს სათავეში ახლა არ ჩადგომია. იგი ჯერ კიდევ მაშინ იყო დაინტერესებული, როცა საქართველოში ჩამოვიდა და მიხეილ სააკაშვილი რიგითი პოლიტიკოსი იყო. ქალბატონი სანდრა ზრუნავდა შიდსით დაავადებულ პაციენტებზე, ჩვენთან ერთად დადიოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ხვდებოდა აივ ინფიცირებულებს და რისკის ჯგუფის პირებს და ა.შ. ამიტომ, როცა ის პირველი ლედი გახდა, აირჩიეს შიდსის და ტუბერკულოზის ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარედ და მთელი ეს წარმატებები, რასაც ვაღწევთ, მნიშვნელოვანნილად მისი დამსახურებაცაა.

როგორც აღვნიშნე, ბოლო 5 წელია ჩვენი სამსახური სისტემატურად სახელდება, როგორც ერთ-ერთი წარმატებული სამედიცინო ცენტრი. ამიტომ გავბედეთ და განაცხადი შევიტანეთ 2009 წელს Dr. LEE Jong-wook-ის პრემიის მოსაპოვებლად გამოცხადებულ ღია კონკურსში. ჩვენი განაცხადი 25 გვერდზე იყო ჩამოწერილი და მისი დასაბუთება ორ დიდ ჩანთაში იყო მოთავსებული (წიგნები, გამოქვეყნებული სტატიები და სხვა დოკუმენტაცია). როგორც ვიცი, კონკურსზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან 200-ზე მეტი განაცხადი შევიდა. ისინი განიხილა ავტორიტეტულმა კომისიამ, რომელსაც რევიუბორდი ჰქვია და 16 უმაღლესი რანგის ექსპერტისგან შედგება. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ სულ 5 პრემია დაამტკიცა. მათ შორის უმაღლესი იყო ჩვენი პრემია. ნობელის პრემიის შემდეგ მედიცინაში ამაზე მაღალი პრემია არ არსებობს.

საოცარი განწყობა დაგვეუფლა საქართველოს დელეგაციის წევრებს, როცა 2009 წლის მაისში გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე ჩვენი წარმატება გამოცხადდა და მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგომით გვიკრავდა ტაშს. ჩვენ ამ პრემიის პირველი ლაურეატები გახლავართ. ამ რანგის პრემია პოსტსაბჭოთა სივრცეში არავის მიუღია. დასკვნაში ჩაწერილი სიტყვები, რომ „ჩვენი ცენტრი აწარმოებს პიონერულ კვლევებს შიდსისა და ვირუსული ჰეპატიტების დარგში", ძალიან დიდ რამეს ნიშნავს, რადგან ამ დასკვნას აკეთებს შესარჩევი კომიტეტი, ახმოვანებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური მდივანი და ამას ესწრება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა. ისინი საქებარ სიტყვებს ძუნწად ხმარობენ და თუ ნამდვილად არ იმსახურებ, არავინ გეტყვის.

— ბატონო თენგიზ, ექიმთა დიდი უმრავლესობა ოჯახურ ტრადიციებს აგრძელებს და მათი პროფესიის არჩევაში დიდი როლი სწორედ ამ ფაქტორმა ითამაშა. თქვენ შემთხვევაში როგორ იყო, ოცნებობდით თეთრ ხალათზე თუ არჩევანი აქაც ტრადიციამ განაპირობა?

— არც უმაგისობა იყო, რადგან ჩემი მშობლებიც ექიმები იყვნენ. თავად დიდად არ ვიყავი გატაცებული სამედიცინო სფეროთი. როგორც ბევრ ბავშვს, მეც ფიზიკოსობა, ასტრონომობა ან კოსმოსში გაფრენა მსურდა. წარმატებული მოსწავლე ვიყავი და ინტერესებიც მრავალმხრივი მქონდა. გახლდით საქართველოს მათემატიკოსთა, ფიზიკოსთა და ქიმიკოსთა ოლიმპიადების 11-გზის გამარჯვებული და, ასევე, მათემატიკოსთა საკავშირო ოლიმპიადის 2-გზის გამარჯვებული. ქართველისთვის ამ შედეგის მიღწევა საბჭოთა პერიოდში ძალიან ძნელი იყო. რადგანაც ამ მიმართულებით ბევრს ვმუშაობდი, სხვაგვარად მესახებოდა ჩემი მომავალიც, მაგრამ წინათ თუ მშობლები ექიმები იყვნენ და შენც კარგ მოსწავლედ ითვლებოდი, სამედიცინოზე ჩაბარება პრესტიჟის საქმე იყო. თუ იქ ვერ ჩააბარებდი, ესე იგი, შენ არც ისე ძლიერი იყავი... ასე, მშობლების კატეგორიული მოთხოვნით მოვხვდი სამედიცინო ინსტიტუტში. მერე კი ძალიან გამიტაცა და ჩამითრია ამ საქმემ და დღეს ჩემი თავი სხვა სფეროში ვეღარც წარმომიდგენია.

— ესე იგი, წარმატებისკენ სწრაფვის ამბიცია ბავშვობიდან გქონდათ...

ჩვენ ამ პრემიის პირველი ლაურეატები გახლავართ. ამ რანგის პრემია პოსტსაბჭოთა სივრცეში არავის მიუღია. დასკვნაში ჩაწერილი სიტყვები, რომ „ჩვენი ცენტრი აწარმოებს პიონერულ კვლევებს შიდსისა და ვირუსული ჰეპატიტების დარგში", ძალიან დიდ რამეს ნიშნავს, რადგან ამ დასკვნას აკეთებს შესარჩევი კომიტეტი, ახმოვანებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური მდივანი და ამას ესწრება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა.

მე-10 გვერდზე

ავადმყოფობა ჩემთვის საინტერესო შემთხვევაა, რომელიც უნდა ამოხსნა და დაამარცხო

ინტერვიუ პროფესორ თენგიზ ცერცვაძესთან

მე-9 გვერდიდან

— პირველ ეტაპზე მქონდა, მაგრამ შემდეგ ეს ამბიცია უკვე ავადმყოფთან მუშაობის ინტერესმა გადაფარა. მართალია, მათემატიკასა და ფიზიკაში მეტ სამეცნიერო საიდუმლოს შეიძლება ჩავწვდომოდი, მაგრამ, დამეთანხმებით, თითოეული გადარჩენილი ავადმყოფის სიცოცხლე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათემატიკასა ან ფიზიკაში ამოხსნილი ნებისმიერი ამოცანა. დაახლოებით VI კურსიდან დაწყებული, მედიცინას უკვე არაფერში არ გავცვლიდი.

ბუნებით მაძიებელი ვარ და ყოველთვის ვეძებდი ისეთ დარგს, რომელშიც რაღაც განსაკუთრებულის გაკეთებას შევძლებდი, ამიტომ რამდენიმე სპეციალობა გამოვიცვალე. თავდაპირველად კარდიოლოგი ვიყავი და პირველი დისერტაცია კარდიოლოგიაში სერგო კობალაძის და გურამ არაბიძის ხელმძღვანელობით დავიცავი.

33 წლისამ დავანებე თავი კარდიოლოგიას და დავინტერესდი იმუნოლოგიით, რადგან ის ჩემი ბავშვობის ოცნებასთან – რაღაც უცნობის ძიებასთან ძალიან ახლოს იდგა. ორგანიზმის იმუნური სისტემა არის სისტემა, რომელსაც თვალით ვერ ხედავ, მაგრამ სწორედ იგი იცავს ორგანიზმს გარეგანი და შინაგანი უცხო დამაზიანებელი აგენტისგან. ჩვენი იმუნური სისტემა მუდმივად აკონტროლებს ორგანიზმის ჯანმრთელობას. ავადმყოფობების დიდი უმრავლესობა, განსაკუთრებით ინფექციური და სიმსივნური, ჩნდება მაშინ, როცა იმუნურ სისტემაში რამე ვეღარ ფუნქციონირებს.

კიდევ ერთი ფაქტორი, რატომაც კარდიოლოგიას თავი დავანებე, გახლდათ ის, რომ იმ პერიოდში წავიკითხე პეტროვის წიგნი "Я или не я", რომელშიც რომანტიკულად იყო აღწერილი იმუნური სისტემის ისტორიები და დანიშნულება, მოთხრობილი იყო, თუ რა თავგადასავლები ჰქონდათ იმუნოლოგებს, როგორ გააკეთეს აღმოჩენები და შექმნეს ვაქცინები პასტერმა და სხვებმა. ამის შემდეგ კარდიოლოგიამ აღარ დამაინტერესა, რამაც ჩემი ოჯახის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან, პრაგმატულად თუ მივუდგებით, კარდიოლოგი ყველაზე საჭირო ექიმია, იმუნოლოგია კი მაშინ არავის აინტერესებდა.

წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც ჩემი გავიტანე. ჩავედი მოსკოვში, გავიცანი პეტროვი და დავიწყე მოღვაწეობა იმუნოლოგიაში, რომელმაც შიდსამდე მიმიყვანა. აქ უკვე გამიმართლა, რადგან ეს განსაკუთრებული სფერო აღმოჩნდა — შიდსი იყო და რჩება მსოფლიოს ყველაზე იდუმალ, რთულ და დამაინტრიგებელ დაავადებად. მსოფლიო ჯანდაცვაში დღეს ყველაზე დიდი დაფინანსება შიდსს აქვს, ყველაზე დიდი კონგრესები შიდსის თემაზე იმართება. წარმოიდგინეთ, რომ გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომა, შიდსის გარდა, არც ერთ სხვა დაავადებას არ ეძღვნება. ეს დაავადება გამორჩეულია იმით, რომ მას იწვევს ვირუსი, რომელიც ინტეგრირდება ადამიანის სისხლის უჯრედების გენებში და ადამიანის ორგანიზმის ნაწილი ხდება. ჩავთვალე, რომ, როგორც მეცნიერს, ამ მიმართულებით ყველაზე მეტი რამის გაკეთება შემეძლო. შემდეგ ამას დაემატა ინტერესი ვირუსული ჰეპატიტების მიმართ. საქმე ისაა, რომ თუ მსოფლიოში შიდსია ყველაზე დიდი პრობლემა, საქართველოში მას ჰეპატიტების პრობლემა უსწრებს. მარტო C ჰეპატიტით საქართველოში 200 000 კაცია დაავადებული.

— თქვენი პირველი პაციენტი თუ გახსოვთ?

— პირველი პაციენტი არა, მაგრამ ერთი გამორჩეული პაციენტი მახსოვს. ეს გახლდათ ხანშიშესული ქალბატონი, რომელსაც ლურჯი ფერის კანი ჰქონდა მთელ სხეულზე. მაშინ ვერავინ დაადგინა, რა უნდა ყოფილიყო მისი კანის სილურჯის მიზეზი. პროფესორმა ვახტანგ ალადაშვილმა ჯერ კიდევ სტუდენტი მიმამაგრა ამ ქალბატონს და დამავალა, ამომეხსნა ეს საიდუმლო. ძალიან დიდი ხანი დავყვებოდი ამ ქალბატონს მთელს თბილისში და ერთად ვიკვლევდით, რა შეიძლებოდა ყოფილიყო მიზეზი. ყველა მიცნობდა როგორც „ლურჯი ქალის“ თანმხლებს... როცა თითქოს კვლევის ყველა შესაძლებლობა ამოვწურეთ, ფიზიკის ინსტიტუტში სპეციალური სპექტრული ანალიზით დავადგინეთ, რომ ამ ქალბატონს ჰქონდა ძალიან ბანალური, მაგრამ იშვიათი დაავადება – ვერცხლის მარილების ჩალაგება კანქვეშ. თურმე ეს ქალბატონი ძალიან დიდხანს ხმარობდა ვერცხლის შემცველ საცხს და ამან გამოიწვია კანის ქვეშ ვერცხლის ჩალაგება.

— როგორი ექიმი ხართ... მკაცრი თუ გულისხმიერი?

— გამიჭირდება ამაზე საუბარი, მაგრამ ამბობენ, რომ გულისხმიერი, უცნაური და თავისებური ვარ... თანამშრომლები და მეგობრები ბოლო დროს ხშირად მადარებენ ცნობილი სერიალის გმირს, დოქტორ ჰაუსს. მე ასეთი უხეში არა ვარ, მაგრამ პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომა კი მახასიათებს....

მკაცრი არა, უფრო პრინციპული ვარ. მაგალითად, როცა ინფექციური საავადმყოფოს გაუქმებას აპირებდნენ, სასტიკი წინააღმდეგობა გავუწიე კახა ბენდუქიძეს. ეგონათ, რომ გამათავისუფლებდნენ სამსახურიდან...

მკაცრი არა, უფრო პრინციპული ვარ. მაგალითად, როცა ინფექციური საავადმყოფოს გაუქმებას აპირებდნენ, სასტიკი წინააღმდეგობა გავუწიე კახა ბენდუქიძეს. ეგონათ, რომ გამათავისუფლებდნენ სამსახურიდან... წარმოიდგინეთ, ეს საავადმყოფო რომ არ არსებობდეს, მაშინ, როცა ამდენი შიდსის, ვირუსული ჰეპატიტის და სხვადასხვა ინფექციური დაავადების შემთხვევა (თუნდაც ფრინველის გრიპი, ღორის გრიპი და სხვ.) გვაქვს... მართალია, დღეს ეს საავადმყოფო გაიყიდა, მაგრამ უკვე სულ სხვა, სავსებით მისაღები პირობებით, შემოსული ფულით დიღომში შენდება ულტრათანამედროვე, უახლესი აპარატურით აღჭურვილი საავადმყოფო – ინფექციური პათოლოგიისა და შიდსის ცენტრი....

მოკლედ, ზოგჯერ ასეთი ფიცხიც ვარ, მაგრამ ავადმყოფებთან არა – მათთან უფრო ინტერესიანი გახლავართ. ჩემთან ავადმყოფები ხვდებიან მათი დაავადების უცნაურობის და შეუცნობლობის გამო. არ აქვს მნიშვნელობა მის ფინანსურ შესაძლებლობებს, მე ჩემი ფულით მიპატრონებია ასეთი ავადმყოფებისთვის... გერმანიაშიც კი გამიგზავნია გამოკვლევისთვის ჩემი თანხებით...

— რას გრძნობთ, როცა ავადმყოფს უყურებთ... კონკრეტული ადამიანისთვის დაავადება ტრაგედიაა, თქვენთვის ჩვეულებრივი მოვლენა... ამიტომ ხშირად ისმის ექიმების მიმართ ბრალდება, რომ ისევე მტკივნეულად არ განიცდიან ავადმყოფის მდგომარეობას, როგორც თავად ავადმყოფი...

— კარგი კითხვაა... იცით, რომ პროკურორებისთვის და გამომძიებლებისთვის მკვლელობა სტატისტიკაა და საქმის გახსნა მხოლოდ პროფესიული თავმოყვარეობის ამბავია. ასეა ექიმებისთვისაც — ხშირად, ექიმების საუბარს რომ მოუსმინოთ, მძიმე დაავადებაზე ისე საუბრობენ, როგორც საინტერესო შემთხვევაზე.

არ ვიქნები გულწრფელი, გითხრათ, რომ მთლიანად თავისუფალი ვარ ამისგან და ყველა ავადმყოფის პირადი ტრაგედია ჩემი ტრაგედიაცაა. რაღაც გარკვეული თვალსაზრისით, ავადმყოფობა ჩემთვისაც საინტერესო შემთხვევაა, რომელიც უნდა ამოხსნა და დაამარცხო, მაგრამ გულგრილობასაც ვერ დავწამებ საკუთარ თავს. გაცილებით ახლოს მიმაქვს ავადმყოფის გასაჭირი გულთან, ვიდრე საერთოდ მიღებულია. ვცდილობ, რომ ცივი გონებით გავაანალიზო ავადმყოფის მდგომარეობა, მაგრამ როცა ახალგაზრდის მოურჩენელ დაავადებასთან მაქვს საქმე, საკმაოდ ემოციურად ვუდგები მის მდგომარეობას. მაგალითად, თავდაპირველად შიდსის დიაგნოზის დასმის შემთხვევას ძალიან განვიცდიდი... ახლა უკვე შევეჩვიე და ისე აღარ განვიცდი, რადგან შიდსი მართვადი გახდა, ის არ იკურნება, მაგრამ, თუ ადამიანს სიცოცხლესთან შეუთავსებელი სხვა დაავადება არ აქვს, სიცოცხლე ამ დაავადებასთან ერთად შესაძლებელია.

— თქვენს სამუშაო ოთახზე თვალის შევლებაც კი საკმარისია, დაასკვნა, რომ შემოქმედებითი ადამიანი ბრძანდებით. რა ადგილს იკავებს თქვენს ინტერესებში ხელოვნება?

— მიუხედავად იმისა, რომ განგებას შემოქმედებითი ნიჭით დიდად არ დავუჯილდოებივარ, საოცრად მიყვარს ბალეტი და საოპერო ხელოვნება. ნინო ანანიაშვილის დიდი თაყვანისმცემელი გახლავართ. იმდენად მიყვარს მისი ხელოვნება, რომ მის ბალეტებს საზღვარგარეთაც ვესწრები. მაგალითად, როდესაც მეტროპოლიტენ-ოპერაში ჰქონდა გასტროლი, მეც დავესწარი.

— არ შემიძლია არ გკითხოთ თქვენი კოლექციის შესახებ. რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც ბუ, კონკრეტული საბაბი აქვს ამ არჩევანს?

— ბავშვობაში ჩემი მეგობრები იჭერდნენ ხოლმე ბუს და საცოდავ ფრინველს მეც მათთან ერთად დავარბენინებდი აქეთ-იქით, მაგრამ კოლექციის შეგროვებისთვის ეს არ იყო საბაბი. ბოლო 7-8 წელია, რაც ჩემს გარემოში ბუ გაჩნდა. თავიდან შეგროვება არც მიფიქრია. უბრალოდ, მომეწონა რამდენიმე ნამუშევარი და შევიძინე. მერე უკვე კოლექციის სახე მიეცა. სტუდენტობიდან მოყოლებული, ჩემი ცხოვრების მანძილზე არც ერთი ავადმყოფისთვის ფული არ გამომირთმევია და არც ფასიანი საჩუქარი მიმიღია მათგან. ერთადერთი გამონაკლისია ბუ, რადგან, ვინც გაიგო ჩემი გატაცების ამბავი, ყველა ცდილობს მისახსოვროს. 12 თუ 13 ბუ ქალბატონი სანდრას ნაჩუქარია. მანაც იცის ჩემი გატაცების შესახებ და როცა საიდანმე ჩამოდის, მირეკავს — „ბატონო თენგიზ, მორიგი ბუ ჩამოგიყვანეთო“.

დღეს ჩემს კოლექციაში საკმაოდ მაღალი ღირებულების ბუები დაგროვდა, ზოგი საავტოროა, ზოგი მარმარილოა, ზოგი – ძვირფასი ქვის... მაქვს ბრაზილიური ძვირფასი ქვის, ვენეციური მურანოს, ვერცხლის ბუები, ზოგი მღერის და ცეკვავს.... სულ 300-ზე მეტია. ერთ მარმარილოს ბუზე მითხრეს, რომ ოდესღაც სტალინის კაბინეტში იდგა....

* * *

ბატონ თენგიზთან საუბრის დროს მგონი პირველად ვინანე, რომ სატელევიზიო სიუჟეტს არ ვაკეთებდი. მინდოდა მისი გადამდები საუბრის მანერა აუდიტორიასაც ეგრძნო და დაენახა, როგორი სიყვარულით საუბრობდა იგი თავის პროფესიაზე, გატაცებებზე და მეუღლეზე, ქალბატონ ანა თოფურიაზე. „მეგონა სამეცნიერო მოღვაწეობა იყო ყველაფერი და ოჯახის შექმნა დავაგვიანე, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ ჩემს გვერდით არაჩვეულებრივი ადამიანი დგას. შვილები არ გვყავს, მაგრამ ძალიან მოსიყვარულე და ქართული ტრადიციული ოჯახი გვაქვს“, — გვითხრა ბატონმა თენგიზმა, რომელიც ამ ახალ წელსაც, ტრადიციისამებრ, ერთ ახალ ბუს შემატებს თავის კოლექციას.... შემდეგ კი ექიმისა და მეცნიერის დატვირთული სამუშაო წელი დაიწყება... ასე იყო წლების განმავლობაში, ასე იქნება წელსაც....

მეცნიერების რა ბირთვს ეფუძნება პირველი ქართული უნივერსიტეტის სახელი

უნივერსიტეტის დაარსება მხოლოდ საქართველოში შეიძლება შეფასებულიყო გმირობად და ამ გმირობის აღიარებაც მხოლოდ საქართველოს ისტორიის მცოდნეთ ძალუძთ. 20-30-იან წლებში ქართული სახელმწიფოს იდეოლოგების მიერ საგანმანათლებლო დაწესებულების ეროვნულ-განმათავისუფლებელ კერად გადაქცევ ამ პირველი ქართული უნივერსიტეტის მისია გამოკვეთა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს მისია პრაქტიკულად ზედნაშენი იყო უნივერსიტეტის დაარსების რეალურ იდეაზე, რაც პირველი ქართული სასწავლებლის დამფუძნებლებს ივანე ჯავახიშვილს, აკაკი შანიძეს, შალვა ნუცუბიძეს, დიმიტრი უზნაძეს, ექვთიმე თაყაიშვილს და სხვებს ჰქონდათ. ,,სულ სხვაა უნივერსიტეტი: იქ მეცნიერება მთელი თავისი მრავალმხრივობითა და მრავალფერადოვნებით სუფევს, ყველა თავისი მიმართულებით..." — აღნიშნავდა დიდი ივანე ჯავახიშვილი.

უნივერსიტეტის როლი ქართველი ერის ცხოვრებაში, მისი უახლესი და სამომავლო შედეგები, კარგად ჰქონდათ გააზრებული რუსეთის საიმპერატორო კარზე. ამიტომ იყო, რომ რომანოვების იმპერიაში იძულებითი ყოფნის 117 წლის განმავლობაში საქართველოში უნივერსიტეტის გახსნა აუხდენელ ოცნებად დარჩა. ოცნება რეალობად იქცა 1918 წელს. ეს დიდი ეროვნული-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე წარმატებით დააგვირგვინეს ივანე ჯავახიშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა.

რუსეთის იმპერიის ნგრევას (1917 წ.) და ქართველი ერის გათავისუფლებას რუსთა ბატონობისგან ზედიზედ მოჰყვა სამი დიდი მოვლენა: საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა (1917 წლის 12 მარტი); ქართული (თბილისის) უნივერსიტეტის დაარსება (1918 წლის 26 იანვარი) და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა (1918 წლის 26 მაისი). ამ სამმა დიდმა მოვლენამ განსაზღვრა ქართველი ერის ისტორია XX საუკუნეში. სწორედ ამიტომ არის ფასდაუდებელი ივანე ჯავახიშვილისა და მისი თანამებრძოლების მიერ გაკაფული გზა ეროვნულ ფესვებზე აღმოცენებული მეცნიერების მწვერვალებისკენ.

საუნივერსიტეტო ცხოვრების ჭრილში პარალელების გავლება დღევანდელობასა და იმ პერიოდს შორის ძალზე სათუთი საქმეა. ჩვენ ძველი, მართლაც შესანარჩუნებელი ტრადიციებისა და დროის ახალი მოთხოვნების ურთიერთშესაბამისობა უნდა მოვძებნოთ და მას უნდა დავეყრდნოთ ყოველი ნაბიჯის გადადგმისას. თუმცა მუდამ უნდა გვახსოვდეს, მეცნიერების რა ბირთვს ეფუძნება პირველი ქართული უნივერსიტეტის სახელი, რომლის საერთაშორისო ასპარეზზეც გატანა ისევ მათი შემოქმედებითი ცხოვრების დამსახურებაა.

ივანე ჯავახიშვილი (1876-1940) — 1895 წელს დაამთავრა თბილისის გიმნაზია, 1899 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-ირანული განყოფილების დამთავრებისთანავე დატოვეს უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად. 1903 წლიდან სომხურ-ქართული კათედრის პრივატ-დოცენტი იყო, 1907 წელს დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია თემაზე: „ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფოებრივი წყობილება." ამავე წელს ჩამოაყალიბა პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული სამეცნიერო წრე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამფუძნებელი და მისი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი 1918-1919 წლებში. ხოლო შემდეგ, 1919-1926 წლებში - რექტორი. 1921-1930 წლებში – საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე, 1931 წლიდან – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული განყოფილების გამგე და კავკასიისმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი, 1937 წლიდან – რუსთაველის სახელობის მუზეუმის დირექტორი.

პეტრე მელიქიშვილი (1850-1927) – 1868 წელს დაამთავრა თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზია, 1872 წელს – ნოვორისიის (ოდესა) უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება. 1876 წელს მუშაობა დაიწყო იმავე უნივერსიტეტში ქიმიის ლაბორატორიაში. 1881 წელს დაიცვა დისერტაცია მაგისტრის სამეცნიერო ხარისხის, ხოლო 1885 წელს კი – დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1884 წლიდან აირჩიეს ნოვოროსიის უნივერსიტეტის დოცენტად, ხოლო 1885 წლიდან კი – პროფესორად. 1900 წელს დიდი სამეცნიერო დამსახურებისთვის პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ ლომონოსოვის სახელობის პრემია და დიდი ოქროს მედალი გადასცა. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პირველი რექტორი 1918-1919 წლებში.

ექვთიმე თაყაიშვილი (1863-1953) – 1883 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, 1887 წელს კი – პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით. 1887-1894 წლებში იყო თბილისის სათავადაზნაურო სკოლისა და კლასიკური გიმნაზიის მასწავლებელი, 1894-1904 წლებში კი – სათავადაზნაურო გიმნაზიის გამგე. ისტორიას ასწავლიდა თბილისის ქალთა პირველ და მეექვსე გიმნაზიებში. 1907 წლიდან იყო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დამფუძნებელი და მისი პირველი თავმჯდომარე. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი პროფესორთაგანი, 1921 წელს წავიდა ემიგრაციაში, სადაც სამეცნიერო მოღვაწეებთან ერთად მისი მთავარი მისია საფრანგეთში ემიგრირებული ხელისუფლების მიერ წაღებული ქართული განძის დაცვა-გადარჩენა იყო. საქართველოს საუნჯეს 1945 წელს თან ჩამოჰყვა სამშობლოში. საბჭოთა სამართალდამცავი ორგანოების სასტიკი მოპყრობის გამო ტრაგიკულად აღესრულა. საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

ანდრია რაზმაძე (1889-1929) – 1906 წელს დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი, 1910 წელს კი მოსკოვის უნივერსიტეტი. 1917-1918 წლებში იყო მოსკოვის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი. ანდრია რაზმაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი და თსუ-ის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის პირველი დეკანი იყო. იგი ითვლება ქართული თანამედროვე მათემატიკური მეცნიერების ფუძემდებლად. მან პირველმა წაიკითხა მათემატიკის, მექანიკისა და ფიზიკის კურსები ქართულ ენაზე, დაწერა პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები ქართულად, საფუძველი ჩაუყარა ქართულ მათემატიკურ ტერმინოლოგიას. 1925 წელს პარიზში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი (1852-1941) – მეცენატი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე, ალექსანდრე ორბელიანის მეუღლე, ივანე ჯავახიშვილის მეუღლის, ანასტასია ორბელიანის მამიდა. 1918 წლიდან მის სახლში ცხოვრობდა ივანე ჯავახიშვილი ოჯახითურთ. მარიამ ორბელიანი იყო ქართული უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების კომიტეტის წევრი, მრავალი საქველმოქმედო წამოწყების ინიციატორი და საზოგადოების ხელმძღვანელი. მის მიერ ევროპიდან ჩამოტანილი შენობის გეგმის მიხედვით შექმნა სიმონ კლდიაშვილმა ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობის პროექტი.

იოსებ ყიფშიძე (1882-1919) – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, თსუ-ის პროფესორთა საბჭოს მდივანი. 1911 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი. 1915 წლიდან იყო ამავე უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი.

ნიკოლოზ ცხვედაძე (1845-1911) – დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია და მოსკოვის სასულიერო აკადემია. 1869 წლიდან იყო მასწავლებელი თბილისის სასულიერო სემინარიაში, 1874 წლიდან კი – თბილისის ქალთა ინსტიტუტსა და წმ. ნინოს სახელობის სასწავლებელში; იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი, მისი წესდების პროექტის ავტორი და საზოგადოების გამგეობის მუდმივი წევრი, 1899-1907 წლებში კი – საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, ვლადიკავკაზში, ბათუმსა და ბაქოში ქართული სკოლების გახსნის ინიციატორი, 1998 წლიდან ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობის აგების მოთავე და სულისჩამდგმელი.

კორნელი კეკელიძე (1879-1962) – 1904 წელს დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია, 1905-1906 წლებში მუშაობდა მასწავლებლად ქუთაისსა და თბილისში; მონაწილეობდა საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუშაობაში. 1916 წლიდან ხელმძღვანელობდა თბილისის სასულიერო სემინარიას. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, 1919-1925 წლებში თსუ-ის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი, 1926-1930 წლებში თსუ-ის პრორექტორი. 1918 წლიდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა თსუ-ის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას, 1921-1930 წლებში – თსუ-ის სიძველეთა მუზეუმს, 1933-1936 წლებში – ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას, ხოლო 1942-1949 წლებში კი – რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს.

აკაკი შანიძე (1887-1987) — 1913 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, თსუ-ის პროფესორთა საბჭოს მდივანი, სომხური ენის კათედრის გამგე (1918-1930), ქართული ენის კათედრის გამგე (1919-1945), ძველი ქართული ენის კათედრის გამგე, იოსებ ყიფშიძესთან და გიორგი ახვლედიანთან ერთად, საქართველოში ენათმეცნიერების ფუძემდებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პრაღის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტი, შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.

ანტონ თვალჭრელიძე (1856-1933) — აგრონომ-ბოტანიკოსი. სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიასა და დონის (ნოვოჩერკასკის) ინსტიტუტში, სტავროპოლის გუბერნიაში მუშაობდა სახალხო სასწავლებლების ინსპექტორად, 1897 წელს გამოსცა წიგნი სტავროპოლის გუბერნიის შესახებ. ეს იყო რუსეთის იმპერიაში პირველი სტატისტიკური ნაშრომი. ფინანსური დახმარება აღმოუჩინა ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის მშენებლობას. 1917 წელს საქართველოში დაბრუნდა და დაიწყო ციხისძირის ბოტანიკური ბაღის გაშენება, დააფინანსა ექსპედიცია ჩინეთში, საიდანაც ჩამოიტანა ჩაის, ლიმონისა და ციტრუსების ნერგები. 1918 წლის სექტემბრიდან 1926 წლამდე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობათა მეთვალყურე, მისი გეგმის მიხედვით გაშენდა უნივერსიტეტის I კორპუსის ბაღი. 1926 წლიდან დასახლდა აჭარაში, ციხისძირში, იყო სკოლის დირექტორი.

გიორგი ჩუბინაშვილი (1885-1973) – ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებელი. 1907-1912 წლებში სწავლობდა ფსიქოლოგიას ლაიფციგისა და ჰალეს უნივერსიტეტებში, 1917 წელს ქართულ, სომხურ და სპარსულ ფილოლოგიას პეტერბურგის უნივერსიტეტში, 1918-1830 და 1937-1948 წლებში იყო თსუ-ის პროფესორი, თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პირველი რექტორი 1922-1928 წლებში, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი 1941 წლიდან გარდაცვალებამდე.

დიმიტრი უზნაძე (1887-1950) – ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებელი, 1909 წელს დაამთავრა ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი და იმავე წელს ჰალეს უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, თსუ-ის პროფესორთა საბჭოს მდივანი, ფსიქოლოგიის კათედრის გამგე, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფსიქოლოგიური კათედრის დამაარსებელი და გამგე (1933-1942), ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი.

ფილიპე გოგიჩაიშვილი (1872-1950) – ეკონომისტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. 1901 წელს დაამთავრა ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის ეკონომიკური განყოფილება, 1905-1906 წლებში რედაქტორობდა გაზეთ „ივერიას", 1914-1916 წლებში იყო რუსეთის საერობო კავშირის რწმუნებული ამიერკავკასიაში, 1917-1918 წლებში – კახეთის რკინიგზის გამგეობის თავმჯდომარე, 1918-1920 წლებში – სახელმწიფო კონტროლიორი (მინისტრი), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი პროფესორი.

შალვა ნუცუბიძე (1888-1969) – ფილოსოფოსი, ლიტერატურათმცოდნე, კულტურის ისტორიკოსი, მთარგმნელი. 1906-1910 წლებში სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე ფილოსოფიის განხრით. 1911-1914 წლებში გერმანიაში მოღვაწეობისას ჩამოაყალიბა ორიგინალური ფილოსოფიური მოძღვრება — ალეთოლოგია. დიდი წვლილი შეიტანა ფსევდოდიონისე არეოპაგელის და პეტრე იბერის იდენტობის საკითხის შესწავლაში. იკვლევდა ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიას და მასთან დაკავშირებულ აღმოსავლური რენესანსის საკითხებს. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, თსუ-ის პრორექტორი.

გიორგი ახვლედიანი (1887-1973) – ენათმეცნიერი. 1914 წელს დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტი, იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პროფესორი, პირველი ქართული საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების ავტორი ენათმეცნიერებაში. მისი ინიციატივით შეიქმნა ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორია და ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება. იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ექსპერიმენტული ფონეტიკის საერთაშორისო საზოგადოებისა და ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების წევრი, მისი რედაქტორობით გამოიცა ოსური ენის აკადემიური გრამატიკის 2 ტომი. განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართული საენათმეცნიერო ტერმინოლოგიის დადგენასა და საქართველოში ფონეტიკის პრაქტიკული გამოყენების – ლოგოპედიის დამკვიდრება-განვითარებაში.

ილია ყიფშიძე (1882-1953) – საქართველოში გეოლოგიური განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1908 წელს ქ. აახენში

მე-12 გვერდზე

მეცნიერების რა ბირთვს ეფუძნება პირველი ქართული უნივერსიტეტის სახელი

მე-11 გვერდიდან

დაამთავრა რაინვესტფალიის უმაღლესი ტექნიკური სკოლა. 1919 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1928-1938 წლებში კი – საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მან, ა. თვალჭრელიძესთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა კრისტალოგრაფიისა და მინერალოგიის სწავლებას თსუ-სა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

ალექსანდრე ჯანელიძე (1888-1975) – გეოლოგი. საქართველოში გეოლოგიური განათლებისა და ქართული გეოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1910 წელს დაამთავრა პარიზის (სორბონის) უნივერსიტეტი, 1916 წელს – ყაზანის უნივერსიტეტი. მუშაობდა მასწავლებლად ქუთაისსა და თბილისში. 1924 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იყო გეოლოგია-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1923), პროფესორი (1925), 1924 -1972 წლებში იყო თსუ-ის გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრის გამგე, 1942-1945 წლებში – თსუ-ის რექტორი, 1928-1946 წლებში – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრის გამგე, 1925-1955 წლებში – მის მიერვე დაარსებული გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, 1926-1929 წლებში – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1941), 1951-1955 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

სიმონ ყაუხჩიშვილი (1895-1981) – ფილოლოგი და ისტორიკოსი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1927), პროფესორი (1930), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. 1917 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი, პარალელურად სწავლობდა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე ქართულ-სომხური ფილოლოგიის განხრით. 1918 წელს ივანე ჯავახიშვილის რეკომენდაციით, საპროფესოროდ მოსამზადებლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დატოვეს. 1927-1938 წლებში ხელმძღვანელობდა თსუ-ის ბიზანტიოლოგიის კათედრას. 1940-1954 წლებში – კლასიკური ფილოლოგიის კათედრას, 1960 წლიდან გარდაცვალებამდე – აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტიოლოგიის განყოფილებას.

ზაქარია ყანჩაველი (1890-1932) – ბოტანიკოსი, სისტემატიკოს-ფლორისტი. პირველი ქართველი დოქტორი ბოტანიკის დარგში, პროფესორი (1924). 1925 წელს დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება. 1915-1917 წლებში მუშაობდა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში და ხელმძღვანელობდა შავი ზღვისა და თბილისის გუბერნიებში სამკურნალო მეცნიერების შემსწავლელ ორგანიზაციას. 1918 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1922-1932 წლებში ხელმძღვანელობდა თსუ-ის ბოტანიკის კათედრას. იყო თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორი. მის სახელთანაა დაკავშირებული ქართულ ენაზე ბოტანიკური ტერმინოლოგიის დამუშავება და პირველი ბოტანიკური სახელმძღვანელოს შექმნა ქართულ ენაზე.

გრიგოლ მუხაძე (1879-1948) – მეცნიერული და პრაქტიკული ქირურგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1914), პროფესორი (1919). 1908 წელს დაამთავრა ტომსკის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი. 1919-1921 წლებში ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ქირურგიის, ხოლო 1921-1948 წლებში ჯერ თსუ-ის, შემდეგ კი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრას. 1924-1925 წლებში იყო თსუ-ის სამკურნალო ფაკულტეტის დეკანი, 1925-1937 წლებში ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის დირექტორი. მისი თაოსნობით 1932 წელს შეიქმნა სისხლის გადასხმის რესპუბლიკური სადგური, რომელიც 1935 წელს სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად გადაკეთდა, ხოლო 1946 წელს – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული და ქირურგიისა და ჰერმატოლოგიის ინსტიტუტად, რომელსაც გარდაცვალებამდე თვითონვე ხელმძღვანელობდა.

ივანე ბერიტაშვილი (1884-1974) – ფიზიოლოგი, საქართველოში ფიზიოლოგიის სკოლის ფუძემდებელი. 1910 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი, მუშაობდა იმავე უნივერსიტეტში, ყაზანში, ჰოლანდიაში, ქ. უტრეხტში. 1915-1919 წლებში უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი იყო. 1919 წელს მოიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც დაარსა ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრა და გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა მას, 1935 წლიდან კი – ამ კათედრის ბაზაზე დაარსებულ ფიზიოლოგიის ინსტიტუტს. იყო საქართველოს სსრ და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის, ტვინის გამოკვლევის საერთაშორისო ორგანიზაციის, ამერიკის ელექტროენცეფალოგრაფიული საზოგადოების, უმაღლესი ნერვული მოქმედების საერთაშორისო კოლეგიის, ამერიკის ბიოლოგიური ფსიქიატრიის საზოგადოების წევრი.

ალექსანდრე ნათიშვილი (1878-1959) – ანატომი, საქართველოში მეცნიერული ანატომიის ფუძემდებელი და უმაღლესი სამედიცინო განათლების ორგანიზატორი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1917), პროფესორი (1918), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. 1905 წელს დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი, მუშაობდა ექიმად

ხარკოვში და შემდეგ იმავე უნივერსიტეტში ანატომიის კათედრაზე. 1918 წელს პეტრე მელიქიშვილის მოწვევით ჩამოვიდა თბილისში და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა ადამიანის ანატომიის კათედრა, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა. დაარსა თბილისის სამხატვრო აკადემიაში პლასტიკური ანატომიის, ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში – შინაურ ცხოველთა ანატომიისა და ფიზკულტურის ინსტიტუტში – ადამიანის ანატომიის კათედრები. 1921-1930 წლებში ხელმძღვანელობდა თსუ-ის ჰისტოლოგიის კათედრას და 1926-1928 წლებში – ტოპოგრაფიული ანატომიის დოცენტურას, 1919-1920 წლებში – სამედიცინო ფაკულტეტს. 1923-1925 წლებში იყო თსუ-ის პრორექტორი, 1930-1932 წლებში – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორი. 1946 წელს დაარსა ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი, რომლის დირექტორი იყო სიცოცხლის ბოლომდე. 1952-1955 წლებში ხელმძღვანელობდა ფიზიოლოგიის ინსტიტუტს.

სიმონ გოგიტიძე (1872-1927) – საქართველოში მეცნიერული პედიატრიის ფუძემდებელი. 1897 წელს დაამთავრა კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. 1904 წელს მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის ომში, 1904 წელს გახდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, 1909 წელს – კიევის უნივერსიტეტის პედიატრიის კათედრის პრივატ-დოცენტი. 1912 წელს – პროფესორი და ნოვორიოსის უნივერსიტეტის პედიატრიის კათედრის გამგე. 1921 წლიდან იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვთა სნეულებების კათედრის გამგე.

მიხეილ პოლიევქტოვი (1872-1942) – ისტორიკოსი. 1894 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი, რომლის პროფესორი გახდა 1917 წელს. 1920 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იკვლევდა რუსულ-ქართული ურთიერთობის ისტორიის საკითხებს.

ალექსანდრე ჯავახიშვილი (1875-1973) – გეოგრაფი და ანთროპოლოგი, საქართველოში გეოგრაფიული მეცნიერებისა და განათლების, ქართული მეცნიერული ანთროპოლოგიის ფუძემდებელი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი (1937), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944), პროფესორი (1920). 1900 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება. 1917 წლამდე მუშაობდა ამავე უნივერსიტეტსა და მოსკოვის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, ხოლო 1923 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იყო საქართველოს ცენტრალური პედაგოგიური მუზეუმის (1918-1920), საქართველოს კარტოგრაფიული ინსტიტუტის (1926), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული გეოგრაფიული ინსტიტუტის (1933-1938), ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის (1945-1962) დირექტორი.

ნიკოლოზ მუსხელიშვილი (1891-1976) — მათემატიკოსი და მექანიკოსი, 1914 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (1922), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1939), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1941), მისი პრეზიდენტი (1941-1972), საპატიო პრეზიდენტი (1972), 1933-1935 წლებში და 1941 წლიდან გარდაცვალებამდე ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი, სომხეთისა (1961) და აზერბაიჯანის (1972) მეცნიერებათა აკადემიების საპატიო წევრი, ბულგარეთის (1952), პოლონეთის (1960), ბერლინის (1967) აკადემიების წევრი, სსრკ სახელმწიფო პრემიის (1941-1947), ლომონოსოვის სახელობის ოქროს მედლის (1972), ტურინის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო პრემიისა და ოქროს მედლის (1969), სლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის მედლის მფლობელი. ავტორია ფუძემდებლური გამოკვლევებისა დრეკადობის თეორიასა და ინტეგრალურ გამოკვლევებში.

არნოლდ ჩიქობავა (1898-1985) – ენათმეცნიერი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ქართული სკოლის ფუძემდებელი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1929), პროფესორი (1933), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ჰუმბოლდტის სახელობის ბერლინის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (1960), დიდი ბრიტანეთის ფილოლოგთა საზოგადოების საპატიო წევრი (1968). 1933-1960 წლებში იყო თსუ-ის მისივე დაარსებული კავკასიურ ენათა კათედრის გამგე, 1950-1952 წლებში – ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, 1945-1964 წლებში – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის კომისიის თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი.

ვარლამ თოფურია (1901-1966) – ენათმეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944), 1943-1949 წლებში ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, 1945 წლიდან გარდაცვალებამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მის მიერვე დაარსებული ახალი ქართული ენის კათედრის გამგე.

თამარ ლომოური (1883-1965) — ისტორიკოსი, საქართველოში ნუმიზმატიკური მეცნიერების ფუძემდებელი. 1924 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნუმიზმატიკის კაბინეტის გამგე, 1931-1952 წლებში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ჯერ უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, შემდეგ – ნუმიზმატიკის კაბინეტის გამგე.

ერეკლე ტატიშვილი (1884-1946) – ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, დასავლური ენებისა და ლიტერატურის სწავლების ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. 1904-1913 წლებში სწავლობდა პეტერბურგის, გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის უმაღლეს სასწავლებლებში. 1923-1927 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასწავლიდა საერთაშორისო საჯარო და საერთაშორისო კერძო სამართალს, 1927 წლიდან კი ინგლისური ენისა და ლიტერატურის კურსს კითხულობდა, 1935-1946 წლებში იყო ჯერ უცხო ენათა კომისიის თავმჯდომარე, შემდეგ – უცხო ენათა კათედრის გამგე. 1945 წლიდან კითხულობდა აღმოსავლეთის დიპლომატიის ისტორიის კურსს.

სიმონ ყიფშიძე (1887-1953) – ნევროპათოლოგი, საქართველოში მეცნიერული ნევროპათოლოგიის ფუძემდებელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1924), პროფესორი (1927). 1912 წელს დაამთავრა ნოვოროსიის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი. ხელმძღვანელობდა ჯერ 1925-1930 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო შემდეგ, 1930-1953 წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ნერვულ სნეულებათა კათედრას.

ვლადიმერ ჟღენტი (1891-1972) – პათოლოგ-ანატომი, საქართველოში პათოლოგიური ანატომიის ფუძემდებელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1925), პროფესორი (1925), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1950). 1914 წელს დაამთავრა ნოვოროსიის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. 1922-1930 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ხოლო 1930-1972 წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში პათანატომიის კათედრის გამგე. 1925 წელს თსუ-ში სამკურნალო ფაკულტეტზე დაარსა სასამართლო მედიცინის კათედრა, რომელსაც თვითონვე ხელმძღვანელობდა. 1932-1959 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე (1945 წლიდან პრორექტორი).

ალექსანდრე წულუკიძე (1888-1967) – ქირურგი-უროლოგი, საქართველოში მეცნიერული უროლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1925), პროფესორი (1930), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1946), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1955). 1913 წელს დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი, 1922-1924 წლებში გერმანიასა და საფრანგეთში დახელოვნდა უროლოგიაში. 1930-1959 წლებში ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ქირურგიისა და უროლოგიის კათედრებს, 1949-1953 წლებში – ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტს, 1953-1967 წლებში – მისივე ინიციატივით დაარსებულ უროლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს.

იოველ ქუთათელაძე (1887-1963) – ფარმაკო-ქიმიკოსი, საქართველოში უმაღლესი ფარმაცევტული განათლების, ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობისა და ფარმაკოქიმიური მეცნიერების ფუძემდებელი. ფარმაციის მაგისტრი (1919), პროფესორი (1921), ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1935), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1946). 1910 წელს დაამთავრა ნოვოროსიის უნივერსიტეტის ფარმაცევტული ფაკულტეტი. 1920 წელს იყო ოდესის სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორი. 1921 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იყო ფარმაციის, ფარმაკოგნოზიის და სასამართლო მედიცინის ლაბორატორიის გამგე, თსუ-ის პროფესორთა საბჭოს მდივანი. კითხულობდა სასამართლო ქიმიისა და ფარმაცია-ფარმაკოგნოზიის კურსს. 1932 წელს თბილისში დაარსა ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა გარდაცვალებამდე. 1937-1948 წლებში იყო ფარმაცევტული ინსტიტუტის დირექტორი. 1948 წლიდან ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სასამართლო და ანალიზური ქიმიის კათედრებს.

მასალები ამოკრებილია მანანა ლილუაშვილისა და ზურაბ გაიპარაშვილის მიერ მომზადებული წიგნიდან — „პროფესორთა საბჭოს ოქმები“

მეცნიერების რა ბირთვს ეფუძნება დღეს პირველი ქართული უნივერსიტეტის სახელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საზოგადოება აგრძელებს იმ ტრადიციებს, რომელსაც თავის დროზე საფუძველი ქართული სამეცნიერო სკოლის კორიფეებმა ჩაუყარეს. მათ შორის ბევრია ისეთი, რომელთა მოღვაწეობა ერთი კონკრეტული უნივერსიტეტის ფარგლებს გასცდა და დღეს მსოფლიო სამეცნიერო ელიტის ღირსეულ წარმომადგენლებად მიიჩნევიან. მათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიარეს სამეცნიერო სკოლა და აქ დაეუფლნენ მეცნიერულ ლაბირინთებში გზის გაკვალვის ხელოვნებას. ზოგი მათგანი უნივერსიტეტის კედლებში აგრძელებს მოღვაწეობას, ზოგი უცხოეთის მაღალრეიტინგული უნივერსიტეტების წარმატებული მეცნიერია.

წარმოგიდგენთ იმ მეცნიერებს, რომელთა სახელებითაც სამართლიანად ამაყობს არა მხოლოდ უნივერსიტეტი, არამედ მთლიანად ქართული სამეცნიერო საზოგადოება. ცხადია, გაზეთის ერთ ნომერში ყველა მათგანის წარმოჩენა შეუძლებელია, ამიტომ ამ რუბრიკას გაზეთის შემდეგ ნომრებშიც შემოგთავაზებთ.

მერაბ კოკაია

უცხოეთში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა შორის არის რამდენიმე გამორჩეული სახე, რომელიც წარმატებული სამეცნიერო კარიერის პარალელურად ზრუნავს, ახალგაზრდა ქართველ მეცნიერებს გზა გაუკვალოს და მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში ადგილი დაუმკვიდროს. მათ შორის არის ცნობილი ფიზიოლოგი, შვედეთის ლუნდის უნივერსიტეტის პროფესორი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ვალენბერგის ნევროლოგიის ცენტრის ექსპერიმენტული ეპილეფსიის კვლევითი ლაბორატორიის გამგე მერაბ კოკაია.

მერაბ კოკაიამ 1978 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი ბიოფიზიკის განხრით. შემდეგ სწავლა განაგრძო ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში.

1986 წელს იგი გაცვლითი პროგრამით გაემგზავრა შვედეთში, სადაც 1986-87 წლებში დაიწყო მუშაობა ნერვული უჯრედების

ტრანსპლანტაციაზე ეპილეფსიაში. შვედ მეცნიერებთან დაწყებული თანამშრომლობა ბატონმა მერაბმა საქართველოში დაბრუნების შემდეგაც განაგრძო.

1991 წელს, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ნერვული უჯრედების ტრანსპლანტაცია ეპილეფსიაში“.

1991 წლიდან დღემდე მერაბ კოკაია შვედეთის ლუნდის უნივერსიტეტში მოღვაწეობს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც ხშირად კითხულობს ლექციებს.

მერაბ კოკაიას ქართველ სტუდენტებთან განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს, მასთან შვედეთში მუშაობენ ქართველი დოქტორანტები, რომელთა პროფესიულ ზრდაზეც ზრუნავს. მომავალში იგი კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობას გეგმავს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

ჯემალ ხუბუა

ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ჯემალ ხუბუას დამსახურებაზე ქართული მეცნიერების წინაშე მოკლედ შეუძლებელია ითქვას. იგი არაერთი საინტერესო მეცნიერული ნაშრომის ავტორი და ექსპერიმენტის მონაწილეა.

ჯემალ ხუბუა წლების განმავლობაში წარმატებით მოღვაწეობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტში. დღეს იგი ქ. დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტში მოღვაწეობს და 1994 წლიდან ხელმძღვანელობს ქართველ მეცნიერთა ჯგუფს, რომელიც ევროპის ბირთვული კვლევების ცენტრში (CERN) დიდი ადრონული კოლაიდერის მშენებლობაში მონაწილეობდა.

პროფესორ ჯემალ ხუბუას ხელმძღვანელობით შეიქმნა დანადგარ ATLAS – ის ადრონული ტაილ-კალორიმეტრის ცენტრალური ნაწილი (კასრი), რომლის სიგრძე 6 მეტრია, წონა 1350 ტონა, შიდა რადიუსი – 2.28 მეტრი და გარე რადიუსი 4.25 მეტრი. აღნიშნული კასრის აწყობა უნიკალური პროცესი იყო მაღალი ენერგიების ფიზიკის პრაქტიკაში.



ბატონი ჯემალის ხელმძღვანელობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ორ წელიწადში ერთხელ იმართება საერთაშორისო კონფერენცია „ფიზიკა მომავლის კოლაიდერებზე“, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ როგორც ქართველი, ასევე, უცხოელი მეცნიერები, მათ შორის ევროპული კვლევების ბირთვული ცენტრიდან.

გია დვალი

ფიზიკოსი გია დვალი მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ქართველი მეცნიერია. მისი სამეცნიერო კვლევები და თეორიები კარგად ხანია სამეცნიერო საზოგადოების ყურადღების ქვეშაა და მისგან ახალ აღმოჩენებს ელოდებიან.

დღეისათვის, ზოგადად ფიზიკა და კონკრეტულად, ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა ახალ რენესანსს განიცდის. ახალგაზრდა თაობა ხელახლა იკვლევს სამყაროს მოწყობის აქამდე დამტკიცებულად მიჩნეულ მოდელს და მსოფლიოს რადიკალურ იდეებს სთავაზობს. მათი ნაწილი სხვადასხვა თეორიებს შორის კავშირებს და დროისა და სივრცის ურთიერთმიმართებას სწავლობს, ნაწილი კი სივრცული დამატებითი განზომილებების არსებობის დამადასტურებელ კვალს ეძებს. მათ შორის ერთ-ერთი, ვისმა აღმოჩენებმაც შესაძლოა ახალ ფიზიკას დაუდოს სათავე, ქართველი მეცნიერი, ნიუ იორკის უნივერსიტეტის პროფესორი გია დვალიც არის.



ფიზიკოსები აცხადებენ, რომ თეორიები, რომლებსაც პროფესორი დვალი თავის კოლეგებთან ერთად ავითარებს, ექსპერიმენტულად დამტკიცების შემთხვევაში, ბევრ რამეს შეცვლის თანამედროვე ფიზიკაში. მისი თამამი ჰიპოთეზები შეეხება სამყაროს მოწყობას, გრავიტაციის კვანტურ თეორიას და დამატებითი განზომილებების აღმოჩენას. მაგალითად, დღემდე ეჭვი არავის შეუტანია ნიუტონის მსოფლიო მიზიდულობის კანონის მართებულობაში, უფრო ზუსტად, ეს კანონი არც მცირე და არც დიდ მანძილებზე არავის გაუზომავს. დვალის (და მისი კოლეგების) თეორიის თანახმად, შეიძლება მოხდეს ამ კანონის მოდიფიცირება მცირე და დიდ მანძილებზე.

მნიშვნელოვანია მეცნიერთა მოსაზრებები დამატებითი განზომილებების თაობაზე. 1998 წელს ნიმ არკანი-ჰამედმა (N. Arkani-Hamed), სტენფორდის უნივერსიტეტის ფიზიკოსმა და მისმა კოლეგებმა — გია დვალმა და სავას დიმოპულოსმა (S. Dimopoulos), შეიმუშავეს ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც დამატებითი სივრცული განზომილებები შეიძლება აღმოჩნდეს მცირე მანძილებზე. ამჟამად ინტენსიურად ტარდება ცდები ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად. ამასთანავე, პროფესორმა დვალმა, თავის ქართველ კოლეგასთან, ნიუ იორკის უნივერსიტეტის პროფესორ გიგა გაბადაძესთან ერთად, თავის ბოლოდროინდელ შრომებში გამოთქვა მოსაზრება, რომ დამატებითი განზომილებები შეიძლება აღმოჩნდეს აგრეთვე დიდ მანძილებზეც, რაც სამყაროს აჩქარებული გაფართოების ბოლო დროს აღმოჩენილი უცნაური ფენომენის ერთერთი ახსნა შეიძლება იყოს (მეორე შესაძლო ახსნა ბნელი ენერგიის ჰიპოთეზაა).

დამატებითი განზომილებების არსებობის დასადასტურებლად გია დვალი ჩართულია დიდ ექსპერიმენტებში, რომელიც ითვალისწინებს როგორც დედამიწაზე არსებულ ამაჩქარებლებზე ექსპერიმენტების ჩატარებას, ასევე მთვარის ორბიტაზე დაკვირვებას (დღემდე მთვარის ორბიტა განსაზღვრულია სანტიმეტრების სიზუსტით, მაგრამ ეს არ არის საკმარისი და დამატებითი განზომილებების აღმოსაჩენად ის მილიმეტრების სიზუსტით უნდა გაიზომოს).

გია დვალი დღეს ევროპის ევროპის ბირთვული კვლევების ცენტრში (CERN) ახალი ექსპერიმენტებისთვის ემზადება.

ზაალ კოკაია

შვედეთის ქალაქ ლუნდის უნივერსიტეტის პროფესორ ზაალ კოკაიას მჭიდრო ურთიერთობები აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

ზაალ კოკაია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია. 1984 წელს მან ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში, აკადემიკოს ვაჟა ოკუჯავას ხელმძღვანელობით, დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „კატის ქერქული ნეირონების ჰიპერპოლარიზაციული პოტენციალების იონური

მექანიზმები“.

1989 წელს ზაალ კოკაია სამეცნიერო სტაჟირებაზე გაემგზავრა შვედეთის ლუნდის უნივერსიტეტის ჰისტოლოგიის კათედრაზე, სადაც დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ნეიროტროფინების და მათი რეპტორების რეგულაცია ტვინის სხვადასხვა დაზიანების დროს“. 1997 წელს მან უკვე საქართველოში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „ვირთაგვის თავის ტვინის ინსულტის გავლენა ნეიროტროფინებსა და მათი რეცეპტორების რეგულაციაზე“.

დღეისათვის ზაალ კოკაია ლუნდის უნივერსიტეტის ნერვულ-ღეროვანი უჯრედების ბიოლოგიური ლაბორატორიის ცენტრს ხელმძღვანელობს და მსოფლიოში აღიარებული ექსპერტია. მისი ფართო სამეცნიერო ინტერესებიდან გამოიყოფა ემბრიონული და ზრდასრული თავის ტვინის ღეროვანი უჯრედების ბიოლოგია, ადამიანის ემბრიონული ტვინიდან მიღებული ღეროვანი უჯრედების ხაზების გამოყვანა და მათი თვისებების შესწავლა, ნეირული ღეროვანი უჯრედების ხაზების გამოყენება ტვინის ინსულტით დაზიანებული ნერვული ქსოვილის აღსადგენად და ფუნქციური რეგენერაციისათვის, ნეიროგენეზი (ახალი ნეირონების წარმოქმნა) ზრდასრულ ტვინში ნორმალური პირობებისა და ტვინის სხვადასხვა ნეიროდეგენერაციული პათოლოგიების დროს, ნეროინფლამაციური პროცესების გავლენა ნეიროგენეზზე, ნეირული ღეროვანი უჯრედების თვისებებზე და დაზიანებული ტვინის აღდგენის პროცესებზე.

გია მახათაძე

გია მახათაძე ამერიკაში მოღვაწე ქართველი მეცნიერია, რომლის მოღვაწეობაც მაღალი ციტირების ინდექსით გამოიხატება. მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი ბიოფიზიკის მიმართულებით;

1991 წელს დაასრულა ცილის ინსტიტუტის ასპირანტურა მოსკოვში და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია;

1991 წლიდან მოღვაწეობს ამერიკის შეერთებულ შტატებში. იყო ბალტიმორის ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის ბიოფიზიკური კვლევებისა და მაკრომოლეკულების ინსტიტუტის სტაჟიორი, ტეხასის უნივერსიტეტის ქიმიისა და ბიოქიმიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი, შემდეგ — ასოცირებული პროფესორი;

1999—2003 წლებში იყო პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ბიოქიმიისა და მოლეკულური

ბიოლოგიის მიმართულებით. დღეს იმავე უნივერსიტეტის სრული პროფესორია.

გია მახათაძე არის რამდენიმე დიდი სამეცნიერო გამოცემის რედაქტორი და საგრანტო ორგანიზაციის წევრი. არჩეულია აშშ-ის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად, მონაწილეობს ამერიკის ყოველწლიური სამეცნიერო ბიუჯეტის განსაზღვრაში.

სულ ცოტა ხნის წინ პროფესორი გია მახათაძე ნიუ იორკის ყველაზე ძველი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სუპერპროფესორად (Distinguished პროფესორი) მიიწვიეს. მან ახლახან მიიღო Mars exploration programme-ის Nasa-ს გრანტი, რომელიც პლანეტა მარსის გამოკვლევას აფინანსებს. დღემდე ასეთი გრანტი არც ერთ ქართველ მეცნიერს არ მიუღია.

ანზორ ხელაშვილი

ანზორ ხელაშვილი ერთ-ერთი გამორჩეული სახეა იმ ქართველ მეცნიერთა შორის, ვინც საზღვარგარეთ გაიტანა ქართველ ფიზიკოსთა წარმატებები. არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი დამსახურება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე, რადგანაც მოღვაწეობის 12 წელი სამეცნიერო დარგში უნივერსიტეტის პრორექტორად მუშაობას შეალია.

მან 1965 წელს დაამთავრა თსუ-ის თეორიული ფიზიკის კათედრის ასპირანტურა და დაიცვა დისერტაცია თემაზე: „პოტენციალური გაფანტვის თეორიის ზოგიერთი საკითხი“.

1983 წელს დუბნაში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე — „კირალური სიმეტრიები და კვაზიპოტენციალური განტოლება ჰადრონთა დინამიკაში“.

მე-14 გვერდზე

მეცნიერების რა ბირთვს ეფუძნება დღეს პირველი ქართული უნივერსიტეტის სახელი

მე-13 გვერდიდან

1997 წლიდან არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 1998 წლიდან – აშშ-ის მეცნიერებათა ნაციონალური აკადემიის წევრი, ხოლო 2002 წლიდან – აშშ-ის ფიზიკის პედაგოგთა ნაციონალური ასოციაციის წევრი. ფლობს სხვადასხვა ჯილდოებსა და პრემიებს, მათ შორის: 1983 წელს გადაეცა პეტრე მელიქიშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია, 1998 წელს მიენიჭა სოროსის საერთაშორისო ფონდის პროფესორი წოდება, 2002 წელს — ფრიდრიხ ნანსენის საერთაშორისო ფონდის ოქროს მედალი, 2005 წელს – ივანე ჯავახიშვილის მედალი.

2008 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად კონკურსი გამოაცხადა. მეცნიერთა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორები მიხეილ ნიორაძე, ანზორ ხელაშვილი და ზურაბ მენთეშაშვილი, ასევე, ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი ვახტანგ გარსევანიშვილი იყვნენ გაერთიანებული, საკონკურსოდ წარადგინა ფუნდამენტური ნაშრომი: „სინათლის ფრონტის ფორმალიზმის გამოყენება ბმული მდგომარეობების აღწერისათვის მაღალი ენერგიების ელემენტარული ნაწილაკებისა და რელატივისტურ ბირთვულ ფიზიკაში“.

აღნიშნული ნაშრომი, რომელიც 74 გვერდს მოიცავს, 2008 წლის მარტში დაიბეჭდა ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ მიმოხილვით ჟურნალში "Physics Reports".

საქართველოს ეროვნული პრემიის საკონკურსო ჟიურიმ მიიჩნია, რომ ნაშრომი პრემიას იმსახურებდა. 2009 წლის 25 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხელოვნებისა და მეცნიერების მოღვაწეები, მათ შორის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თსუ-ის პროფესორი ანზორ ხელაშვილი შოთა რუსთაველისა და საქართველოს ეროვნული პრემიებით დააჯილდოვა.

მეცნიერთა ამ ჯგუფის მიერ შემუშავებულ ზემოთ აღნიშნულ მეთოდს დღეს მსოფლიოში ბევრი მეცნიერი იყენებს. სხვადასხვა ამოცანის გადასაწყვეტად გამოიყენება ის ჟენევაში მდებარე გაერთიანებული ბირთვული კვლევების ცენტრში, CERN-შიც..

შოთა სამსონია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შოთა სამსონია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ათეული წლების განმავლობაში მოღვაწეობს. მისი სამეცნიერო მოღვაწეობა ფართო და მრავალმხრივია, რასაც მისი სამეცნიერო ინტერესების ჩამონათვალიც ადასტურებს.

მან 1963 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სწავლობდა მენდელეევის სახელობის მოსკოვის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ასპირანტურასა და დოქტორანტურაში, სადაც დაიცვა ჯერ საკანდიდატო, ხოლო შემდეგ სადოქტორო დისერტაცია.

1967 წლიდან მოყოლებული ბატონი შოთა სამსონია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობს, იყო ორგანული ქიმიის კათედრის დოცენტი, მოგვიანებით კი 1978-1990 წლებში კათედრის გამგე. 1972-1973 წლებში გაიარა სამეცნიერო სტაჟირება გუტენბერგის უნივერსიტეტში, ქ. მაინცი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. 1985 წელს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება. 1994-1998 წლებში იყო სოროსის ფონდის სტიპენდიატი.

1987-2005 წლებში პროფესორი შოთა სამსონია იყო ორგანული სინთეზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის სამეცნიერო ხელმძღვანელი, ხოლო 1990-2006 წლებში – ორგანული ქიმიისა და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის გამგე. 2006 წლიდან დღემდე არის ჯავახიშვილის სახელობის თსუ ორგანული ქიმიის მიმართულების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი. 1995 წლიდან დღემდე არის საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მეცნიერ-კონსულტანტი.

2001 წელს იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

1980 წელს შოთა სამსონიას მიენიჭა პეტრე მელიქიშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია; 1986 წელს – „საბჭოთა კავშირის გამომგონებლის“ მედალი, 1991 წელს - ივანე ჯავახიშვილის მედალი, 1998 წელს - ღირსების მედალი, ხოლო 2007 წელს დაჯილდოვდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის სიგელით.

იგი არის 500 მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 269 სამეცნიერო სტატიის, 28 წიგნის, 18 პატენტისა და გამოგონების ავტორი.

მისი სამეცნიერო ინტერესები შეეხება ჰეტეროციკლურ ნაერთთა და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიას; ფოტოქიმიას, ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებსა და ნავთობქიმიურ სინთეზებს.

პროფესორ შოთა სამსონიას ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცულია 28 საკანდიდატო და 6 სადოქტორო დისერტაცია.

არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს „სენატის“ წევრი; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან არსებული ეკოლოგიური უსაფრთხოების კომისიის წევრი; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო ჟურნალის „მაცნეს“ (ქიმიის სერია) რედკოლეგიის წევრი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ქიმიის დარგში; საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი; ნიუ იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

რისმაგ გორდეზიანი

რისმაგ გორდეზიანის ცხოვრება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 1958 წლიდან მჭიდროდ დაუკავშირდა.

ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ასპირანტურაში კლასიკური ფილოლოგიის სპეციალობით, რის შემდეგაც დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განვლო გზა ასისტენტობიდან პროფესორობამდე, კლასიკური ფილოლოგიის კათედრის სწავლული მდივნობიდან ამავე კათედრის გამგემდე, ხოლო 1997 წლიდან დღემდე — მისივე თაოსნობით შექმნილი თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დირექტორობამდე.

პროფესორ რისმაგ გორდეზიანის სახელს უკავშირდება 1972 წლიდან თსუ-ში ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკის ფუნქციონირების დაწყება, რომელმაც ანტიკური და ბიზანტიური ეპოქის ძეგლების თარგმნითა და კვალიფიციური მთარგმნელების მთელი თაობების ასპარეზზე გამოყვანით გაითქვა სახელი. მის სახელს უკავშირდება, ასევე, ხმელთაშუა ზღვის კულტურების კვლევის ლაბორატორიის შექმნა, საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსის“ დაფუძნება, რომელმაც თავისი არსებობის 13 წლის განმავლობაში 200-მდე წიგნი გამოსცა კლასიკური და აღმოსავლური სიძველეთმცოდნეობის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სფეროში.

მისი, როგორც მეცნიერის, ჩამოყალიბებაში დიდია მისი მასწავლებლების — პანტელეიმონ ბერაძისა და სიმონ ყაუხჩიშვილის დამსახურება. მას ინტენსიური კონტაქტები აქვს ცნობილ ქართველ და უცხოელ მეცნიერებთან. მათ შორის არიან ისინიც, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს და შეაქვთ მსოფლიო სიძველეთმცოდნეობის განვითარების საქმეში: ა. ლესკი, ფ. შახერმეირი, ბ. სნელი, ა. ლოსევი, ი. ტრონსკი, ვ. იარხო, მ. პალოტინო, მ. ფონ ალბრეხტი, მ. ვესტი და სხვები. იგი დარგის განვითარებაში ერთგულია იმ ტრადიციისა, რომელსაც გრიგოლ წერეთელმა და სიმონ ყაუხჩიშვილმა ჩაუყარეს საფუძველი.

მისი მეცნიერული ინტერესები გამოირჩევა მრავალფეროვნებით: ჰომეროლოგია, ძველი მედიტერანული კულტურები, ეგეისტიკა, ეტრუსკოლოგია, ანტიკური ლიტერატურის ისტორია. მესოპოტამიურ-ანატოლიურ-ბერძნულ-რომაულ-ქართული ურთიერთობები წარმოდგენილია მის 24 წიგნსა და 150-მდე

სტატიაში, რომლებიც გამოქვეყნებულია ქართულ, ინგლისურ, გერმანულ, რუსულ, ბერძნულ ენებზე საქართველოსა და საზღვარგარეთ. კვლევის თითოეული მიმართულებით რისმაგ გორდეზიანმა შექმნა იმგვარი ნაშრომები, რომელთაც კლასიკური ფილოლოგიის ქართული სკოლის ავტორიტეტი მნიშვნელოვნად აამაღლეს: „ილიადა“ და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხები“ (1972 წ.), „ჰომეროსის ეპოსის პრობლემები“ (1978 წ.) (რუსულ ენაზე), „წერილობითისა და ზეპირობის კრიტერიუმები ჰომეროსის ეპოსში“ (1986 წ.) (გერმანულ ენაზე), „ბერძნული ცივილიზაცია“ (I-II ტ; 1988, 1997 წწ.), „ბერძნული ლიტერატურა“, „ელინური ეპოქის ეპოსი, ლირიკა, დრამა“ (2002, 2009 წწ.), „კლასიკური ფილოლოგიის შესავალი“ (2004, 2007 წწ.), ეტრუსკული და ქართველური (1980 წ.), წინაბერძნული და ქართველური (1985 წ.), მედიტერანულ-ქართველური მიმართებები, ტ. I-IV, (2007-2008 წწ.) და სხვა.

რისმაგ ორდეზიანი არის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ "Phases"–ის მთავარი რედაქტორი, ჟურნალ "Philologus"–ის სარედაქციო საბჭოს წევრი. მისი ხელმძღვანელობით ხორციელდება რუსთაველის ფონდის სამეცნიერო გრანტით დაფინანსებული ორი მნიშვნელოვანი პროექტი: ანტიკური კავკასია — ენციკლოპედია, რომლის პირველი ტომი მიმდინარე წელს გამოიცემა და კლასიკური ენების მულტიფუნქციური ლექსიკონი, რომელიც 2012 წელს დასრულდება.

რისმაგ გორდეზიანი არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და საქსონიის (გფრ) მეცნიერებათა აკადემიების წევრ-კორესპონდენტი, საბერძნეთის არქეოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრი, საბერძნეთის მწერალთა კავშირის წევრი, ვინკელმანის საერთაშორისო საზოგადოების წევრი და "Collegium Europaeum"–ის წევრ-კორესპონდენტი.

რისმაგ გორდეზიანს სისტემატურად იწვევენ მოხსენებებითა და ლექციებით უცხოეთის უნივერსიტეტები და სამეცნიერო ცენტრები, იგი ორგანიზატორი და მონაწილეა მრავალი საერთაშორისო ფორუმისა.

მნიშვნელოვანია მეცნიერის წვლილი ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით 40-მდე სპეციალისტმა დაიცვა დისერტაცია.

ის აღიარება და ავტორიტეტი, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტმა მოიპოვა ჩვენში და საზღვარგარეთ, მნიშვნელოვანწილად რისმაგ გორდეზიანისა და მისი მოსწავლეების წარმატებული სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის შედეგია.

რომან შაქარიშვილი

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ რომან შაქარიშვილის სახელი კარგად არის ცნობილი ჩვენი ქვეყნის სამედიცინო სამეცნიერო საზოგადოებისთვის. ნოვატორული მეცნიერული ძიება, მკვლევრის უბადლო გამჭრიახობა და ნეირო სამედიცინო მეცნიერების უნარიანი ორგანიზატორის თვისებები წარმოადგენენ იმ მკაფიო მახასიათებლებს, რამაც მას სამართლიანად მიუჩინა საქართველოს კლინიკო-ნევროლოგიური სამეცნიერო სკოლის ლიდერის ადგილი. მას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ნევროლოგიურ და ნეიროქირურგიულ დარგებში კვლევების მოდერნიზებასა და სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში.

პროფესორი რომან შაქარიშვილი 1989-2007 წლებში გახლდათ აკადემიკოს პ. სარაჯიშვილის სახელობის კლინიკური ნევროლოგიის და ნეიროქირურგიის ინსტიტუტის დირექტორი. 1996 წლიდან დღემდე არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის კათედრის გამგე და ნეირომედიცინის მიმართულების ხელმძღვანელი. 2008 წლიდან დღემდე ნეირომედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორია.

რომან შაქარიშვილის 40 წლიანი აქტიური სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა მოიცავს ნერვიული სისტემის კლინიკური პათოლოგიის მრავალ პრობლემას, რომელიც აშუქებს თავის ტვინის სიმსივნურ და ანთებით დაავადებათა, ეპილეფსიის, სისხლძარღვოვანი და დეგენერაციული დემენციების პათოფიზიოლოგიის, სემიოლოგიისა და მკურნალობის საკითხებს, აგრეთვე, ახლებურად აყალიბებს და განმარტავს სამეცნიერო შეხედულებებს ჰემორეოლოგიაში, ნეიროფარმაკოლოგიაში, ნეიროეპიდემიოლოგიაში, ნეირორეანიმატოლოგიაში, ნეიროფსიქოლოგიაში, მოლეკულურ ნეიროქიმიაში. მას განკერძოებული ადგილი აქვს მოპოვებული მეცნიერულ ნეიროეპიდემიოლოგიაში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სამედიცინო მეცნიერების ამ უაღრესად მნიშვნელოვან დარგს სათავე პროფესორ რომან შაქარიშვილის ხელმძღვანელობით ქართველ ნერვოლოგთა ახალგაზრდა თაობამ დაუმკვიდრა.

პროფესორ რომან შაქარიშვილს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის თსუ-ში მედიცინის ფაკულტეტის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. 1999 წელს საქართველოს ცნობილ მეცნიერთა მონაწილეობით და რომან შაქარიშვილის თაოსნობით, რამდენიმე წამყვანი კლინიკური და სამეცნიერო ცენტრის ბაზაზე ჩამოყალიბდა „თბილისის კლინიკური ინსტიტუტი“. მოგვიანებით ინსტიტუტი მისი რექტორის, პროფესორ რომან შაქარიშვილის ინიციატივით და თსუ-ის მაშინდელი რექტორის როინ მეტრეველის მხარდაჭერით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შეუერთდა, რის შედეგადაც თსუ-ში მედიცინის ფაკულტეტი შეიქმნა.



რომან შაქარიშვილი რამდენიმე საერთაშორისო სამედიცინო სამეცნიერო საზოგადოების და აკადემიის წევრია, რომელთა შორის აღსანიშნავია ამერიკის ნევროლოგიური აკადემია, იუნესკოსთან არსებული სამედიცინო ბიოტექნოლოგიების მსოფლიო აკადემია, ამერიკის კარდიოლოგიური და ინსულტის ასოციაციების საბჭო, ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაცია, საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიკო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიები.

რომან შაქარიშვილი არის ევროპის ნევროლოგიური საზოგადოებათა ფედერაციის ექსპერტი, საქართველოს ნევროლოგთა და ნეიროქირურგთა ასოციაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტი, მრავალი სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიისა და სარედაქციო საბჭოს წევრი, მათ შორის საერთაშორისო პერიოდული გამოცემების. პროფესორმა რომან შაქარიშვილმა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება 1974 წელს მიიღო, 1988 წლიდან უკვე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორია, 1994 წლიდან კი პროფესორი.

1999 წელს აშშ-ის ბიოგრაფიულმა ინსტიტუტმა იგი წლის ადამიანად დაასახელა, მას მიღებული აქვს საერთაშორისო ორდენი „დამსახურებისთვის“, 1993 წელს — გრიგოლ მუხაძისა და ზაზა ფანასკერტელის სახელობის მედლები. 1996 წელს დააჯილდოვეს ღირსების ორდენით. რომან შაქარიშვილს გამოქვეყნებული აქვს 450 სამეცნიერო პუბლიკაცია, მათ შორის 9 მონოგრაფია და 1 სახელმძღვანელო.

მასალა მოამზადეს **მაია ტორაძემ, შურთხია ბერეშვილმა, ნატო ოგოლაძემ**

ყოველი სიტყვა ძეგლი არს მეტყველი

პირველი ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელთა შორის განსაკუთრებით ვინმეს გამორჩევა იოლი არ გახლავთ, რადგან ყველა მათგანს ერთნაირად მიუძღვის წვლილი ქართული საუნივერსიტეტო განათლების კერის დამკვიდრებაში... ამ პიროვნებათა ელემენტარული ქცევის წესებიც კი საინტერესოა ისტორიისთვის, რადგან მართლაც შთაბეჭდილებების ქვეშ ექცევი – როდესაც მათ პიროვნულ თვისებებს იხსენებენ. სწორედ ამ მიზნით, შევკრიბეთ მათ შესახებ მოგონებანი, რასაც დღევანდელი თაობა, ალბათ, გულისყურით უნდა გაეცნოს.

ნინო კაკულია

„პროფესორთა საბჭოს ოქმები — 1917-1926 წლები“

ისტორიკოსების მანანა ლილუაშვილისა და ზურაბ გაიპარაშვილის მიერ მომზადებული წიგნი „პროფესორთა საბჭოს ოქმები — 1917-1926 წლები“ მოიცავს საუნივერსიტეტო ცხოვრების დეტალებს 1917 წლიდან 1926 წლამდე. პროფესორთა საბჭოს სხდომების ოქმები მემატიანის სიზუსტით მოგვითხრობენ უნივერსიტეტში განხორციელებული ყველა, მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი ღონისძიების შესახებ. იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია უნივერსიტეტის საარქივო მემკვიდრეობიდან, რომელსაც საზოგადოება უნდა გაეცნოს. მკითხველს დაინტერესებს, თუ როგორ წარიმართა უნივერსიტეტის დამფუძნებელთა წინა სამუშაო პერიოდი უმაღლესი სასწავლებლის გასახსნელად.

ზურაბ გაიპარაშვილი:

– 1917 წლის 12 მაისს, უნივერსიტეტის საზოგადოების პირველი შეკრება პეტრე მელიქიშვილის ბინაში გაიმართა. კრებას 28 კაცი ესწრებოდა. სხდომას ექვთიმე თაყაიშვილი ხელმძღვანელობდა. შემოდგომიდან უნივერსიტეტის დამფუძნებელთა მოღვაწეობა უფრო ფართოდ გაიშალა. აღსანიშნავია 1917 წლის 8 ოქტომბერი, რომელიც ნაყოფიერი აღმოჩნდა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოებისათვის. ამ დღეს დადგინდა გამგეობის შემადგენლობა, ამავე სხდომაზე გადაიჭრა საუნივერსიტეტო ბაზის შექმნასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი.

უკვე 1918 წლის 20 იანვარს ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობის სხდომაზე ივანე ჯავახიშვილმა კრებას აუწყა: „ქართული უნივერსიტეტის გახსნა პროფესორთა კოლეგიის თაოსნობით განსაზღვრულია 26 იანვრისათვის. 27 იანვრიდან კი მეცნიერების ტაძარში დაიწყება ლექციების კითხვა“.

სტუმრების მიღება და დღესასწაულის ორგანიზატორობა ილია ჭავჭავაძის დისწულს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს კოტე აბხაზს უტვირთავს.

უნივერსიტეტი 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს გაიხსნა, ისიც ცნობილია, რომ ეს დამთხვევა შემთხვევითი არ ყოფილა, მას სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა და მიანიშნებდა, რომ უნივერსიტეტს უნდა გაეგრძელებინა დიდი ქართული საგანმანათლებლო ტრადიციები. ამ მოვლენას სამართლიანად უწოდეს „საქართველოს გონების სუვერენობის აღდგენა“.

უნივერსიტეტი აკურთხა და მომავლის გზა დაულოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ მეორემ.

პირველი ლექცია ივანე ჯავახიშვილმა 30 იანვარს წაიკითხა.

ივანე ჯავახიშვილის ძეგლი უნივერსიტეტის ეზოში

უნივერსიტეტის ეზოში გამორჩეული და საპატიო ადგილი უჭირავს ივანე ჯავახიშვილის ძეგლს. ძეგლის ავტორი გახლავთ საქართველოს დამსახურებული მხატვარი, სახალხო პრემიის ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე, პროფესორი თენგიზ ღვინიაშვილი.

— ეს ძეგლი ჩემი სადიპლომო ნამუშევარი გახლდათ, ამით მსურდა გამომეხატა ჩემი უდიდესი მოწიწება და პატივისცემა ივანე ჯავახიშვილის პიროვნების მიმართ, — იხსენებს საუბარში ღვაწლმოსილი მოქანდაკე.

ალბათ ახალგაზრდა მოქანდაკის სადიპლომო ნამუშევარში ჩაქსოვილმა უდიდესმა განცდებმა განაპირობა ის ფაქტი, რომ ნიკო კეცხოველს ივანე ჯავახიშვილის სწორედ ეს ძეგლი მოსწონებია და შუამდგომლობა გაუწევია, რათა იგი უნივერსიტეტის ეზოში, ივანე ჯავახიშვილის საფლავზე აღემართათ.

ჩემს ბავშვობაში მთელი აქცენტი სსრკს ისტორიის სწავლებაზე იყო გადატანილი, საქართველოს ისტორიას კი მხოლოდ ოჯახებში ასწავლიდნენ, სწორედ ჩემმა მამიდამ, ქალბატონმა ანა ღვინიაშვილმა ჩამინერგა განუსაზღვრელი სიყვარული საქართველოს ისტორიისადმი, – იხსენებს ბატონი თენგიზი. მისი მეუღლე, ქალბატონი თათული მასხარაშვილი ღვინიაშვილი კი ბავშვობაში ივანე ჯავახიშვილთან შემთხვევით შეხვედრის შთაბეჭდილებას ჰყვება:

— მერვე კლასში ვიყავი. ბაფთით თავზე,

სასკოლო ფორმაში გამოწყობილი დედასთან სამსახურში — სახელმწიფო მუზეუმში მივიჩქაროდი. ზღურბლზე უნდა გადამებიჯებინა, როდესაც ივანე ჯავახიშვილი დავინახე და, რა თქმა უნდა, გზა დავუთმე. არაფრის დიდებით არ გამოვიდა შენობიდან, მეც მოწიწებით ვიდექი, მაშინ ხელი მომკიდა, მუზეუმში შემიძღვა და მითხრა: რა ასაკშიც არ უნდა იყოს ქალი, მამაკაცმა ყოველთვის უნდა დაუთმოს გზაო.

სამომავლოდ ივანე ჯავახიშვილის ეს ძეგლი თამაზ ჭილაძისათვის შთაგონების წყაროდ იქცა და შეიქმნა ლექსი: „ივანე ჯავახიშვილის ძეგლი უნივერსიტეტის ეზოში“. პოეტს უძნელდება გადმოგვცეს ის ემოციები, ამ ლექსის შექმნას თავის დროზე რომ ახლდა და დღეს, წლების გადასახედიდან ორიოდე სიტყვით ასე გამოხატავს საკუთარ განწყობას: — განა შეიძლებოდა, ივანე ჯავახიშვილზე ლექსი არ დამეწერა?!

სიმონ ჯანაშია ივანე ჯავახიშვილის პირველი ასპირანტი იყო

სიმონ ჯანაშია ივანე ჯავახიშვილის პირველი ასპირანტი იყო. სამეცნიერო წრეებში ცნობილია მათი კამათის პერიოდიც, თუმცა მათ მეგობრობას ხელი ვერაფერმა შეუშალა. რას იხსენებს ამ ორი მეცნიერის ურთიერთობაზე ბაბუას მოსახელე სიმონ ჯანაშიას შვილიშვილი სიმონ ჯანაშია:

— ბაბუაჩემი ბატონი ივანეს მოწაფე იყო და მისი ისტორიკოსად ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი სწორედ მას მიუძღვის. ჩემს ოჯახში ყოველთვის ჩანდა ეს პატივისცემა, არა მარტო თავად ბატონი ივანეს, არამედ მისი ოჯახის მიმართაც. ბაბუაჩემს მამაჩემისთვის განსაკუთრებულად უსწავლებია: აი, ეს არის ბატონი ივანე და მას გამორჩეულ პატივს უნდა სცემდეო. სწორედ ის იყო პირველი ადამიანი, ვისაც მამაჩემმა თავი დაუკრა და მუდმივად პატივს სცემდა. პრინციპში, სამეცნიერო წრეებში ყველამ იცის მათთან დაკავშირებული ისტორია: სპეციალურ კრებაზე, სადაც ბატონ ივანეს აკრიტიკებდნენ როგორც ბურჟუაზიული მეცნიერების წარმომადგენელს, ბაბუაჩემსა და ბატონ ნიკო ბერძენიშვილს მოუწიათ გამოსვლა და აღიარება იმისა, რომ ბატონი ივანე ნამდვილად არ იყო საბჭოთა მეცნიერი, რაც აბსოლუტურად არ გულისხმობდა იმას, რომ ის ცუდი მეცნიერი იყო. ცნობილ გამოსვლაში იყო ასეთი ფრაზაც, რომ ივანე ჯავახიშვილი ნამდვილად არის ძველი მეცნიერების წარმომადგენელი, ისეთივე ნაციონალისტი, როგორიც იყო ილია ჭავჭავაძე. ილია ჭავჭავაძე იმ დროს დიდად არ უყვარდათ საქართველოში. ამიტომ ეს აღიქვეს, როგორც შეტევა ივანე ჯავახიშვილზე და საკმაოდ დამახინჯებულად მიაწოდეს ბატონ ივანეს სხდომის ამბები. მაშინ ძალიან დაეძაბათ ურთიერთობა ბაბუაჩემსა და ივანე ჯავახიშვილს. მაგრამ ამის შემდეგ ბაბუაჩემი და ბატონი ივანე ერთმანეთს შეხვდნენ და ურთიერთობაც აღდგა. „მნათობში“ გამოქვეყნებული იყო ბაბუაჩემისადმი ბატონი ივანეს მიერ რუსეთიდან მოწერილი წერილები, სადაც აღნიშნავს: — „ეტყობა მივლი და შენი ყურადღება ჩანსო“. თვითონ ივანე ჯავახიშვილის დასაფლავების დღესაც ბაბუაჩემი იყო ის ადამიანი, ვინც სიტყვა წაიკითხა უნივერსიტეტის ბაღში. მათ შორის ყოველთვის უდიდესი პატივისცემა არსებობდა.

სამარისებური სიჩუმე და ნაკუწებად ქცეული წერილი

მარიამ ლორთქიფანიძე, აკადემიკოსი:

1939 წლის სექტემბერში, როდესაც უნივერსიტეტში ჩაირიცხეთ მე, ოთარ ჯაფარიძე, გივი კიღურაძე და კიდევ რამდენიმე ჩვენი ამხანაგი, დავიწყეთ ლექციების ცხრილში ივანე ჯავახიშვილის ძებნა. გვეწყინა, რომ არც პირველ და არც მეორე კურსს ჯავახიშვილის ლექცია არ ჰქონდა, რადგან იგი თურმე მესამე კურსიდან იწყებდა სპეციალური კურსების ჩატარებას. მალე გავარკვიეთ, რომ იგი იურისტებს ქართული სამართლის ისტორიას უკითხავდა. მივედით და ვთხოვეთ მათ, მოეცათ საშუალება, რომ დავსწრებოდით ბატონი ივანეს ლექციებს.

ახლაც თვალწინ მიდგას: — დაირეკებოდა ზარი თუ არა, ბატონი ივანე შემობრძანდებოდა ძალიან დიდი, შავი პორტფელით, ამოიღებდა იქიდან პატარა ბარათებს, სადაც საილუსტრაციო მასალა ჰქონდა ამოწერილი. როდესაც რომელიმე დებულებას ჩამოაყალიბებდა, შემდეგ წაიკითხავდა ციტატას, რასაც მოჰყვებოდა ხოლმე მოსაზრება ამ ციტატის შესახებ. ამით იგი ცდილობდა, სტუდენტები აზროვნებას მიჩვეოდნენ. ჩვენთვის, რომლებსაც წარმოდგენა არ გვქონდა ქართულ სამართალზე, ძნელი იყო ბევრი რამის გაგება, მაგრამ მაინც, არც ერთ ლექციას არ ვაკლდებოდით.

ლექციის ბოლოს იგი რამოდენიმე წუთს შეკითხვებისთვის იტოვებდა.

ერთ დღეს სტუდენტისგან შეკითხვა მიიღო. სტუდენტი სწერდა: პროფესორ ჯავახიშვილს: — სტალინის მოძღვრების თანახმად, ქართველი ერად XIX საუკუნის 60-იან წლებში ჩამოყალიბდა. თქვენ კი საიდან იწყებთ ქართველი ერის ისტორიას?... აუდიტორიაში სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა მოუთმენლად ელოდა, რას იტყოდა ივანე ჯავახიშვილი. მან უხმოდ აიღო ფურცელი, დაკეცა, ნაკუწებად აქცია და სამელნეში ჩაყარა. შემდეგ აიღო თავისი ნივთები და გავიდა.

ამ ფაქტმა ყველა შეძრა. მე ყველაზე მეტად ვაპროტესტებდი, თუ რატომ არ გასცა მან საკადრისი პასუხი სტუდენტის თავხედურ შეკითხვას. ჩემი მეგობრები მიმტკიცებდნენ, რომ ამ სიტუაციაში მისი ასეთი ქმედება ყველაზე კარგი პასუხი იყოო.

ამის შემდეგ კიდევ ერთი კითხვა გაჩნდა: რას უზამდნენ ჯავახიშვილს — დაიჭერდნენ? (ჩვენ ხომ სულ შიშის ქვეშ ვცხოვრობდით) თუ კვლავ გააძევებდნენ უნივერსიტეტიდან? მაგრამ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. იმ დროს რეპრესირებული ჯავახიშვილი უკვე აკადემიკოსად და უმაღლესი საბჭოს დეპუტატად იყო არჩეული.

სამწუხაროდ, სანამ მე მესამე კურსამდე მივაღწიე, იგი გარდაიცვალა. მისი გარდაცვალება ეროვნულ ტრაგედიად იყო აღქმული.

ერთი ღამე მეტეხის ციხეში

ჯუმბერ ჭუმბურიძე, პროფესორი:

ივანე ჯავახიშვილის შრომებს მოწაფეობის დროიდან ვეცნობოდი. უნივერსიტეტში რომ ჩავირიცხე, მაინტერესებდა მისი მოსმენა. მართალია, ლექციებს ჩვენს ფაკულტეტზე არ კითხულობდა, მაგრამ იურისტებს უკითხავდა სამართლის ისტორიას და რამდენიმე ლექციას დავესწარი.

უნივერსიტეტს ახსოვს მეცნიერები, მაგალითად, შალვა ნუცუბიძე, რომელიც დიდი ორატორული ნიჭით გამოირჩეოდა, ბატონი ივანე კი პირიქით, საუბრობდა დინჯად, აუღელვებლად, ყოველგვარი ორატორული აქცენტების გარეშე, წინ ეწყო თავისი ნამუშევრები და ხანდახან ჩახედავდა ხოლმე. მისი ტონი იყო აკადემიური... საინტერესოდ, სიღრმისეულად და გასაგებად განიხილავდა ძალიან რთულ საკითხებს.

ივანე ჯავახიშვილი ჩემი ლექტორი არ ყოფილა, ამიტომ გასახსენებელი ცოტა მაქვს, მაგრამ შემიძლია გავიმეორო ჩემი მეგობრის, ცნობილი გერმანისტისა და შესანიშნავი ინტელიგენტის ბიძინა კონტრიძის მონათხრობი. იგი, თავისი აქტიური პოზიციის გამო, ხშირად იყო რეპრესირებული. 1924 წელს, სხვა თანამოაზრეებთან ერთად, დააპატიმრეს და ჩასვეს მეტეხის ციხეში. ერთ საღამოს, თურმე, გაიღო კარი და შეიყვანეს ბატონი ივანე ჯავახიშვილი. ბიძინა იხსენებდა – წამოვხტით ყველა, შემოვესიეთ, საწოლი გავუმზადეთ, რაც შეგვეძლო, ყურადღება გამოვიჩინეთ და მივუალერსეთ. ბატონმა ივანემ კი გვითხრა – ახლა გვიანია, დაძინების დროა, ნუ მივეცემით პესიმიზმს და უსაქმურობას, ხვალიდან დავიწყებ თქვენთან ლექციების კითხვას საქართველოს ისტორიაშიო.

მეორე დღეს, ყველასთვის გასახარად, ივანე ჯავახიშვილი გაუთავისუფლებიათ.

შალვა ნუცუბიძე: მე ვწყვეტ, მაგრამ არ ვამთავრებ

ნატალია ორლოვსკაია, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, შალვა ნუცუბიძის ასპირანტი:

— ვისაუბრებ ბატონ შალვაზე, როგორც ადამიანზე. ბატონი შალვა წლების მანძილზე დაკავშირებული იყო დასავლეთ ევროპის ფაკულტეტთან, რადგან მას აუკრძალეს ლექციების კითხვა ფილოსოფიაში.

იგი იყო დასავლეთ ევროპის ლიტერატურის კათედრის გამგე. თავისი ერუდიციითა და ევროპული ენების ცოდნით მან დიდი საქმე გააკეთა ჩვენი განყოფილებისთვის. მის კათედრაზე გაიზარდა დასავლეთ ევროპის სპეციალისტების პირველი თაობა.

ერთხელ ბატონმა შალვამ მითხრა, მკერდში რკინა-ბეტონის კედელი ავაგე, რათა უსიამოვნო ამბებმა გულამდე არ მიაღწიონო. მართლაც, ეს მისთვის საჭირო იყო, რადგან ცხოვრებაში ბევრი უსიამოვნება შეხვდა. მახსოვს, როგორ წარიმართა მისი წიგნის — „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“ განხილვა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში. მიმოხილვა ორი დღის მანძილზე გაგრძელდა, გამოვიდა ბევრი ორატორი, მათგან ზოგიერთის გამოსვლა ძალიან აგრესიული იყო. ველოდებოდით ბატონი შალვას საპასუხო სიტყვას. მან მშვიდად დაიწყო საუბარი, დასვა საკითხები, მაგრამ განსაზღვრულ დროში ვერ ჩაეტია, ითხოვა დროს გაგრძელება, მაგრამ სიტყვა აღარ მისცეს და უთხრეს: დაამთავრეო. მაშინ ბატონმა შალვამ ამ სიტყვებით დაასრულა სათქმელი: „მე ვწყვეტ, მაგრამ არ ვამთავრებ“. მართლაც, მას თავისი იდეებისთვის ბრძოლა არ შეუწყვეტია და გაიმარჯვა კიდეც.

ბატონი შალვა ძალიან ყურადღებიანი იყო ახალგაზრდების მიმართ. მოვიყვან საკუთარ მაგალითს: უნივერსიტეტი წითელ დიპლომზე დავამთავრე, მაგრამ ასპირანტურაში სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებით სირთულე შემექმნა. დეკანატი რეკომენდაციას არ მაძლევდა. მივმართე ნუცუბიძეს, მან მითხრა: რა კარგ დროს მოხვედით, სწორედ ახლა არის დამატებითი გამოცდები ასპირანტურაში, ხვალვე მიდით განცხადებით პირდაპირ პრორექტორთანო. პრორექტორმა უარით გამომისტუმრა: ამდენი სპეციალისტი რად გვინდა, ასპირანტები უკვე გვყავსო. მეც სათანადო განწყობილებით მივდიოდი სახლისკენ... მელიქიშვილის ქუჩაზე მხვდება შალვა ნუცუბიძე. ყოველთვის ვფიქრობ, რომ ადამიანის ცხოვრებაში არის მომენტები, თითქოს შემთხვევითი, რომელიც სინამდვილეში საბედისწეროა. აი, ჩემთვის ეს შეხვედრა აღმოჩნდა საბედისწერო. როცა მან მკითხა, რა ქენითო, ვუპასუხე, რომ უარით გამომისტუმრეს. წავიდეთ უკან, — მომმართა და მივბრუნდით უნივერსიტეტში. ბატონი შალვა პრორექტორთან შედის, გარეთ გულის ფანცქალით ველოდები. მესმის ხმამაღალი ლაპარაკი, ცოტა ხნის შემდეგ აღებს კარებს და მეუბნება: შეიტანეთ თქვენი განცხადება, პრორექტორი დაადებს რეზოლუციას და ხვალ მიხვალთ გამოცდაზე. ასე გავხდი შალვა ნუცუბიძის ასპირანტი და დისერტაციის დაცვის შემდეგ მისი კათედრის ლექტორი.

მე-16 გვერდზე

ყოველი სიტყვა ძეგლი არს მეტყველი

მე-15 გვერდიდან

ბატონი შალვა არ იყო ე.წ. კაბინეტის პედანტი მეცნიერი. მისი ინტერესების არე ფართო იყო. მაგალითად, მას ძალიან უყვარდა ფეხბურთი. ერთხელ ხუმრობით მითხრა: იცით, სტადიონზე ჩემს გვერდით ჯდომა სახიფათოა, იმდენად განვიცდი თამაშს, რომ, ჩემდაუნებურად, გვერდში მჯდომს მუჯლუგუნს ვკრავო.

ხშირად დავდიოდი მის აგარაკზე გლდანში — ნამდვილ ბაღნარში. თავის ბაღში იგი გატაცებით მუშაობდა და როგორც ამბობდა, მას ეს ცხოვრების ბნელი მხარეების დავიწყებაში ეხმარებოდა. ძალიან გულთბილი იყო მისი მეუღლე, ქალბატონი ქეთევანი. ყოველ წელს, 28 დეკემბერს ვესწრებოდი მათი ქალიშვილის, თამარის დაბადების დღეს. რა დამავიწყებს იმ დღეებს, როდესაც სუფრის თავში შალვა ნუცუბიძე იჯდა.

ყველაფერზე ბრმად ხელისმოწერით შალვა ნუცუბიძე ამბობდა: დამანებეთ თავი და მომშორდით აქედანო

მარიამ ლორთქიფანიძე, აკადემიკოსი:

— შალვა ნუცუბიძესთან პირადი ურთიერთობა არ მქონია, მხოლოდ ვიცოდი, რომ ის იყო დიდი მეცნიერი. მას პირველად მაშინ შევხვდი, როდესაც გადასახლებიდან დაბრუნდა. შალვა ნუცუბიძეს ფილოსოფიაში ლექციების კითხვის უფლებას არ აძლევდნენ, ამიტომ იგი დასავლეთ ევროპის ფაკულტეტზე დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიას კითხულობდა. ნუ ჩამომართმევთ ტრაბახში, მაგრამ დასავლეთ ევროპის ლიტერატურის დიდი კორიფეების მნიშვნელოვან ნაწილს კარგად ვიცნობდი, მაგრამ შალვა ნუცუბიძის ლექცია სულ სხვა იყო — სრულიად სხვაგვარი გააზრება დასავლეთ ევროპის ლიტერატურის განვითარებისა. აუდიტორია გადაჭედილი იყო და გულწრფელად ვამბობ, რომ მას მიშტერებული ვუყურებდი მანამ, სანამ საუბარს არ დაასრულებდა. ბატონ შალვას ჰქონდა ჟესტიკულაციის თავისებური მანერა, რაც თითქოს ნაწილი იყო მისი ლექციისა.

მახსენდება ასეთი რამ: მრგვალ მაგიდასთან სხედან კორნელი კეკელიძე და შალვა ნუცუბიძე. მე მათგან მოშორებით დავჯექი. მესმის, ბატონი კორნელი ეკითხება შალვას: მართალია, რასაც კი მოგიტანდნენ იქ, ყველაფერს ისე აწერდი ხელს, რომ არც კითხულობდიო? ბატონმა შალვამ უპასუხა: ნამდვილად არ ვკითხულობდი, რადგან არ მსურდა, მცოდნოდა — რა ეწერა იქო. ან რა მნიშვნელობა აქვს? არ მოვაწერდი ხელს და თითებზე დამაძრობდნენ ფრჩხილებს და ისე მომაწერინებდნენო. მაშინ აღვიქვი, თუ რა გამოიარა მან გადასახლებაში ყოფნის დროს. თუმცა, ჩემი, როგორც ახალგაზრდა ადამიანის რეაქცია მაშინ ასეთი იყო: არ მესიამოვნა ეს ფაქტი. მაგრამ რაც უფრო მეტი დრო გავიდა, მით უფრო დავრწმუნდი იმაში, რომ ეს იყო ერთადერთი სწორი გზა. ყველაფერზე ბრმად ხელისმოწერით იგი ამბობდა: დამანებეთ თავი და მომშორდით აქედანო. ჩვენ ქედი უნდა მოვიხაროთ ასეთი დიდი პიროვნების წინაშე.

მამამ ერთხელ თქვა: „მთავრობამ ყველაფერი გამიკეთა, მაგრამ ვერაფერიც ვერ დამაკლო“

თამარ ნუცუბიძე, შალვა ნუცუბიძის ქალიშვილი:

— შალვა ნუცუბიძე მატარებელი იყო იმ ოცნებებისა, რასაც ერქვა თავისუფალი საქართველო, დამოუკიდებელი საქართველო... იგი იყო პოლიტიკური მოღვაწე, პარლამენტის წევრი, რომელიც მოესწრო საქართველოს დამოუკიდებლობას, მაგრამ ბოლოს თავზე დაამხეს ეს თავისუფლება. ამიტომ ის ცხოვრობდა ფარული ეროვნული სევდით, რასაც მისი ოჯახის წევრები მუდამ ვგრძნობდით. იგი ხშირად წარმოთქვამდა ბარათაშვილის სიტყვებს, ძალიან ხშირად ჩაილაპარაკებდა ხოლმე: „ხედავთ, ვით არის კადნიერებით შეკრბების ჩვენზედ უსჯულოება...“ ან „მეც თქვენს შორის ვარ მეომარი!“ — ამ სიტყვებს იმეორებდა ხშირად და ასე აგრძელებდა ცხოვრებას. ურჯულოებს ეძახდა რუსებს, რომლებმაც გადმოლახეს ჩვენი საზღვარი და წაუკიდეს ცეცხლი ჩვენს მიწას. როდესაც 7 ნოემბრის და 1 მაისის დღესასწაულები მოახლოვდებოდა, ქალაქიდან გარბოდა. „მე ამათი „ვაშა“ და „ურას“ გაგონება არ შემიძლია, შემატყობინეთ, ყველა პლაკატს რომ ჩამოხსნიან, მაშინ დავბრუნდები“, — ასე გვიბარებდა. „მე მოვესწრები, შვილო, რომ რუსები საქართველოდან წავლენ“, — სულ ამას იმეორებდა, რასაც, სამწუხაროდ, იგი ვერ მოესწრო.

ერთხელ მამამ ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დასათვალიერებლად საგურამოში წაგვიყვანა. ჩვენ შევიარეთ წიწამურში, შევჩერდით ობელისკთან და დავინახე, რომ

მამაჩემს თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. მისი ასეთი დამოკიდებულება ძალიან დამამახსოვრდა. როდესაც რუსთაველზე მივდიოდით, მთავრობის სახლის წინ ცილინდრს მოიხდიდა ხოლმე: „აქ, შვილო, იუნკრებია დასაფლავებული“, — იტყოდა და გვიყვებოდა მათ ამბავს. ერთხელ კინოში წავედით, ვნახეთ „მამლუქი“. როდესაც გამოვედით, ვხედავ, მამას სახე შეშლილი ჰქონდა. მომიბრუნდა და მითხრა: „შვილო, მე ეს ფილმი არ უნდა მენახა“. იგი ყველაფერს განიცდიდა.

აი, ასეთ კაცს დევნიდნენ და ავიწროებდნენ. ბევრს ეცადნენ, რომ მისთვის სახელი გაეტეხათ, შეურაცხყოფაც ბევრჯერ მიაყენეს... მახსოვს, უნივერსიტეტის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილესთვის საგანგებოდ როგორ მოემზადა, (მას ძალიან უყვარდა კოხტად ჩაცმა) კოსტუმის ჯიბეში თეთრი ცხვირსახოცის ჩადებაც არ დაავიწყდა. მიდიოდა ამაყად, იგი ხომ მისი ერთ-ერთი დამაარსებელი იყო. მაგრამ სიტყვაც კი არ მისცეს.

მამა არც რუსთაველის იუბილეზე არ მიიწვიეს. ერთმა უცხოელმა მეცნიერმა განაცხადა: „მე ჩამოვედი იმ ქვეყანაში, სადაც შალვა ნუცუბიძემ აღმოსავლური რენესანსის დროშა ააფრიალა და მასთან შეხვედრა მსურსო“, მაგრამ არ შეახვედრეს, ვითომდა ავადმყოფობის მიზეზით.

80 წლის ასაკში, როგორც იქნა, იუბილე გადაუხადეს. სახლში გვითხრა: როდესაც იუბილეზე გამოვალ, მადლობას კი არ გადავუხდი მთავრობას და პარტიას, არამედ ვიტყვი: „მთავრობამ ყველაფერიც გამიკეთა, მაგრამ ვერაფერიც ვერ დამაკლო“. იგი ხომ ციხეშიც ჩააგდეს. ციხიდან გამოსული ამბობდა — ისეთ კარგ საზოგადოებაში ვტრიალებდი, ყველაზე საუკეთესო ხალხი იქ იყო. სწორედ ციხეში თარგმნა შალვა ნუცუბიძემ „ვეფხისტყაოსანი“.

მაინც რამ გადაარჩინა მამა და როგორ შეინარჩუნა ის გაუტეხელი, ქედუხრელი სული? — ეს კითხვა უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემაც დამისვა.

ჩემი აზრით, ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. პირველ რიგში, ეს იყო გენეტიკა — ის ასეთი დაიბადა. ამავე დროს იგი იზრდებოდა სასულიერო გარემოში. ბუნებით ფილოსოფიური ადამიანი იყო. საბჭოთა რეჟიმს აფასებდა, როგორც ბოროტისა და კეთილის ბრძოლას, მაგრამ დიდი ოპტიმისტი იყო და სჯეროდა, რომ ბოლოს სიკეთე გაიმარჯვებდა.

დიმიტრი უზნაძე ცდილობდა — ადამიანის ცუდი საქციელი კარგი მოპყრობით შეეგოჭა

ჯერ კიდევ 1917 წელია, უნივერსიტეტი გახსნილი არ არის. ყოველივე ეს მხოლოდ წინასწარი სამზადისია. უნივერსიტეტის გახსნის მეორე დღეს, ფაკულტეტის სხდომაზე განიხილეს ლექციების განაწილების საკითხი. გამოიტანეს დადგენილება: „საკითხი საბოლოოდ მიენდოს დიმიტრი უზნაძეს და იოსებ ყიფშიძეს“. ასეთია ქართული მეცნიერული აზროვნების პირველი ნაბიჯები. ყველამ იცის, თუ რა სიზუსტით გამართლდა ამ დიდი ეროვნული საქმისთვის ნავარაუდევი, რამდენად რთული გამოდგა ეს ჩანაფიქრი. ფასდაუდებელია უნივერსიტეტის დამაარსებელთა ღვაწლი ქართველი ხალხის წინაშე, ხოლო დიმიტრი უზნაძე ერთ-ერთი მათგანია. დიმიტრი უზნაძის ეს დამსახურება აღინიშნა 1938 წელს: უნივერსიტეტის 20 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით დიმიტრი უზნაძე, როგორც უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი, მეცნიერული დამსახურებისთვის დააჯილდოვეს „საპატიო სიგელით“.

დიმიტრი უზნაძეს არ დარჩენია არც დღიური, არც კერძო მიმოწერა, არც „მოგონებები“ თავის ცხოვრებიდან, ე.ი. არაფერი ისეთი, რაც მისი პიროვნების სიღრმეში ჩაგვახედებდა და მისი შემოქმედების გაგების მეტს შესაძლებლობას შექმნიდა.

ბევრის პატიება იცოდა, ცდილობდა — ადამიანის ცუდი საქციელი კარგი მოპყრობით შეებოჭა. იტყოდა: გაიცხვაზე უფრო სიკეთე ზემოქმედებს, სიკეთე უფრო წვდება ადამიანურ არსს. აამოძრავებს, აამოქმედებს ადამიანურ საწყისს და ეგებ კაცი შემდეგ კარგ გზას დაადგესო. იყო შემთხვევა, რომ არ გამართლებია ვარაუდი, მაგრამ მის საქციელს ამის გამო სინანული არ დამჩნევია.

მრისხანების ძალა არ აკლდა, მაგრამ მრისხანებას იოკებდა, თავს ყოველთვის ფლობდა, ერთხელ კი განრისხდა და დამნაშავე დასაჯა. აი, ამის შესახებ რას გვიამბობს პროფესორი იოსებ ბჟალავა: „მეორე სამამულო ომის პერიოდი იყო. ცივი, სუსხიანი ზამთარი მძვინვარებდა, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შენობაში ციოდა. შენობის შესასვლელთან სასკოლო მერხი იდგა. ერთ დღეს, სიცივით შეწუხებულმა ბუღალტერმა გასცა განკარგულება მერხი დაემტვრიათ და მით ღუმელი დაენთოთ. ასეც მოიქცნენ, მერხი დაიწვა. გავიდა ხანი. ერთ დღეს დიმიტრიმ მერხი მოიკითხა: რომ არ ვხედავ, — სად არისო? როცა გაიგო რაც მერხს გადახდა, საშინლად განრისხდა, იხმო ბუღალტერი, რომელმაც დაადასტურა, რომ მან გასცა განკარგულება მერხის დამტვრევისა. დიმიტრი უზნაძემ იქვე დაწერა ბუღალტრის სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება. ყველა განცვიფრდა, არავინ მოელოდა, მაგრამ არავის გაუბედნია შეჰკითხოდა, რატომ დასაჯა ასე მკაცრად რაღაც ერთი მერხისთვის კაცი. თუმცა ხმა ჩვეულებრივზე უფრო არ აუმაღლებია, მაგრამ სახეზე ძალიან შეიცვალა: სიცივე და სიმკაცრე გადაეკრა სახეს“. მაინც რაში იყო საქმე? ჩვენი აზრით, ამაში

მთავარი მაინც მერხის მნიშვნელობა იყო, როგორც სასწავლო საგნის, პედაგოგიკასთან დაკავშირებული ელემენტის; ის იყო ნიშანი სწავლების — მისი განადგურება არ შეიძლებოდა. მოწიწებითი დამოკიდებულება სასწავლო ნივთებისადმი დიმიტრი უზნაძეს ბავშვობიდან მოჰყვებოდა. გვახსოვს უთუოდ, რომ 3-5 წლის ბავშვი, დიმიტრი უზნაძე, როგორ გულმოდგინედ ინახავდა სკივრში წაკითხულ წიგნებს, მილეულ ფანქრებს და დაწერილ რვეულებსაც კი. ისიც გვახსოვს, რომ 4 წლის ასაკში როგორ განრისხდა, როცა სტუმრად მოსულმა მისმა თანატოლმა ბიჭუნამ წიგნს ფანჯრიდან გადაგდება დაუპირა. გაეცალა ამ პატარას და მთელი დღე მას არ გაკარებია. ბუღალტრის მოხსნის შემთხვევაშიც ამის მსგავსი განრისხება იგრძნობოდა.

აი, მის შესახებ კიდევ რას გვიამბობს დოცენტი ვლადიმერ ცომაია: „დიმიტრი უზნაძის ერთ-ერთი მოწაფე სამეცნიერო ხარისხს იცავს. ოპონენტთა შორის ბატონი დიმიტრიცაა. პაექრობა მღელვარედ და დაძაბულად მიმდინარეობს. საწინააღმდეგო არგუმენტებით რკალშემორტყმული დისერტანტი თავგამოდებით იბრძვის. იგი ცდილობს თავისი ნაშრომის ძირითადი ღირებულებები განწყობის პრინციპებს შეუხამოს. მაგრამ ეს ცდა დაუსაბუთებელი რჩება. საბოლოოდ ნაშრომის ავტორი თავს იმით იცავს, რომ აცხადებს, თითქოს, განწყობის ცნება იმათთვისაც არ არის გარკვეული, ვინც განწყობის თეორიას იზიარებსო. დისერტანტის ამ რეპლიკამ არასასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა აუდიტორიაზე. ერთბაშად შეიცვალა განწყობილება: პირადი მომენტი შემოიჭრა მეცნიერულ პაექრობაში. სხდომა დამთავრდა. თუმცა დისერტანტს ხარისხი მიენიჭა, მაგრამ რამდენიმე ხმა საწინააღმდეგო აღმოჩნდა. ყველა გრძნობდა, რომ ეს უკანასკნელი გარემოება გამოიწვია იმ უხერხულმა რეპლიკამ; არც საწინააღმდეგო ხმის მიმცემნიც ფარავდნენ მაინცდამაინც ამას. დიმიტრი უზნაძისათვის კენჭის ყრის ეს შედეგი მოულოდნელი აღმოჩნდა: პირადი მომენტის ნიადაგზე მეცნიერული ხარისხის მინიჭების საკითხის გადაჭრა მის პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა. წამოვედით სახლში. დიმიტრი მოდიოდა ნელი ნაბიჯით, უსიტყვოდ, თითქოს არც უსმენდა, თუ რაზე ბაასობდნენ მისი თანამგზავრები. „ის უცაბედად წამოსროლილი რეპლიკა ეწყინათ და უთუოდ ამან იქონია გავლენა კენჭის ყრაზე“, — ვთქვი მე, დიმიტრი უცბად მოტრიალდა ჩემსკენ, გაჩერდა და დაბალი ხმით, თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა: „კი, მაგრამ სავსებით ნათელი არ არის, რომ ეს რეპლიკა შინაგანი მღელვარების სიღრმიდან მომდინარე ადამიანური არგუმენტი იყო? ამისი არ გაგება და მისი საბუთად გამოყენება დანაშაულია“... ყველაფერმა უკან დაიხია, წინ წარსდგა თვით დიმიტრი უზნაძის თვალუწვდენელი ადამიანური სიმაღლე, მისი პიროვნების მიუწვდომელი სისრულე“, — დაასკვნის ვლადიმერ ცომაია.

დიმიტრი უზნაძე გარდაიცვალა 1950 წელს 12 ოქტომბერს. 64 წლის ასაკში.

1950 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში „ოთხშაბათობის“ ჩვეულებრივი სხდომა იყო დანიშნული. დიმიტრი უზნაძე მოვიდა იმ დილით წუთი წუთზე, მოსვლისთანავე საქმეს შეუდგა, — თავისი უკანასკნელი შრომა მემანქანეს გადასცა დასაბეჭდად და სხდომას მიაშურა. იმ დღესაც, ისე როგორც ყოველთვის, მეცნიერულ სხდომაზე, მის სახეს ოდნავი დაძაბული გამომეტყველება ემჩნეოდა, ვითომ რაღაცის განჭვრეტა სურსო, რაღაცის ფიქსაციას ახდენსო. საბედისწერო არაფერი შეუმჩნევია არავის, კატასტროფით დამთავრებული დღე ჩვეულებრივი ნაბიჯით აეწყო. განწყობის თეორიის შესახებ პირველმა დიმიტრი უზნაძემ ილაპარაკა, შემდეგ საუბარში სხვები ჩაებნენ. დიმიტრი უზნაძე მშვიდად, გულდასმით უსმენდა მოპაექრეთ. 11 საათზე, სხდომის დაწყებიდან დაახლოებით ერთი საათის შემდეგ, სიტყვა კვლავ დიმიტრიმ აიღო. პირველი სიტყვა, რაც მან წარმოსთქვა, იყო ფსიქიკა... იქვე შეფერხდა. შეამჩნიეს, რომ ტანითაც ცოტა შეტორტმანდა, მარჯვენა ხელით საფეთქელს შეეხო, ხელი აუკანკალდა... სახეზე სიფითრემ გადაჰკრა. წამოცვივდნენ, წამს გარს შემოერტყნენ, მერე უკუიქცნენ.... ეგებ ვუშველოთ, გამოვტაცოთ სიკვდილსო. ცნობიერება ერთხანს სისრულით შეინარჩუნა. საბედისწერო მომენტიდან დაახლოებით 30 წუთის შემდეგ თავის მეუღლეს, რომელიც ის-ის იყო მოიჭრა, დაბალი ხმით შეეკითხა, თითქოს ერიდებაო ამ ცნობისმოყვარეობის გამომჟღავნებისა: „სისხლის ორმხრივი ჩაქცევაა?“; უარყოფით პასუხზე ხელი ოდნავ ჩაიქნია, ნახევარ საათში მდგომარეობა გაუარესდა, ცნობიერება დაკარგა.

მომხდარ უბედურებაზე ხმა დაირხა ქალაქში. დაიწყო შეუწყვეტელი დენა ხალხისა: მოდიოდნენ პატივისმცემლები, მეგობრები, მეცნიერები, სტუდენტები, მოწაფეები. მთელი ღამე ფეხზე დგომით თეთრად გაათენეს მომაკვდავ ძვირფას ადამიანთან. შეწუხებულ საზოგადოებას მწუხარების ნისლი ჩასდგომოდა თვალებში, აჩქარებული სუნთქვა უხშობდა მათ ყურთასმენას... მეორე ოთახში სიცოცხლის წუთები იწურებოდა იმ ადამიანისა, რომელიც მთელი თავისი ცხოვრებით ხალხისა და ერის აღორძინებას ემსახურა.

ამონარიდი ნადეჟდა ბერულავას წიგნიდან „დიმიტრი უზნაძე — ცხოვრება და შემოქმედება“

მუზეუმში დაცული ნივთებით გაცოცხლებული ისტორია

ერთი შეხედვით უბრალო ნივთები, რომელიც თსუ-ის მუზეუმში ინახება, ძვირფასია იმდენად, რამდენადაც ისინი იმ ადამიანებს ეკუთვნოდათ, რომლებმაც საქართველოში პირველი უნივერსიტეტი დააფუძნეს და თავიანთ სამეცნიერო მოღვაწეობით ემსახურებოდნენ ქვეყანას. მათი ხილვით თუ ხელის შევლებით შესაძლოა წარმოდგენაში ხანდახან მთელი ეპოქა გააცოცხლო.

შურთხია გეროშვილი

უნივერსიტეტის მუზეუმში სხვა მრავალ ექსპონატთან ერთად დაცულია ივანე ჯავახიშვილის საწერი კალამი, რომელიც მუყაოს ყუთშია მოთავსებული, მისი წინდები, ტყავის ჩანთა, რომლითაც დიდი მეცნიერი ლექციებზე დადიოდა და მასში თავის ნაშრომებს ინახავდა; მთლიანად არის შემორჩენილი მისი მაგიდის მოწყობილობა; მუზეუმში ინახება, ასევე, ჭილისგან გაკეთებული მისი ცილინდრი, ჰალსტუხი, რკინის საკრეჭი მანქანა, რომელსაც, თურმე, ბატონი ივანე სახლის პირობებში მოიხმარდა, წინდის სამაგრი და სხვა ნივთები. ივანე ჯავახიშვილის ნივთებიდან ასევე მნიშვნელოვანია მისი ბაფთა, რომელიც მას ყელზე ეკეთა ჯვრისწერის დროს, როდესაც იგი ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანზე დაქორწინდა. ნივთების ჩამონათვალში მოხვდა სტალინის სახელობის მედალი და საანგარიშოც. ივანე ჯავახიშვილის ნივთებიდან ბევრისთვის კარგად არის ცნობილი მისი ყურსასმენი აპარატი, რომელიც მას ფოტოსურათებზე იმ შემორჩენილ დოკუმენტურ მასალაშიც უკეთია, რომელიც ასევე მუზეუმშია დაცული. ცნობილია, რომ მეცნიერი ამ აპარატს დიდი ხნის მანძილზე ხმარობდა. მუზეუმში დაცულია ასევე ფონოგრამა და მისი ნიღაბი, რომელიც მას სიკვდილის შემდეგ აუღეს.

ივანე ჯავახიშვილის ნივთები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მისმა შვილიშვილმა დალი გერსამიამ გადასცა.

მუზეუმის დირექტორის მაია გურაბანიძის ინფორმაციით, მუზეუმის ფონდში დაცულია, ასევე, აკაკი შანიძის, პეტრე მელიქიშვილის და სხვა გამოჩენილ მეცნიერთა ნივთები.

„ჩვენთან ინახება აკაკი შანიძის ნივთები, რომელიც მისმა ქალიშვილმა, ლელამ გადმოგვცა. აკაკი შანიძის ნივთებიდან აღსანიშნავია მისი ნაქონი ჭადრაკი, რომლის თამაში მეცნიერს ძალიან უყვარდა. ცნობილია, რომ იგი სიამოვნებით თამაშობდა ჭადრაკს ნანა ალექსანდრიასთან და ნონა გაფრინდაშვილთან ერთად, მათთან ერთად ფოტოებიც აქვს გადაღებული. ჩვენთან ინახება, ასევე, მისი ჰალსტუხი, წითელი ფერის ლენტი, ნიღაბი, სათვალე, ყურსასმენი, ბურთულიანი ავტოკალამი, სამკერდე ნიშნები, ჭადრაკის ფიგურების სრული კომპლექტი, საბეჭდი მანქანა თავისი ბუდით, თეთრი მარმარილოს სადგამი საწერი მოწყობილობა, საფანქრე, ცილინდრული ფორმის სამელნე, საათი და სხვა“, — აღნიშნა მაია გურაბანიძემ. მისივე ინფორმაციით, თსუ-ის მუზეუმს ცოტა ხნის წინათ გადაეცა გიორგი ახვლედიანის არქივი, სადაც საინტერესო მასალებია თავმოყრილი, ასევე მისი პირადი ნივთები: ლითონის საქაღალდე, დანა, სამელნე, პენსნე და სხვა. ცნობილია, რომ გიორგი ახვლედიანი სანსკრიტის მკვლევარი იყო და გატაცებული გახლდათ ინდური კულტურით — მას დარჩა მდიდარი და საინტერესო კოლექცია, რომელიც ინდოეთში მოგზაურობის დროს შეაგროვა, ამჟამად ეს კოლექციაც უნივერსიტეტის მუზეუმის საკუთრებაა. ასევე ცნობილია, რომ გიორგი ახვლედიანი დაახლოებული იყო ოს ხალხთან და ოსური ლიტერატურის მკვლევრადაც ითვლებოდა. მის არქივში ინახება ოსი ხალხის მიერ ნაჩუქარი ეროვნული ორნამენტებით შემკობილი და წარწერიანი სავარძელი.

მუზეუმში ინახება პეტრე მელიქიშვილის სამუშაო მოწყობილობები, მისი ნიღაბი და სხვა ნივთები, რომელთაგან მნიშვნელოვანია თეთრი ხალათი, რომელსაც დღესაც ეტყობა ლაბორატორიული ექსპერიმენტების კვალი.

მნახველისთვის საინტერესოა სხვა მეცნიერთა ნივთების ხილვაც. მუზეუმში ინახება შალვა ნუცუბიძის ცილინდრი. ერთ-ერთ ფოტოზე, რომელიც მას ნიკო კეცხოველმა გადაუღო, სწორედ ეს ცილინდრი ახურავს თავზე. ასევე შემორჩენილია ფონოგრამა, რომელიც ჩაწერილია 1968 წელს, უნივერსიტეტის დაარსების 50 წლის იუბილეზე. მუზეუმში ინახება შალვა ნუცუბიძის ხელნაწერი, საქაღალდე, სტუდენტობის დროინდელი ნიშნების წიგნაკი და სიმწიფის ატესტატი.

მუზეუმში ასევე დაცულია მდიდარი ფოტო-მასალა და სხვა ნივთები, რომლებსაც უნივერსიტეტს მუზეუმის თანამშრომლები სათუთად უფრთხილდებიან.

მუზეუმის ხელმძღვანელი მაია გურაბანიძე იმედოვნებს, რომ მუზეუმის ფონდი მომავალში კვლავაც შეივსება.

„ნივთების მოძიება კვლავ გრძელდება... ჩვენთვის ძვირფასია თითოეული ნივთი, რომელიც შეგვახსენებს იმ ადამიანთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას, რომლებმაც თავიანთი კვალი დატოვეს უნივერსიტეტის ისტორიაში. აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 90 წლის იუბილეზე პირველ კორპუსში ეს ნივთები გამოიფინა. მათი გაცნობა მნიშვნელოვანია მომავალი თაობებისთვის. სამწუხაროდ, ბევრი ნივთი კვლავ მოსაძიებელია, მათ შორის, ექვთიმე თაყაიშვილის პირადი ნივთები. მერვე კორპუსში, ემიგრაციის მუზეუმში ინახება მისი ანდერძი, რაც ჩვენთვის ძალიან ძვირფასია“, — აღნიშნა მაია გურაბანიძემ.

თითოეულ ნივთთან შეხება და მათი ხილვა სხვა დამოკიდებულებას და ემოციას იწვევს მნახველში. ამაღელვებელია, როდესაც იცი, რომ ეს უბრალო ნივთები დიდ პიროვნებებს ეკუთვნოდათ, რომლებმაც, დაბრკოლებების მიუხედავად, შექმნეს ეპოქა — მათ ქართული სამეცნიერო სივრცის არეალი გააფართოვეს და საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეული ადგილი დაიმკვიდრეს.

აკაკი შანიძის „ხევსურული პოეზია“ უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა

მე-2 გვერდიდან

ავთანდილ არაგული:

— „ხევსურული პოეზია“ — ეს არის დღემდე მიუღწეველი დონე ხალხური შემოქმედების აკადემიური გამოცემისა თავისი ვარიანტებით, კომენტარებით, ისტორიებით... ეს ისეთი ნაშრომია, რომელიც მსოფლიოში ანალოგიურ დარგში მომუშავეს შეიძლება ნიმუშად გამოადგეს. ჩვენი უნივერსიტეტის ფუძემდებლები, გენიოსები, მართლაც, ხშირად სასიამოვნოდ გაგვაოცებენ ხოლმე და განსაკუთრებით რითი იცით? ის კი არა, რომ ეს ახალგაზრდა კაცი სრულიად უშეცდომოდ იწერს პოეზიის ამ ნიმუშებს (და არა მარტო პოეზიის ნიმუშებს), საოცარი ის არის, რომ იწყებს მეტყველებას ამ დიალექტებით. პირველივე შეხვედრის შემდეგ, ის უცხოობის ბარიერი იხსნება და აკაკი შანიძე არის ფშაველიც, ხევსურიც და ა.შ. ეს ჩანს ძალიან კარგად იმ კომენტარებიდანაც, რომელსაც თვითონ ხშირად აკეთებს ხევსურულად, ფშაურად და ა.შ. ეს არის იშვიათი შემთხვევა, როდესაც იმდენად დიდია მასში ალღო, ინტუიცია, წვდომის უნარი, რომ ფაქტიურად დიალექტის მფლობელი ხდება და ხალხური პოეზიის სიღრმეს იმდენად წვდება, რომ მაშინდელ მთქმელებთან თვითონ კაფიაც კი აქვს ნათქვამი. მას მაღალი პოეტური ნიჭი ჰქონდა, რაც იქიდან ჩანს, რომ მოწაფეობის დროს ლექსებს აქვეყნებდა, გარდა ამისა, შენახულია მისი კაფიები მთაში ცნობილ მთქმელებთან.

მისი მოგზაურობები რამდენიმე თვალსაზრისით არის ძალიან მნიშვნელოვანი. პირველ რიგში იმით, რომ ვაჟა-ფშაველას შეხვდა და პირადად ჰქონდა ურთიერთობა მასთან. ამის შესახებ მოგონებებიც აქვს. აკაკი შანიძის, როგორც დიდი მკვლევრის ფენომენი, არსებითად გაიხსნა ფხოვთან შეხვედრის დროს. ერთ მკვლევარს ეყოფა ის, რაც მან გააკეთა და რა დაკვირვებებიც მაშინ ანარმოა ფხოურ დიალექტებთან დაკავშირებით.

აკაკი შანიძე თავად რომ არ ყოფილიყო ამ ექსპედიციების ერთ-ერთი მონაწილე, ალბათ, შემდგომი პერიოდისათვის შედევრების ნახევარი მაინც დაკარგული იქნებოდა. ეს არის უნიკალური ფოლკლორული ნიმუშები, საოცარი მარგალიტები ხალხური პოეზიისა, რომლებიც, ბუნებრივია, 20-30 წელიწადში იკარგება, მით უფრო მთაში, სადაც დიდი კატაკლიზმები მოხდა – კომუნისტების გეგმიურმა გადასახლებებმა მთა თითქმის დააცარიელა. არ დარჩებოდა პოეზიის ისეთი უნიკალური ნიმუში, როგორიც არის „ვეფხისა და მოყმის“ ბალადა.

თავად აკაკი შანიძეს არავინ დამხმარე არ ჰყავდა. როდესაც ამ ტომს გაეცნობით, მხოლოდ იმის წარმოდგენაც კი შეგაძრწუნებთ, როდის შეძლო ფიზიკურად ამის წერა? მაშინ დიქტოფონი და სხვა ჩამწერი საშუალებები არ არსებობდა, ამიტომ მეცნიერი ყველაფერს ხელით იწერდა. ამ პოეზიას რომ წაიკითხავთ, მიხვდებით, რა ასაზრდოებდა ვაჟას... თვითონ ვაჟამ ენა ამ ხალხური პოეზიიდან აიღო.

ყველა ჰუმანიტარისთვის და არა მარტო ჰუმანიტარისთვის, ვინც დაინტერესებულია ქართული კულტურის ფესვებით, მისთვის ეს წიგნი უძვირფასესია. როგორც ჩვენი ხალხური სიმღერა უდგას გვერდით კლასიკურ სიმღერას, ასევეა ეს ხალხური პოეზიაც, რომელიც განსაკუთრებით ამ ტომშია წარმოდგენილი — აქ არის ძალიან სერიოზული თემები საგმირო-ისტორიული, ასევე, სატრფიალო, ფაქიზი პოეზია, რომელიც უფრო ნაკლებად არის ხევსურულში და უფრო მეტად არის ფშაურში. ასევე წარმოდგენილია საყოფაცხოვრებო პოეზია... ეს წიგნი საინტერესოა ყველა მკვლევრისთვის, ვინც იკვლევს ისტორიას, მითოლოგიას, ლიტერატურას... საინტერესოა ლიტერატურათმცოდნეებისთვის, ცხადია ენათმეცნიერებისთვისაც....

მზექალა შანიძე:

— მოგეხსენებათ, ხალხური პოეზიის ნიმუშთა შეგროვება და, საერთოდ, ამ მიმართულებით სამეცნიერო მუშაობა საქართველოში მე-19 საუკუნის ბოლო წლებშიც იყო გაჩაღებული. თუმცა, სანამ ივანე ჯავახიშვილის ჯგუფი პეტერბურგიდან არ ჩამოვიდა, მანამდე ჩვენთან ასეთი ძლიერი სკოლა არ არსებობდა. არ მინდა შეურაცხყოფა მივაყენო იმ ძალიან

საპატივცემულო ხალხს, ვინც მე-19 საუკუნეში მოღვაწეობდა, მაგრამ, რეალურად, თანამედროვე მეცნიერულ ენაზე მუშაობა საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ დაიწყო. ეს შენიშვნები, ლამის, ორჯერ უფრო მეტია. ხალხური პოეზიით აკაკი შანიძე მას შემდეგ დაინტერესდა, როცა თავად გიმნაზისტი 1908 წელს პირველად მოხვდა მთაში, ბიძასთან და პირველად გაიგონა ხევსურების მეტყველება, კაფიაობა... მათთან შეხვედრებისას ჩაინიშნა ის ლექსები, რასაც ისინი ყვებოდნენ.

ეს ჩანაწერები ძალიან მნიშვნელოვანია იმით, რომ ზოგიერთი მათგანი მე-20 საუკუნის დასაწყისშია შეკრებილი. აკაკი შანიძე, წლების განმავლობაში, რამდენჯერმე იყო ექსპედიციაში, შეკრიბა ძალიან დიდი მასალა. მე მისი წიგნის — „ხევსურული პოეზია“ ხელმეორედ გამოცემისას რედაქტორი ვიყავი და შემიძლია, ვთქვა, რომ ეს არის კლასიკური ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა გამოიცეს ფოლკლორული წიგნი. მის გამოცემამდე საქართველოში ასეთი წიგნი არ გვქონია. მასში ასახულ შენიშვნებში ბევრი ისეთი მასალაა შეტანილი, რომელიც დღესაც არ კარგავს მნიშვნელობას. ეს არის შენიშვნები ეთნოგრაფიის შესახებ, წეს-ჩვეულების შესახებ... მასში მოცემული ლექსიკიდან დღეს ბევრი დაკარგულია... როგორც თავად აკაკი შანიძე წერს, ბევრი ეს სიტყვა აღარ არსებობს, ზოგმა ფორმა შეიცვალა, ბევრი დაიკარგა... შემთხვევითი არ არის, რომ წლების განმავლობაში რამდენჯერ დაუსვამთ ჩემთვის შეკითხვა: არ დაბეჭდავთ ხალხურ პოეზიას ხელახლა? ჯერ კიდევ 90-იან წლებში ჩვენ დავიწყეთ კომპიუტერში ამ მასალების შეტანა და მხოლოდ ახლა, უნივერსიტეტის გამომცემლობის დახმარებით, გახდა შესაძლებელი ამ წიგნის ხელახლა დაბეჭდვა. მასში შეტანილია ყველაფერი ის, რაც იყო პირველ გამოცემაში.

— დღეს ქართული ხალხური პოეზია ნაკლებად ისმის. თქვენ თუ გაქვთ ინფორმაცია, რა მდგომარეობაშია დღეისთვის ქართული ფოლკლორული პოეზია და რა უნდა გაკეთდეს მისი პოპულარიზაციისთვის?

— ძნელია თქმა — გაღარიბდა თუ არა ხალხური პოეზია და რა არის ამის მიზეზი? ხალხური პოეზია, კლასიკური სახით, განსაკუთრებით მთაში იყო გავრცელებული. ფშავი და ხევსურეთი განთქმული იყო ამით და დღეს, როდესაც ეს კუთხე პრაქტიკულად დაცლილია და მოსახლეობა აღარ არის, პოეზიის გაქრობაზე კი აღარ არის საუბარი, არამედ იმაზე, რომ ამ კუთხეში ხალხი აღარ ცხოვრობს და პოეზიის მთქმელიც აღარავინ არის. დღევანდელ ვითარებას ბუნებრივია ვერ შევადარებთ 100 წლის წინანდელ მდგომარეობას, როცა სოფლები მჭიდროდ იყო დასახლებული და თითოეული კუთხე გამოირჩეოდა თავისი ზნე-ჩვეულებებით, პოეზიით, მთქმელებით... 1987 წელს, როდესაც მამაჩემის იუბილესთვის მოვინდომე გამეკეთებინა მისი ფშავ-ხევსურეთში მოგზაურობის რუკა, ძალიან გამიჭირდა, რადგან, უმეტესად, იმ სოფლების ადგილას მხოლოდ ნასოფლარები იყო. ამიტომ როცა ხალხური პოეზიის გაღარიბებაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფელს ხალხი აღარ ჰყავს. ჯერ კიდევ როდის დაიწყო ხევსურების ჩამოსახლება... ცნობილია, რომ ბესარიონ გაბუური ჩამოიყვანეს და რუსთავის მახლობლად ველზე დაასახლეს. რა უნდა ხევსურს მინდორში?! ხევსური დაბადებულია იმისთვის, რომ იცხოვროს თავის კუთხეში, ოღონდ მას უნდა ჰქონდეს ცხოვრებისთვის საჭირო ელემენტარული პირობები მაინც. ხევსურებს პოეზიის ნიჭი შერჩენილი აქვთ და ასეთი ბევრი იქნება. იყოს კუთხე დასახლებული, იყოს იქ ხალხი კარგად და ხალხური პოეზიის ახალი ნიმუშიც ბევრი გამოჩნდება.

ოთარ ჩხეიძის სახელობის სტიპენდიატი წელს ანა ბაქანიძე გახდა

25 იანვარს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ოთარ ჩხეიძის სახელობის სტიპენდიატების დაჯილდოების ცერემონიალზე მწერლებმა, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, სტუდენტებმა და მწერლის ოჯახის წევრებმა მოიყარეს თავი. 2009 წელს ოთარ ჩხეიძის სახელობის სტიპენდია სამმა სტუდენტმა მოიპოვა, 2010 წელს კი ეს საპატიო წოდება თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამე სემესტრის მაგისტრანტს ანა ბაქანიძეს მიენიჭა. შეხვედრაზე სპეციალური დიპლომები ოთხივე სტიპენდიატს გადაეცა.

შურთხია ბეროშვილი

დამსწრე საზოგადოებას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ მიმართა, რომელმაც ვრცლად ისაუბრა თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მწერლის მოღვაწეობასა და შემოქმედებაზე.

როგორც გიორგი ხუბუამ აღნიშნა, მწერლის სახელობის სტიპენდიის დანიშვნა დიდი პატივია როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, ასევე, მთელი უნივერსიტეტისთვის. მან იმედი გამოთქვა, რომ ეს თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება და სასიამოვნო ტრადიციად გადაიქცევა.

„ოთარ ჩხეიძე წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გორის უნივერსიტეტში. მისთვის სტუდენტობასთან ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო მოვალეობა იყო. როგორც მისი სტუდენტები იხსენებენ, ბატონ ოთართან ურთიერთობა მათთვის უდიდესი სკოლა გახლდათ. ერთი მხრივ, თავისი პედაგოგიური საქმიანობითა და, მეორე მხრივ, სამწერლო მოღვაწეობით ქართულ საზოგადოებაში ამკვიდრებდა გარკვეულ სტანდარტს — პირველ რიგში, ადამიანური ფასეულობების ერთგულებას, პროფესიონალიზმს, საქვეყნო ინტერესების სამსახურს“, — განაცხადა გიორგი ხუბუამ.

მისი აზრით, ძნელია ორიოდე სიტყვით შეაფასო ოთარ ჩხეიძის შემოქმედება, რადგან იგი XX საუკუნის სამოციანელთა თაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია, რომელმაც შეძლო თავისი საუკუნის მატიანე შეექმნა, რაც იოლი ნამდვილად არ იყო მისი მოღვაწეობის პერიოდში. „ოთარ ჩხეიძე იმ ქართველ მწერალთა შორისაა, რომელთაც მძიმე საბჭოთა წნეხის პირობებშიც მოახერხეს საფუძვლიანად და ამომწურავად დაეხატათ ეპოქის სოციალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო, დაბრკოლებები, რომელიც თანმდევი იყო იმ ეპოქისა და რომელთაც შეძლეს შეექმნათ ეპოქის ხასიათის აღმნუსხველი ადამიანთა მხატვრული პორტრეტები. ოთარ ჩხეიძის თანამედროვეები იმასაც იხსენებენ, რომ მწერალი თავის თავში აერთიანებდა გრიგოლ ხანძთელის მრწამსს და ილია ჭავჭავაძის ნებას.

მწერლის ძირითადი სადარდებელი საქართველოს ბედი და უბედობა იყო, ამიტომაც არის, რომ მისი შემოქმედების უმთავრესი თემატიკა ქვეყნისთვის აქტიურ პრობლემებს ეხება. იგი არ გაურბოდა იმას, რომ გამხდარიყო ობიექტური შემფასებელი და პირუთვნელი მსაჯული თანამედროვეობისა. მისი ცხოვრება მჭიდროდაა დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის წარსულთან. რომანში „არტისტული გადატრიალება“ XX საუკუნის 90-იანი წლებია ასახული. იგი ცდილობდა მოეძებნა ახსნა იმ საბედისწერო შეცდომებისა, რომელმაც ქვეყანა სავალალო შედეგებამდე მიიყვანა“, — აღნიშნა თავის გამოსვლაში გიორგი ხუბუამ.

რექტორმა მადლობა გადაუხადა ოთარ ჩხეიძის სახელობის სტიპენდიის დანიშვნის ინიციატორებს და კომისიის წევრებს, რომელთაც ღირსეული კანდიდატი გამოავლინეს და აღნიშნა: „იმედი გვაქვს, რომ ჩვენი სტიპენდიატები და სხვა სტუდენტებიც შეძლებენ იცხოვრონ მწერლის მიერ ნაანდერძევი პრინციპებით და შეძლებისდაგვარად ემსახურონ თავის ხალხს, ქვეყანას და ქართულ ენას“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის დარეჯან თვალთვაძის ინფორმაციით, უკვე მეორე წელია თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ლიტერატურისა და თარგმანთმცოდნეობის მიმართულების მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის ტარდება წინასწარ შესარჩევი კონკურსი, რის შედეგადაც გამარჯვებულ სტუდენტებს ენიჭებათ ოთარ ჩხეიძის სახელობის სტიპენდია, რომელიც თვეში 200 ლარს შეადგენს და გამარჯვებულ სტუდენტს იგი ერთი წლის მანძილზე გადაეცემა. სტიპენდია ოთარ ჩხეიძის ოჯახმა და ჟურნალმა „ჩვენი მწერლობა“ დააწესა. როგორც დარეჯან თვალთვაძემ აღნიშნა, ეს სტუდენტებისთვის დიდი სტიმულია და სასიამოვნოა, რომ უნივერსიტეტში ეს ტრადიციად იქცა.

წლევანდელმა სტიპენდიატმა ანა ბაქანიძემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს მისი შრომის დაფასებისთვის და იმ დამოკიდებულებისთვის, რაც მათ კონკურსანტების მიმართ გამოიჩინეს.

„კონკურსში 15 მაგისტრანტი ვმონაწილეობდით. საუბარი, ძირითადად, ოთარ ჩხეიძის შემოქმედებას შეეხებოდა, თუმცა იყო ზოგადი კითხვებიც... მადლობა მინდა გადავუხადო ჟიურის ყველა წევრს იმ გარემოსთვის, რომელიც გასაუბრების დროს სუფევდა — ეს იყო საინტერესო საუბარი უფროს მეგობრებთან. ოთარ ჩხეიძის სახელობის სტიპენდიატობა ჩემთვის დიდი პატივია, ამასთან დიდი პასუხისმგებლობაც. ოთარ ჩხეიძის შემოქმედება მართლაც განსაკუთრებულად მიყვარს, მას ვაფასებ არა მარტო როგორც კარგ მწერალს, არამედ მართალ ადამიანს, რომელმაც ხმა აიმაღლა იმაზე, რაზეც ვერავინ ბედავდა საუბარს და ადამიანს, რომელიც არც ციხეში მჯდარა, არც გადასახლებაში ყოფილა, მაგრამ თავისი ცხოვრებით გამოიარა კატორღა. მან შეძლო შეექმნა სრულიად განსხვავებული სტილი და განსხვავებული სამყარო. ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტები ვგეგმავთ გაზაფხულზე ჩავატაროთ ოთარ ჩხეიძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია და ამით კიდევ ერთხელ გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება მისი შემოქმედების მიმართ“, — აღნიშნა ანა ბაქანიძემ.

ოთარ ჩხეიძე გაიხსენა მისმა ყოფილმა სტუდენტმა, პროფესორმა კახა ლორიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ მწერლის სახელობის სტიპენდიის დაარსებით მნიშვნელოვან ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი.

„ოთარ ჩხეიძე XX საუკუნის მხატვრული მემატიანეა. ის, რომ ცოცხალი კლასიკოსი დადიოდა ჩვენს შორის, მისმა სტუდენტებმა ძალიან კარგად ვიცოდით. იგი საოცარი პასუხისმგებლობის გრძნობით და თავმდაბლობით გამოირჩეოდა. შეიძლება ითქვას, რომ ხშირად იშლებოდა ზღვარი მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მან დროს გაუსწრო და გაუძლო. მწერალი არ ერიდებოდა ნაწარმოებებში შეხებოდა თავის ეპოქისდროინდელ აქტუალურ თემებს. ხშირ შემთხვევაში ის პირდაპირ რეაგირებდა ამა თუ იმ პოლიტიკურ მოვლენაზე. იგი არასდროს გარიდებია მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას. XX საუკუნეში არსებობდა ქართულენოვანი ორი ტიპის მწერლობა — ქართული საბჭოთა მწერლობა და ჭეშმარიტად ქართული მწერლობა, რომლის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელია ოთარ ჩხეიძე. ინტერესი მისი შემოქმედების მიმართ უფრო და უფრო გაიზრდება. ღრმად ვარ დარწმუნებული, ისტორია მის ღვაწლს სათანადოდ დააფასებს," — აღნიშნა კახა ლორიამ.

ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაზე საინტერესოდ ისაუბრეს შარშანდელმა სტიპენდიატებმა: ანა კოპალიანმა, გიორგი კეკელიძემ, ოქტაი ქაზუმოვმა, მწერალმა მაკა ჯოხაძემ და სხვებმა. შეხვედრას ესწრებოდა თბილისის მერიის საკრებულოს თავმჯდომარე, მწერალი ზაალ სამადაშვილი, რომელმაც სტიპენდიატებს მიმართა და თავისი დამოკიდებულება გამოხატა ოთარ ჩხეიძის შემოქმედების მიმართ.

ოთარ ჩხეიძის შვილმა, მწერალმა როსტომ ჩხეიძემ სიამოვნებით დაადასტურა, რომ წლევანდელი შეხვედრა, შარშანდელის მსგავსად, ამაღელვებელი და სასიამოვნო იყო, რადგან ეს დღეც ლიტერატურულ საღამოდ გადაიქცა, რომელსაც თან ახლდა გულწრფელობა და სითბო. მან საინტერესოდ ისაუბრა სახელოვანი მამის ცხოვრების ზოგიერთ დეტალზე: „როდესაც იგი სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა, ახალი დახვრეტილი იყო მიხეილ ჯავახიშვილი, ასევე, მისი უფროსი მეგობრები, კოტე ხიმშიაშვილი, გიორგი ძიგოშვილი, მესამედ ასახლებენ ლევან გოთუას... ასეთ დროს იგი დაუფარავად ლაპარაკობდა ამ რეჟიმზე და ამ იდეოლოგიაზე. მას ხშირად ეკითხებოდნენ გაოცებულნი, როგორ გაბედეთ სიმართლის თქმა იმ უმწვავეს ჟამს, როცა შეიძლებოდა ამისთვის ციხის კედლებთან აღმოჩენილიყავითო, იგი გულწრფელად პასუხობდა: — არც მიფიქრია თუ რაიმე განსაკუთრებულს ვაკეთებდი, მე მხოლოდ ერთი რამ ვიცი: მწერალმა უნდა აღწეროს ის, რასაც ხედავს, ასე ვიქცეოდი ჩვეულებისამებრ და თურმე ეს ყოფილა გაბედულებაო. ოთარ ჩხეიძემ სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა ის ექსპრესია, რაც ახალგაზრდობის თვისებაა. მისი შემოქმედების შესწავლა გამოადგებათ არა მარტო ლიტერატურის მკვლევრებს, არამედ ისტორიკოსებსაც, ფილისოფოსებსაც, ფსიქოლოგებსაც, ასტრონომებსაც და იურისტებსაც წმინდა პროფესიული თვალსაზრისით. ლევან სანიკიძემ „არტისტული გადატრიალების“ წაკითხვის შემდეგ მითხრა, გავა დრო და ამ წიგნს ისევე დაეყრდნობიან ისტორიკოსები, როგორც თავის დროზე ჰომეროსის „ილიადას“, რათა დაინახონ მაშინდელი ეპოქაო. გავიდა ხანი და ჩვენი რეალობა ადასტურებს იმას, რომ ეს ასეც იქნება. ჩვენი დღევანდელი დღეც ლიტერატურის ყოვლისმომცველობაზე მიგვანიშნებს“, — აღნიშნა როსტომ ჩხეიძემ.

„როგორც წესი – ომს პოლიტიკოსი იწყებს და არა ხალხი“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტს (ხელმძღვანელი: პროფესორი გუგული მაღრაძე) მრავალრიცხოვანი საერთაშორისო კონტაქტები გააჩნია, რაც ხელს უწყობს ამ სპეციალობის სტუდენტებს – მაგისტრებსა და დოქტორანტებს – ინტენსიურად ჩაერთონ სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში. ერთ-ერთი ასეთი პროექტია „ახალგაზრდობის როლი კონფლიქტის გადაჭრასა და პრევენციაში“, რომელსაც ევროკავშირის გრანტის ფარგლებში ახორციელებს გერმანიის გისენის უნივერსიტეტი, რომლის პარტნიორი ქართული მხრიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფლიქტების ანალიზის და მართვის ინსტიტუტია. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ქართველი სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო სემინარში კონფლიქტის ტრანსფორმაციის და პრევენციის საკითხებზე, ასევე, დაგეგმილია ამ სფეროში სადოქტორო კვლევისთვის ქართველი დოქტორანტის რამდენიმეთვიანი მივლინება გისენის უნივერსიტეტში.

საერთაშორისო სემინარში მონაწილეობისთვის სტუდენტთა შესარჩევად ქართულმა მხარემ ივლისსა და აგვისტოში ჩაატარა საორგანიზაციო მოსამზადებელი სამუშაოები. კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადი 50-მდე სტუდენტმა შემოიტანა. კონკურსში მონაწილეებს გავლილი ჰქონოდათ სასწავლო კურსები კონფლიქტოლოგიაში, პოლიტიკურ მეცნიერებებში, საერთაშორისო ურთიერთობებში და სხვა რელევანტურ დისციპლინებში.

გერმანულმა მხარემ შეარჩია 6 ქართველი სტუდენტი — სოფიო გუგუნავა, მედუნა გოგიშვილი, გიორგი შიოშვილი, ნათია ნებუნიშვილი, ზაზა ბზიშვილი და თემურ კიღურაძე. მათ შორის 4 — სოფიო გუგუნავა, მედუნა გოგიშვილი, გიორგი შიოშვილი და ნათია ნებუნიშვილი თსუ-ის კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის სტუდენტები არიან.

შემოდგომაზე სტუდენტთა ჯგუფი გერმანიაში გაემგზავრა. გისენის უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო სემინარი თემაზე: „კონფლიქტის ანალიზი და კონფლიქტის პრევენცია", რომელშიც მონაწილეობდნენ 7 ქვეყნის: საქართველოს, გერმანიის, რუსეთის, მოლდოვეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები.

10 დღის განმავლობაში განიხილეს ისეთი თემები, როგორიცაა: კონფლიქტის ბუნება, საერთაშორისო კონფლიქტის პრევენცია, ინტეგრაციული კონფლიქტის ტრანსფორმაცია და სხვა. სემინარის ორგანიზატორებმა – დოქტორმა მატიას ჰოერმა და ჰანა ბირკენბახმა შეძლეს ღონისძიების უმაღლეს დონეზე წარმართვა. სხდომები ინფორმაციული და, ამავდროულად, ემოციურად დატვირთული გახლდათ, იყო რეალური მოვლენების ანალიზი და დისკუსიები. მნიშვნელოვანი და ფასეული გახლდათ, რომ სემინარში მონაწილეობდნენ ერთმანეთთან კონფლიქტში მყოფი ქვეყნების ახალგაზრდები. თითოეული მათგანი ცდილობდა ობიექტურად და კონსტრუქციულად შეეფასებინა საკითხები უშუალოდ მათ ქვეყნებთან მიმართებაში. დიდი გამოხმაურება მოჰყვა ული აგერისა და ნადინ ჰეპტნერის ლექციებს. მათ ისაუბრეს იმ ადამიანებზე, რომლებიც კონფლიქტის შემდეგ თავიანთ ქვეყნებში მშვიდობისმყოფელები გახდნენ. ჰააგის ინსტიტუტის ლექტორმა შამიკა ჯაიასუნდარამ, რომელიც წარმოშობით შრი-ლანკიდან გახლდათ, ინტეგრაციული კონფლიქტის ტრანსფორმაციის თეორიის საილუსტრაციოდ საკუთარ ქვეყანაში არსებული კონფლიქტი განიხილა.

სემინარის მონაწილეები შეხვდნენ ჰუმანიტარული ორგანიზაციების GTZ და KFW-ის წარმომადგენლებს, გაეცნენ ინფორმაციას, თუ რა სახის დახმარებას უწევენ ისინი კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს.

„როგორც წესი — ომს პოლიტიკოსი იწყებს და არა ხალხი" — ასეთი ფრაზა გაისმა სემინარის მსვლელობისას, რომელიც ყველა მონაწილემ ახლებურად გაიაზრა. შესაძლოა, სწორედ ეს არის კონფლიქტის მოგვარებისაკენ მიმავალი ერთი პატარა ნაბიჯი.

სოფიო გუგუნავა
თსუ-ის სოციალური და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, კონფლიქტების ანალიზისა და მართვის პროგრამის დოქტორანტი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ტემპუსის პროგრამაში 14 მოგებული პროექტით ლიდერობს

12 იანვარს თსუ-ში ევროკავშირის ტემპუსის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტის — „ახალი კურიკულუმი გამოყენებითი ბიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიების მიმართულებით“ — შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს პროექტის კონსორციუმის ყველა წევრი უნივერსიტეტის (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დასავლეთ ინგლისის უნივერსიტეტი, დუბლინის ტექნოლოგიების ინსტიტუტი, სალონიკის არისტოტელეს სახელობის უნივერსიტეტი) წარმომადგენლებმა.

თამარ მარუაშვილი

შეხვედრაზე მოწვეულნი იყვნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ევროკავშირის ტემპუსის ეროვნული კოორდინატორი საქართველოში, ევროკომისიისა და ბრიტანეთის საბჭოს წევრები, ასევე, საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის, კერძო სექტორის წარმომადგენლები — პროგრამის კურსდამთავრებულთა პოტენციური დამსაქმებლები კვების, აგრარული და ჯანდაცვის ბიოტექნოლოგიების მომართულებით, ტელევიზიის და პრესის წარმომადგენლები.

პროექტის შედეგები წარმოადგინა პროექტის მენეჯერმა, პროფესორმა სტივ ნილმა (დასავლეთ ინგლისის უნივერსიტეტი), რომელმაც მოკლედ ისაუბრა ძირითად მიღწევებზე. პროექტის დადებით მხარეებზე ისაუბრეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა რამაზ ბოჭორიშვილმა, ტემპუსის ეროვნული ოფისის ხელმძღვანელმა ლიკა ღლონტმა, მოწვეულმა ექსპერტებმა, პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა.

გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შექმნის იდეას საფუძვლად დაედო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოფიზიკის კათედრასა და დასავლეთ ინგლისის უნივერსიტეტის (ქ. ბრისტოლი) გამოყენებითი ბიოლოგიის ფაკულტეტს შორის თითქმის 25 წლიანი ურთიერთთანამშრომლობის ისტორია. პროფესორ ბორის ლომსაძისა და პროფესორ ჰენრი ჰარის ძალისხმევის შედეგად, საფუძველი ჩაეყარა ორ უნივერსიტეტს შორის მჭიდრო თანამშრომლობას: სტუდენტთა გაცვლით პროგრამებს, სამეცნიერო სტაჟირებებს და ერთობლივ კვლევებს. 2006 წელს ეს ურთიერთობა განახლდა და თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ევროკავშირის ტემპუსის პროგრამის ფარგლებში შეიქმნა ახალი საბაკალავრო პროგრამა „გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია“. პროექტის განხორციელება დაიწყო 2007 წლის 1 სექტემბერს და დასრულდება 2010 წლის თებერვალში.

პროექტის წარმატებული შედეგები კონსორციუმის წევრებს შორის ინტენსიურმა სამუშაო შეხვედრებმა განაპირობა. 2 წლის განმავლობაში 5 სამუშაო შეხვედრა გაიმართა: თბილისში, ბრისტოლში, დუბლინსა და სალონიკში.

შემაჯამებელი შეხვედრა გახსნა და პროექტის ავტორებს და მონაწილეებს სამომავლო წარმატებები უსურვა თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ:

„ასეთი პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანია, რათა სასწავლო პროგრამები იყოს თანამედროვე, ევროპული სტანდარტების შესაბამისი. განსაკუთრებით ეს ეხება ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებებს, მიმართულებებს, რომლებსაც სხვებთან შედარებით, განვითარების ნაკლები ტრადიცია აქვთ. ახალი, თანამედროვე პროგრამების დანერგვით, პირველ რიგში მოგებულია სტუდენტი, რადგან ეს პროგრამა პირდაპირ სტუდენტზეა ორიენტირებული. პირველი შემთხვევაა, როცა ბიოტექნოლოგიაში მსგავსი ტიპის პროექტი განხორციელდა. ახალ პროგრამაში აქტიურად უნდა ჩაერთონ არა მარტო საქართველოს, არამედ მეზობელი რეგიონების სტუდენტებიც. თსუ ლიდერია ტემპუსის პროექტების მოპოვების თვალსაზრისით. ეს პროექტი აუცილებლად პოზიტიურ შედეგებს გამოიღებს. ამ პროექტით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ახალი პარტნიორი უნივერსიტეტები შეიძინა, გაჩნდა ახალი პერსპექტივები და, ბუნებრივია, მომავალში ამ თანამშრომლობის ახალ ფორმებსა და პერსპექტივებზე უნდა ვიფიქროთ“.

შეხვედრაზე სიტყვით გამოსვლისას ტემპუსის ეროვნულმა კოორდინატორმა ლიკა ღლონტმა აღნიშნა, რომ: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ტემპუსის პროგრამაში 14 მოგებული პროექტით ლიდერობს არა მხოლოდ საქართველოს მასშტაბით, არამედ მთელი ამიერკავკასიის უნივერსიტეტებს შორის. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულება თსუ-ში, ასევე, ლიდერობს არა მარტო საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული მასალების რაოდენობით, არამედ მოპოვებული გრანტებითა და ტემპუსის მოგებული პროექტებით. წელს 4 მოგებული პროექტიდან ორი სწორედ ამ მიმართულებაზე განხორციელდა. პროექტი გამოყენებითი ბიომეცნიერებების მიმართულებით მაგისტრატურის დონეზეც გრძელდება.

როგორც ხედავთ, ერთხელ მოპოვებული ტემპუსის გრანტი ქმნის ძალიან კარგ ბაზას იმისთვის, რომ დაფინანსება გაგრძელდეს პროექტის წარმატებულად განხორციელების შემთხვევაში. პროექტის მდგრადობა საქართველოში უზრუნველყოფილია. მნიშვნელოვანია ორი რამ: ერთი ის, რომ ეს არის პირველი პროექტი, რომელიც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში დამსაქმებლებთან, ინდუსტრიასთან უშუალო კავშირშია, რაც სიახლეა და იგი უნდა შევინარჩუნოთ; მეორე ასპექტი კი გახლავთ, რომ ბიოლოგიის მიმართულებით შემუშავდა დარგობრივი სტანდარტები.

იმედი მაქვს, მომავალი პროექტი, რომელიც სამაგისტრო დონეზე განხორციელდება, საშუალებას მოგცემს კიდევ უფრო გავაძლიეროთ თანამშრომლობა ჩვენს რეგიონულ და ევროპელ კოლეგებთან. მნიშვნელოვანია, რომ ტემპუსის ახალი პროექტი გულისხმობს ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭებას გამოყენებით ბიოლოგიაში. ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, მთელი ჩვენი უმაღლესი განათლების პოლიტიკის წამყვანი ღერძია, რამდენადაც ასეთი ტიპის პროგრამების გარეშე წარმოუდგენელია ინტერნაციონალიზაცია, ხარისხის გაუმჯობესება, უცხოენოვანი კურსები და მობილობის ხელშეწყობა“.

საბაკალავრო პროგრამა — გამოყენებით ბიომეცნიერებებსა და ბიოტექნოლოგიაში მიზნად ისახავს მოამზადოს სპეციალისტები (ბაკალავრები) ჯანდაცვის, აგრობიოტექნოლოგიის და კვების ტექნოლოგიის მიმართულებით.

საბაკალავრო პროგრამა წარმოადგენს საქართველოს, როგორც სასოფლო-სამეურნეო ქვეყნის პრიორიტეტს. სასწავლო პროგრამა იმ საგნების ერთობლიობაა, რომელიც ბიოლოგიის ფუნდამენტური დარგების თეორიული საფუძვლების სწავლებასთან ერთად, ითვალისწინებს ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის პროფესიულ მომზადებას ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის და კვების ტექნოლოგიების მიმართულებით.

პროგრამა გულისხმობს აკადემიური ხარისხის კონტროლისა და პროგრამული აკრედიტაციის ევროპული სტანდარტების დანერგვას თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე და შემდგომ ამ ცოდნის თსუ-ის სხვა ფაკულტეტებსა და საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებთან გაზიარებას, საინფორმაციო ტექნოლოგიებზე დაყრდნობილი სასწავლო-მეთოდოლოგიის შემუშავება-დანერგვას, სწავლების პროცესში სტუდენტთა დასაქმებისა და საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ინიციაციას.

ბაკალავრიატში პირველად განხორციელდება პროფესიული პრაქტიკა — სტუდენტთა დროებითი დასაქმება სათანადო პროფილის საწარმოებსა და სამსახურებში ან კლინიკებსა და სადიაგნოსტიკო ცენტრებში აუცილებელი საწარმოო უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების შეძენის მიზნით. ეს კიდევ უფრო დააახლოებს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას წარმოებასთან და ამასთანავე, გამოყენებით დარგებში სასწავლო პროგრამების ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის საშუალებას იძლევა.

საბაკალავრო პროგრამის გავლით სტუდენტები მიიღებენ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას როგორც ფუნდამენტურ, ისე განსაკუთრებით გამოყენებით სფეროში; ცხოველური და მცენარეული ორგანიზმების სტრუქტურულ-ფუნქციურ შესწავლასთან ერთად,



ბაკალავრიატის სტუდენტები დაეუფლებიან საინფორმაციო და კვლევით ტექნოლოგიებთან ურთიერთობის ქიმიურ-ბიოლოგიურ ლაბორატორიებში მუშაობის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს; ბაკალავრებს გაცნობიერებული ექნებათ პროფესიული პასუხისმგებლობა და და სათანადო ეთიკური ნორმები. დასაქმებაზე ორიენტირებული პრაქტიკა უზრუნველყოფს სოციუმთან მუშაობის უნარის, პრობლემების ავტონომიურად გადაწყვეტის, დროის დაგეგმვის და ოპტიმალური ორგანიზების უნარების განვითარებას.

შემაჯამებელ გამოსვლაში პროექტის კოორდინატორმა, თსუ-ის ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა ნინო ინასარიძემ მადლობა გადაუხადა თსუ-ის ხელმძღვანელობას და პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლებს აქტიური მხარდაჭერისთვის.

საზოგადოების მხრიდან გამოწვევების პასუხად თსუ-ის რექტორმა 2009 წლის ანგარიში წარმოადგინა

მე-3 გვერდიდან

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში ასევე გაიცემა კომპიუტერული მეცნიერებების ბაკალავრის ერთობლივი ხარისხი ვერსალ სენ კანტენის უნივერსიტეტთან და გერმანული სამართლის მაგისტრის ხარისხი კიოლნის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. 2010 წლიდან უნივერსიტეტი უერთდება რვა ევროპული უნივერსიტეტის კონსორციუმს, რომლის კოორდინატორიც ბოლონიის უნივერსიტეტია და იგი გასცემს დოქტორის ერთობლივ ხარისხს ევროპულ ლიტერატურაში.

2009 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდა ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს პირველი და ერთადერთი ქართველი წევრი, ეს საშუალებას გვაძლევს, ევროპული სტანდარტების შესაბამისად თავად მივიღოთ მონაწილეობა სადოქტორო განათლების განვითარებაში.

ერთიანი სამაგისტრო გამოცდები ჩვენთვის ძალიან წარმატებული იყო. დაფინანსების 42% მხოლოდ ჩვენმა უნივერსიტეტმა მიიღო. ერთიანი სამაგისტრო და სასპეციალიზაციო გამოცდების შედეგად უნივერსიტეტმა მიიღო მაგისტრანტების რეკორდული რაოდენობა — 1000-მდე მაგისტრანტი და მოიპოვა მაგისტრატურის ვაუჩერების ყველაზე დიდი რაოდენობა მთელ ქვეყანაში.

რაც შეეხება წარმატებული სტუდენტების დაფინანსებას, ნიჭიერ სტუდენტთა წახალისების ფონდიდან გამოყოფილი თანხით 300-ზე მეტი სტუდენტი დაფინანსდა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მაგისტრანტებს აფინანსებს, ჩვენ 10% დაფინანსება მაინც შევინარჩუნეთ. მომავალში ვგეგმავთ დოქტორანტების წახალისებასაც, რათა ახალგაზრდა მეცნიერებს უცხოეთში მივლინებისა და კვლევის განხორციელების საშუალება მივცეთ. მარტო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე დოქტორანტებისთვის 50 000 დოლარია გამოყოფილი, ასევე, გამოიყო თანხები სხვა ფაკულტეტებისთვისაც.

2009-2010 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სტიპენდია გამოეყო წარჩინებულ სტუდენტებს: უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან — 290 სტუდენტს, პრეზიდენტის სტიპენდია — 280 სტუდენტს.

მიუხედავად საერთო კრიზისისა, მიხარია, რომ უნივერსიტეტში პროფესორთა ანაზღაურება კი არ შემცირებულა, არამედ, პირიქით, გაიზარდა. მართალია, ეს ძალიან დიფერენცირებულია ფაკულტეტებისა და მიმართულებების მიხედვით, მაგრამ სხვა ალტერნატივა არ გვაქვს. როცა მივიღებთ ოპტიმალურ მოდელს, როცა დავხვეწთ სასწავლო პროგრამებს, მაშინ, ცხადია, სხვა სქემაზე გადავალთ.

მნიშვნელოვანია, რომ შეიქმნა ელექტრონული ბაზა, რომელიც ამარტივებს როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე, სტუდენტის სასწავლო პროცესის დაგეგმვას. ყველა პირველკურსელს აქვს ელექტრონული მისამართები.

უნივერსიტეტში უკვე დაიწყო პროექტი, რომელიც გულისხმობს სასწავლო პროცესის სრულ ავტომატიზაციას, ანალოგიურად იმისა, რაც ცნობილ ევროპულ უნივერსიტეტებში კეთდება. ამ შემთხვევაში მაგალითისთვის ავიღეთ მიუნხენის უნივერსიტეტი, რომელიც ძალიან ამაყობს ამ ბაზით. ეს პროექტი გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში ხორციელდება და გაზაფხულზე ჩვენ ამ პროგრამის ინსტალაცია უნდა დავიწყოთ. საერთაშორისო ტენდერი უკვე გამოცხადდა. ამით ჩვენს სტუდენტებს ბევრ უხერხულობას ავაცილებთ, მათ მაქსიმალურად ნაკლები შეხება ექნება მომსახურე პერსონალთან. როდესაც ელექტრონული ხელმოწერების შესახებ კანონი უნივერსიტეტებზე გავრცელდება, ბევრი პროცედურა ელექტრონიზებული გახდება.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში, დაახლოებით, 100-მდე ელექტრონული კურსი შეიქმნა, მათ შორის — 20-ზე მეტი — დოქტორანტებისთვის. მომავალში ვგეგმავთ, რომ ჩვენს პროფესურას ჰქონდეს ონლაინ რეჟიმში ლექციების გადაცემის შესაძლებლობა, რაც არქივშიც უნდა შევინახოთ, რათა სტუდენტს, რომელიც საპატიო მიზეზის გამო ლექციას გააცდენს, ამ არქივში შესვლისა და ლექციის მოსმენის საშუალება ჰქონდეს. ეს სერვისის ერთ-ერთი ახალი სახე იქნება 2010 წლიდან.

სასწავლო ლიტერატურის უზრუნველყოფის მხრივ, წელს ფონდ „ქართუს“ ძალისხმევით უკვე შევიძინეთ ნიგნების გარკვეული რაოდენობა. სავარაუდოდ, 250 000 ტომი თანამედროვე ლიტერატურა უნდა შეგვისყიდოს, ამისთვის „ქართუს“ დიდი მადლობა უნდა მოვახსენოთ.

პარტნიორი უნივერსიტეტების რიცხვს ძალიან ცნობილი უნივერსიტეტი — მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტიც შეემატა, რომელიც მსოფლიოში 50 საუკეთესო უმაღლეს სასწავლებელთა შორისაა და 16 ნობელიანტი ყავს. ასევე, აქტიურად ვთანამშრომლობთ მაასტრიხტისა და კადისის უნივერსიტეტებთან.

ხორციელდება აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები. ვიღებთ ბევრ უცხოელ სტუდენტს, რომელთაც ინგლისურენოვან კურსებს ვთავაზობთ.

ჩვენ ხშირად გვსტუმრობენ ელჩები, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები... ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მსოფლიოში აღიარებული მეცნიერების სახელები შეემატა თსუ-ის საპატიო დოქტორების რიცხვს — მოკლედ, ეს არის ის, რითაც შეიძლება 2009 წელს თავი მოვიწონოთ. ცხადია, შეგვიძლია ყველაფერი უკეთესად გავაკეთოთ და იმედი მაქვს, რომ 2010 წელს, ჩვენი კოლეგების მხარდაჭერით, მეტს შევძლებთ ჩვენი უნივერსიტეტის სახელის წარმოსაჩენად.

V სამეცნიერო კონფერენცია: „ქრისტიანობა და ეკონომიკა — თსუ-2010“

გლობალურ ეკონომიკურ კრიზისზე ქრისტიანული შეხედულებების გააზრება და შეფასება, რელიგიისა და ეკონომიკის ურთიერთობების შესწავლა მეცნიერების დიდ ინტერესს იწვევს. სახელმწიფოს სწორი განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნულ კონცეფციას, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკონომიკისა და ზნეობის ურთიერთმიმართების საკითხს უკავია.

თამარ მარუაშვილი

ეკონომიკური პროგრესის მორალურ მხარეს პრინციპული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, ასევე საზოგადოების ჯანსაღი მენტალიტეტის ჩამოყალიბების მხრივაც.

სწორედ რელიგიისა და ეკონომიკის ურთიერთობის თეორიულ და გამოყენებით საკითხებზე იმსჯელეს 25 იანვარს V სამეცნიერო კონფერენციაზე: „ქრისტიანობა და ეკონომიკა — თსუ-2010“, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე გაიმართა.

სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საღვთისმეტყველო ინსტიტუტის „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეც-კურსები და თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“.

კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა — თსუ-2010“ გახსნისას ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა ელენე ხარაბაძემ აღნიშნა, რომ თემა აქტუალურია და საჭიროა ამ მიმართულებით კვლევების გაგრძელება. ფაკულტეტის ინიციატივითა და მონაწილეობით, ბოლო პერიოდში, ქრისტიანობისა და ეკონომიკის ურთიერთკავშირის საკითხებზე რამდენიმე კონფერენცია გაიმართა.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ მეცნიერები: თსუ-ის, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საღვთისმეტყველო ინსტიტუტის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს პარლამენტის, პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თსასა-ის „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეც-კურსების, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორები, დოქტორები, თბილისის ქვაშვეთის ტაძრისა და ბოლნისის აკაურთას ტაძრის წინამძღვრები. კონფერენციაზე სულ 23 სამეცნიერო ნაშრომი წარმოადგინეს.

სამეურნეო საქმიანობის ბიბლიურ ასპექტებს დიდი ხანია იკვლევენ დასავლეთის თეოლოგები და სწავლული ეკონომისტები. ამ საქმეში ჩაბმული არიან ცნობილი უნივერსიტეტები და სპეციალიზებული ინსტიტუტები. უცხოეთში ჩამოყალიბდა ისეთი მეცნიერული და სასწავლო დისციპლინები, როგორიცაა: თეოლოგიური ეკონომიკა, ქრისტიანული ეკონომიკა, თეოლოგიური სამეურნეო ეთიკა, ქრისტიანული ბიზნესი და სხვა. ცივილიზებული ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში გამოკვლევების შედეგების პრაქტიკული გამოყენების საფუძველზე საზღვარგარეთ იქმნება სათანადო სამეურნეო-საფინანსო კანონმდებლობა და ვითარდება ზნეობრივი ბიზნესი.

თეოლოგიური ეკონომიკა ღვთისმეტყველურ-ეკონომიკური ხასიათის სამეცნიერო-პრაქტიკული დისციპლინაა. იგი შეისწავლის სამეურნეო-მმართველობით პროცესებში ადამიანის და საზოგადოების მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისთვის საჭირო ნივთიერი და არანივთიერი დოვლათის შექმნისა და გამოყენების სინერგიულ გზებს ღვთივდადგენილ იმ ზნეობრივ საფუძველზე, რომელიც ადამიანისა და ერის საუკუნო ნეტარებას უზრუნველყოფს.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, თსუ-ის სრულმა პროფესორმა იაკობ მესხიამ თავის მოხსენებაში „ქრისტიანობა და თანამედროვე გლობალური ეკონომიკური კრიზისი“ - თანამედროვე გლობალურ ეკონომიკურ კრიზისზე ქრისტიანული შეხედულებების გააზრებასა და შეფასებაზე ისაუბრა და აღნიშნა რომ, საქართველოში მეცნიერული კვლევის გააქტიურება შეიმჩნევა რელიგიისა და ეკონომიკის ურთიერთობების თეორიულ და გამოყენებით საკითხებზე, რაც უთუოდ წინგადადგმული ნაბიჯია. მეცნიერის აზრით, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია მიუკერძოებლად და ობიექტურად აფასებს თანამედროვე ეტაპზე ქვეყანაში შექმნილ სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისულ მდგომარეობას. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტსაც, რომ „უწმიდესი და უნეტარესი ილია II ემხრობა ეკონომისტების და დარგის სპეციალისტების მოსაზრებებს, რომ აუცილებელია საშუალო და მცირე საწარმოების დონეზე, მართვის სწორ სისტემაზე დაყრდნობით, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი დარგის სწრაფი განვითარება“.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის რელიგიურ შეხედულებათა სისტემური ანალიზი გვიჩვენებს, რომ მისი გამომწვევი მიზეზები და ფაქტორები, რომლებიც ცალკეული რელიგიის მიერ მსგავსი ან განსხვავებული კონცეფციებითაა წარმოდგენილი, მთლიანობაში ერთიანდება თანამედროვეობის ისეთ მოვლენასთან, როგორიცაა მსოფლიო გლობალიზაცია.

მოხსენებაში: „ერთსულოვნებისა და მშვიდობისათვის“ - თბილისის ქვაშვეთის ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა ბიძინა გუნიამ საინტერესოდ ისაუბრა მართლმადიდებლური მსოფლმხედველობის მნიშვნელობასა და წვლილზე ეკონომიკის პროგრესულად განვითარების საქმეში.

„დღესავით ნათელია ის, რომ საუკუნეთა სიღრმიდან მომავალი მართლმადიდებლური მსოფლმხედველობა მარტო საეკლესიო ფასეულობა კი არ არის, არამედ ჩვენი კულტურის, მათ შორის მეცნიერების და ეკონომიკის წარმატებული განვითარების საწინდარია. ასეთი მიდგომა აუცილებელია, თუკი გვსურს არ დავკარგოთ და მომავალ თაობასაც არ დავავიწყოთ სამი ღვთაებრივი საუნჯე - „მამული, ენა, სარწმუნოება“ და ვინაიდან, მდგომარეობა ერთობ რთული და საგანგაშოა, უმოქმედობის, მოდუნების არც დრო და არც უფლება გვაქვს...

ერთი თვალის გადავლებაც კი სავსებით საკმარისია დავრწმუნდეთ, რომ დღევანდელ ჩვენს საზოგადოებაში თითქმის სრულიად არის უგულებელყოფილი ქრისტიანული სარწმუნოების პრინციპები და ზნეობრივი ნორმები, რის გამოც მავანთა ერთადერთ საზრუნავს ამქვეყნიური სიამოვნებისა და მაქსიმალური ფულადი მოგების ნებისმიერი საშუალებით მიღება წარმოადგენს, რაც საბოლოოდ პიროვნების დეგრადაციის, საზოგადოების სულიერი დაცემისა და ადამიანთა საუკუნო წარწყმედის მომასწავებელია. ამასთან შეგუება დამღუპველია. აქ მთელი ერის ძალისხმევა და ერთად დგომაა საჭირო.

ეკლესიისა და სახელმწიფოს ჰარმონიული ურთიერთობის გარეშე არ მოიაზრება პოლიტიკურად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი ძლიერი სახელმწიფოს, საქართველოს მომავალი. აი, აქეთ უნდა წარვმართოთ ჩვენი ძალისხმევა და აღნიშნული ბზარი თუ არ შეივსო — ყველაფერი ამაო აღმოჩნდება. ვერც პოლიტიკური და კულტურული, სოციალური, ეკონომიკური თუ სამართლებრივი საკითხები ვერ მიიღებენ ისეთ მიმართებას და გადაწყვეტას, რაც ღვთისთვის სათნო და ქვეყნისათვის სასიკეთო იქნება“, — აღნიშნა მამა ბიძინამ.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საღვთისმეტყველო ინსტიტუტის „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეც-კურსების ხელმძღვანელმა, ეკონომიკის დოქტორმა გიორგი შიხაშვილმა მოხსენებაში — „თეოლოგიური ეკონომიკა — ახალი მიმართულება ეკონომიკურ მეცნიერებაში?!“ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „დღის წესრიგში დგება ქრისტიანული სარწმუნოების და ეკონომიკის ღვთივდადგენილი კავშირურთიერთობების შესწავლა-გამოყენების აქტუალური საკითხი. ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში თავისი წვლილის შეტანა ქრისტიან ეკონომისტებთან ერთად ყველა დაინტერესებულ და კომპეტენტურ ადამიანს შეუძლია. ასეთ მიდგომას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ღვთაებრივი ნების და ადამიანური ძალისხმევის სინერგიას უწოდებს და ლოცვა-კურთხევას აძლევს ჩვენს მეცნიერ-ეკონომისტებს ერთობლივად გადაჭრან აქტუალური სოციალურ-ეკონომიკური და ეროვნული საკითხები.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნულ კონცეფციას საფუძვლად უნდა დაედოს წმ. ილია მართლისეული, ქრისტიანულ-ეკონომიკური მოძღვრებიდან გამომდინარე პარადიგმების ერთიანობა: „მამული, ენა, სარწმუნოება“, „წარსული, აწმყო, მომავალი“, „სულიერი და ხორციელი პური“, „სულიერი და ხორციელი ღონის ერთიანობა“, „წოდებრივ-ქონებრივი თანასწორობა“, „საერთო-ეროვნული ეკონომიკური კეთილდღეობა“, „შრომა, გარჯა, ცოდნა და ხერხი“, „სწავლა, ცოდნა და მეცნიერება“, „ღონე — ღონეს, შრომა — შრომას“, „სოფლის მეურნეობის უპირატესობა“, „მიწა და გუთანი“, „ეკონომიკური სიძლიერე — საადგილმამულო მრეწველობა“, „მონარქიის როლი ეკონომიკაში“, „ჰარმონია: მთავრობა, ხალხი, მეურნეობა“, „ურთიერთსიყვარული“.

ბოლნისის აკაურთას ტაძრის წინამძღვარმა, ეკონომიკის დოქტორმა, დეკანოზმა ბასილ ახვლედიანმა სტატიაში „ფული და მისი როლი გლობალიზაციის პროცესში“ საინტერესო, შთამბეჭდავი და ღრმად გააზრებული ანალიზი წარმოგვიდგინა მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესებისა.

„გლობალურმა პროცესებმა, რომლებიც ახლა ხდება, ადამიანების შრომის შედეგებზე შეიძლება დამანგრევლად იმოქმედოს. ამის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია იმის გააზრება, თუ რა ხდება სინამდვილეში მსოფლიოში და რა მოხდება შემდგომში. რეალური სურათის ცოდნის შემთხვევაში, ჩვენთვის უფრო იოლი იქნება სწორი გადაწყვეტილების მიღება და ჩვენი საკუთარი მრავალწლიანი შრომის შედეგების შენარჩუნება.

მიმდინარეობს საკუთრების გლობალური გადანაწილება, წარმოიქმნება მსოფლიოს ახალი კონფიგურაცია ძალის ახალი ცენტრებით. თუმცა, საერთო ჯამში, გადანაწილების ძირითად მიზანს წარმოადგენს არა წვრილი და საშუალო ბიზნესი, არამედ ყველაზე მსხვილი კომპანიები, ბანკები, საწარმოები, მაგრამ დარტყმა მოხვდება ყველას და საჭიროა ამისგან თავდაცვა, დარტყმისგან დროულად გასვლა ან მისი სერიოზულად დასუსტება“, — აღნიშნა დეკანოზმა ბასილ ახვლედიანმა, რომელმაც მსოფლიო ეკონომიკის დამანგრეველი კრიზისის უმთავრეს მიზეზად ძირითადი მსოფლიო ვალუტის – აშშ დოლარების ხელახალი წარმოება დაასახელა.

თსუ-ის ასოცირებული პროფესორის, ეკონომიკის დოქტორის ი. გაგნიძის მოხსენების: „ინდივიდთა არჩევანის ალტერნატივები ეკონომიკის თეორიასა და მართლმადიდებლურ სწავლებაში“ - მთავარი თემა გახლდათ სახარებისეული სიბრძნისა და ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორ გრეგორი მენქიუს ნაშრომში „ეკონომიკის პრინციპები“ გამოთქმული მოსაზრებების შედარება.

„საბჭოთა საქართველოში საუფლო სწავლების გარეშე აღზრდილი თაობებისთვის მართლმადიდებლური სწავლება გაიგივდა მხოლოდ ფილოლოგთა და ისტორიკოსთა შესასწავლ ასპარეზთან. ეს განწყობა ახალგაზრდებში მემკვიდრეობით გადმოვიდა. ამის გამო, მართლმადიდებლური სწავლება და ეკონომიკის თეორია დღესაც ერთმანეთისგან თითქმის აბსოლუტურად გამიჯნულ სფეროებად აღიქმება. სწორედ ამ „ჩატეხილი ხიდის“ გამთლიანების ერთ-ერთი მცდელობაა კონფერენციების ციკლი სათაურით „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, რომელიც დღეს უკვე მეხუთედ ტარდება“, — განაცხადა თსუ-ის პროფესორმა გ. გაგნიძემ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა პ. კოღუაშვილმა მოხსენებაში „ქრისტე ვენახია“ — საინტერესოდ ისაუბრა საქართველოს აგრარული კულტურის განვითარების ისტორიაზე, ბუნებათსარგებლობის პრინციპებზე: „საქართველოს სოფლის მეურნეობა საუკუნეების მანძილზე სარწმუნოებრივ პრინციპებზე დაყრდნობით ვითარდებოდა — სამეურნეო საქმიანობის საფუძველს ქრისტიანული ეთიკა წარმოადგენდა, — წარმოებით ურთიერთობებში ადამიანის ქცევა შეესაბამებოდა რელიგიური რწმენით დამკვიდრებულ ტრადიციებს, რომლებიც ობიექტურ რეალობაზე იყო დაფუძნებული“.

V სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები თემატურად და შინაარსობრივად მრავალფეროვანი იყო და მრავალ საინტერესო და მნიშვნელოვან მოსაზრებასა თუ შეხედულებას უზიარებდა მსმენელს.

მოხსენებებმა: „ნაციონალური ინტერესის ფორმირება გლობალური ეკონომიკური კრიზისის პირობებში“ (ი. გოგორიშვილი, თსუ-ის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი); „მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენა ტურიზმის განვითარებაზე (რელიგიური ტურიზმი და მომლოცველობა)“ (მ. მეტრეველი, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომისია, წამყვანი სპეციალისტი, ეკონომიკის დოქტორი); „მოხმარების ზოგიერთი ძირითადი ასპექტი ქრისტიანულ და ეკონომიკურ სწავლებათა მიხედვით“ (ნ. ჩიხლაძე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის სრული პროფესორი); „ეკონომიკისა და ზნეობის ურთიერთმიმართების საკითხისათვის“ (ბ. ბოლქვაძე, ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი); „თანამედროვე ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობა ქრისტიანული ზნეობის მოთხოვნათა ფონზე“ (ზ. ჭინჭარაძე, თსასა-ის „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის“ სპეც-კურსების კურსდამთავრებული); „სამეურნეო-მმართველობითი თემატიკა პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის მიხედვით“ (გ. ხარშილაძე, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მაგისტრანტი) მსმენელის განსაკუთრებული ყურადღება და ინტერესი დაიმსახურა.

კონფერენციამ ნაყოფიერად იმუშავა და ამ საკითხებზე მუშაობის გაგრძელების მნიშვნელობასაც გაუსვა ხაზი.

თენგიზ ურუშაძის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

14 იანვარს თსუ-ის პროფესორს თენგიზ (გიზო) ურუშაძეს 70 წელი შეუსრულდა. სწორედ ამ საიუბილეო თარიღს მიეძღვნა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „ნიადაგების გეოგრაფია: ახალი ფურცლები“, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა.

თამარ მარუაშვილი

კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, გამოყენებითი ეკოლოგიის ინსტიტუტი და საქართველოს ნიადაგთმცოდნეთა საზოგადოება.

ქართველი მეცნიერის პატივსაცემად კონფერენციაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს პროფესორმა ვინფრიდ ბლუმმა (ავსტრია), პროფესორმა ვიქტორ ტარგულიანმა (რუსეთი), აკადემიკოსმა ურხან ალაკბაროვმა და პროფესორმა ამინ ბაბაევმა (აზერბაიჯანი).

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ, რომელმაც საიუბილეო თარიღი მიულოცა სრულ პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს თენგიზ ურუშაძეს და ხაზი გაუსვა დამსახურებული პედაგოგის, მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის აქტიურ საქმიანობას, მის სამაგალითო პიროვნულ თვისებებს.

კონფერენციაზე საინტერესო მოხსენებით — „საქართველოს ნიადაგები: უკანასკნელი კვლევები და პერსპექტივები" წარსდგა თსუ-ის სრული პროფესორი თენგიზ ურუშაძე, რომელმაც 10 წლის მანძილზე საქართველოში ჩატარებული სამეცნიერო გამოკვლევები მიმოიხილა, რომლებიც სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების ფარგლებში შესრულდა.

ასოცირებული პროფესორის ლია მაჭავარიანის მოხსენება ეხებოდა საქართველოს ნიადაგების მიკროშენების გეოგრაფიულ პარადიგმებს. ნიადაგთმცოდნეობის ეს შედარებით ახალი მიმართულება წარმატებით ვითარდება მომხსენებლის საინტერესო კვლევებით.

პროფესორ თენგიზ ურუშაძის აკადემიური დოქტორების თ. ქვრივიშვილის და ე. სანაძის მოხსენებაში განიხილეს ახალი ნიადაგების ე.წ. „ანდოსოლების" გენეტიკური თავისებურებანი. სამხრეთ საქართველოს მაღალმთიანეთის ზონაში მათ საკმაოდ დიდი ფართობი უკავიათ.

აკადემიური დოქტორის გიორგი ღამბაშიძის გამოსვლა საქართველოს ნიადაგებში მძიმე ლითონების გეოქიმიურ ფონს შეეხო. საველე კვლევები ჩატარდა ზემო იმერეთის რეგიონში, ხოლო ნიადაგური ნიმუშების კამერალური დამუშავება ვენის ბუნებრივი რესურსების და სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების უნივერსიტეტის ნიადაგთმცოდნეობის ინსტიტუტში შესრულდა.

გერმანელმა კოლეგებმა, პროფესორებმა პეტერ ფელიქს-ჰენინგსენისმა, თომას ჰანაუერმა, დიტრიხ სტეფენსმა, ასევე, ასოცირებულმა დოქტორმა ბესო კალანდაძემ და პროფესორმა თეო ურუშაძემ მოხსენებებში განიხილეს მდინარე მაშავერას აუზში მძიმე ლითონების შემცველობის და განაწილების ახალი კვლევები.

პროფესორების გიზო გოგიჩაიშვილის და თეო ურუშაძის მოხსენებები შეეხო საქართველოში ნიადაგების ეროზიის საკითხებთან დაკავშირებულ კვლევებს და შემდგომ პერსპექტივებს.

აკადემიურმა დოქტორმა რევაზ ლოლიშვილმა ისაუბრა ცენტრალური კავკასიონის სუბალპური საძოვრების საკვები ბალახების ბიოპროდუქტიულობაზე.

საკმაოდ საინტერესო იყო უცხოელი მეცნიერების მოხსენებები: პროფესორ ვინფრიდ ბლუმის (ავსტრია) – „ნიადაგწარმოქმნის მამოძრავებელი ძალები – გლობალური მიდგომა", პროფესორ ვიქტორ ტარგულიანის (რუსეთი) – „მთის ნიადაგები და გლობალური ცვლა", აკადემიკოს ურხან ალაკბაროვის (აზერბაიჯანი) – „ეკოლოგიური ცივილიზაცია, როგორც მდგრადი განვითარების მიზანი: კონცეფცია, დაგეგმვა და მართვა" და პროფესორ ამინ ბაბაევის (აზერბაიჯანი) „ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის მიღწევები აზერბაიჯანში".

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა რამაზ ბოჭორიშვილმა და საქართველოს ნიადაგთმცოდნეობის საზოგადოების წევრებმა.

კონფერენციის დასასრულს საინტერესო დისკუსია გაიმართა. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო კონფერენციები ნიადაგების



გეოგრაფიის საკითხებში ყოველწლიურად ტარდება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სტუდენტების სასწავლო დონის ამაღლებისთვის და მათი შემდგომი პროფესიული ორიენტაციისთვის.

გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტს, პროფესორ თენგიზ ურუშაძეს გამოქვეყნებული აქვს 350 მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 30-მდე მონოგრაფია და სახელმძღვანელო. რამდენიმე მონოგრაფია გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ. იგი აკადემიკოს ვასილ გულისაშვილთან ერთად საქართველოში ბუნების დაცვის პირველი სახელმძღვანელოს ავტორია. მის მიერ გამოყოფილია რამდენიმე ახალი ნიადაგური ტიპი, რაც შეტანილია ნიადაგთმცოდნეობის სახელმძღვანელოებში (საქართველო, რუსეთი, პოლონეთი). მისი რედაქტორობით გამოიცა საქართველოს ნიადაგების რუკა მასშტაბში: 1 : 500 000. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 6 სადოქტორო და 25 საკანდიდატო დისერტაცია.

პროფესორი თენგიზ ურუშაძე არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან არსებული ეკოლოგიური საბჭოს თავმჯდომარე, 1990 წლიდან საქართველოს ნიადაგთმცოდნეთა საზოგადოების პრეზიდენტი, 1988 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ხოლო 2005 წლიდან მეცნიერების და ხელოვნების სამეფო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (ბარსელონა, მადრიდი).

1991 წელს მონოგრაფიისთვის „სსრკ მთის ნიადაგები" მიენიჭა აკადემიკოს ვ. ვილიამსის პრემია (რუსეთი).

2002 წელს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერების და ტექნიკის დარგში.

2002 წელს კითხულობდა ლექციებს დრეზდენის ტექნიკურ უნივერსიტეტში.

1998-2002 წლებში იყო ნიადაგთმცოდნეთა საერთაშორისო კავშირის V კომისიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი.

1991 წლიდან მუშაობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – მოწვეულ ლექტორად, ნიადაგთმცოდნეობის კათედრის გამგედ, ნიადაგების გეოგრაფიის და ნიადაგთმცოდნეობის ლაბორატორიის გამგედ. 2009 წლიდან თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის მიმართულების სრული პროფესორია.

„საქართველოს საკარიერო სერვისის“ მიერ მომზადებული გამოცემების პრეზენტაცია

29 იანვარს სასტუმრო „ქორთიართ — მარიოტში“ „საქართველოს საკარიერო სერვისის“ მიერ მომზადებული ორი გამოცემის: „გერმანია და უკან, სამშობლოში — წარმატებული პროფესიული კადრების პორტრეტები“ და „საქართველოს საკარიერო სერვისი – შედეგები“ პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოში დაბრუნებული პროფესიული კადრების პროექტის ხელმძღვანელი ირმა წერეთელი, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების წარმომადგენელი, სამშობლოში დაბრუნებული პროფესიული კადრების კოორდინატორი ბიორნ გრუბერი, პარტნიორი გერმანელი და ქართული ორგანიზაციები, დამსაქმებლები და ასევე ის ახალგაზრდები, რომლებიც გერმანიაში სწავლის შემდეგ დაბრუნდნენ საქართველოში და საქართველოს საკარიერო სერვისის დახმარებით გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს პროფესიულ საქმიანობაში.

შურთხია გეროშვილი

„გერმანული განათლების მქონე ინტერნაციონალურ პროფესიულ კადრებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პროფესიული განათლებისა და სოციალური ჩვევების გათვალისწინებით, ისინი ხელს უწყობენ თავიანთი ქვეყნების ეკონომიკურ და საზოგადოებრივ განვითარებას. გერმანული განათლების მქონე, სხვადასხვა ქვეყნის კურსდამთავრებულები აქტუალურ ცოდნასთან ერთად ფლობენ ინტერკულტურულ კომპეტენციებს, მათი გამოყენების უნარს, საერთაშორისო კონტაქტებს და გახსნილნი არიან ახალი იდეებისათვის. ბევრმა მათგანმა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შეიქმნა კარიერა, დაიწყო პროფესიული წინსვლა და ამ პროცესში საინტერესო, მრავალფეროვანი ცხოვრებისეული გამოცდილება დააგროვა. მათთან თანამშრომლობაზე და პარტნიორობაზე დამსაქმებლების მხრიდან მაღალი მოთხოვნაა, რაც კარგი მაგალითია სამშობლოში დაბრუნების მსურველთათვის“, — აღნიშნულია საქართველოს საკარიერო სერვისის მიერ გამოცემულ ბროშურაში „გერმანია და უკან, სამშობლოში — წარმატებული პროფესიული კადრების პორტრეტები“. აქვე მკითხველს საშუალება აქვს გაეცნოს თეა მეცხოვრიშვილის, გიორგი გრძელიშვილის, ანა მაჭავარიანის წერილებს, რომლებმაც ამ პროგრამის ფარგლებში გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს.

„საქართველოს საკარიერო სერვისის“ კოორდინატორის ირმა წერეთლის ინფორმაციით, სასტუმრო „ქორთიართ - მარიოტში“ გამართულ ღონისძიებაზე ერთგვარად შეჯამდა — თუ რა გაკეთდა ამ ხნის მანძილზე ამ მიმართულებით.

„ჩვენი ორი გამოცემის პრეზენტაცია ემსახურებოდა იმ საქმიანობის ასახვას, თუ რა გაკეთდა ამ ორი წლის მანძილზე საქართველოს საკარიერო სერვისის მიერ სამშობლოში დაბრუნებული პროფესიული კადრების პროგრამის ფარგლებში. ბროშურაში „საქართველოს საკარიერო სერვისი – შედეგები“, ძირითადად 2008 წლის დასაქმების ფორუმის შედეგებია ასახული, ასევე, დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ ჩვენი პროგრამის ისტორიას და დამსაქმებელთა: — „პროკრედიტ ბანკის“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და „საქართველოს ბანკის“ მონაწილეობას ამ პროგრამაში“, — აღნიშნა ირმა წერეთელმა.

ირმა წერეთლის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ ღონისძიება დაემთხვა გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების წარმომადგენლის, სამშობლოში დაბრუნებული პროფესიული კადრების კოორდინატორის ბიორნ გრუბერის სტუმრობას, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა დიალოგი გერმანიიდან უკან დაბრუნებულ კადრებთან, დამსაქმებლებთან, ამ ორგანიზაციის ექსპერტებთან და საქართველოში მოღვაწე გერმანელ კოლეგებთან.

პრეზენტაციაზე გერმანელმა და ქართველმა კოლეგებმა ისაუბრეს იმ სიახლეებსა და წარმატებებზე, რომელიც განხორციელდა ამ ორგანიზაციის მიერ. ირმა წერეთლის ინფორმაციით, საქართველოს ამ კუთხით მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს სხვა ქვეყნებთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ მთლიანობაში ამ პროგრამაში ჩართულია 26 ქვეყანა და დასაქმებულებიდან მესამედი მოდის საქართველოზე, რაც იმის დადასტურებაა, რომ საქართველოს საკარიერო სერვისმა ამ მიმართულებით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია.

უნივერსიტეტის დაარსებისა და განვითარების ისტორია

ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების სათავეები ფაზისის ფილოსოფიის და რიტორიკის სკოლიდან (IV საუკუნე, კოლხეთი), გელათისა და იყალთოს აკადემიებიდან (XII საუკუნე), პალესტინის (V საუკუნე), სირიის (VI საუკუნე), საბერძნეთის (X-XI საუკუნეები), ბულგარეთის (XI საუკუნე) სამონასტრო-საგანმანათლებლო ცენტრებიდან იწყება. პოლიტიკურ-ეკონომიკური დაუძლურებისა და მტერთა შემოსევების შედეგად ჯერ კიდევ XIV საუკუნეში შეწყვიტეს ფუნქციონირება ქართულმა საგანმანათლებლო კერებმა. რუსეთის კოლონიად გადაქცევამ კი წერტილი დაუსვა ეროვნული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების არსებობას.

საუკუნეების მანძილზე „ერის ფიზიკური გადარჩენისათვის მიმართული ენერგია ველარ ახერხებდა მინავლებული სულიერი კულტურის, მათ შორის, მოშლილი საგანმანათლებლო ცენტრების განვითარებას, თუმცა არაერთხელ გაჩენილა მათი აღორძინების სურვილი“ (ზ. გაიპარაშვილი „საუკუნის ნიშანსვეტი“, გვ. 107).

1830 წელს გაიხსნა თბილისის გიმნაზია, რომლის მიზანი არ ყოფილა უნივერსიტეტში შესასვლელად ახალგაზრდების მომზადება. 1835 წელს, ფრანგული და გერმანული ენების სწავლების შემოღების შემდეგ, თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულებს ნება დაერთოთ უმაღლეს სკოლაში შესულიყვნენ. ამავე წელს გიმნაზიის 5 კურსდამთავრებული სასწავლებლად რუსეთის უნივერსიტეტში გაიგზავნა. ამ პერიოდიდან ქართველი ახალგაზრდობა უმაღლესი განათლების მისაღებად, ძირითადად, რუსეთში მიემგზავრებოდა. იქ თანდათან იმატა ქართველების რიცხვმა, შეიქმნა ძლიერი ბირთვი, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა უნივერსიტეტის დაარსებაში.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში გაჩნდა უნივერსიტეტის დაარსების იდეა, რაც შემდგომ გადაიზარდა „თერგდალეულთა“ რეალურ ბრძოლაში. ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელები, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, დაბეჯითებით მოითხოვდნენ უნივერსიტეტის გახსნას, მაგრამ „ცარიზმი“ ამის წინააღმდეგი იყო იმ მოტივით, თითქოს ქვეყანა მოუმზადებელი იყო უნივერსიტეტისთვის. მიუხედავად „ცარიზმის“ ამ თეზისისა, გარემოება სხვას მოწმობდა: ქართველ სტუდენტთა რიცხვის ზრდა რუსეთისა და ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში ადასტურებდა, რომ ჩვენი ახალგაზრდობა მზად იყო შეევსო უნივერსიტეტის აუდიტორიები, თუკი ის თბილისში გაიხსნებოდა. ამ ყალბი თეზისის გამო წერდა ილია ჭავჭავაძე: „ახლა ვსთქვათ, რომ ჩვენი ხალხი ვითომ მართლა მოუმზადებელია. მაშ, ვინც მოუმზადებელია, თავის დღეში აღარ უნდა მომზადდეს? ხალხს რა ამზადებს? სწავლა, ვარჯიშობა, გამოცდილება, იმ საქმეში ჩაყენება, რისთვისაც მომზადება საჭიროა. კაცს ხელ-ფეხს ვუკრავთ და ვეუბნებით კი — ჭიდილი ისწავლეო“.

მოწინავე ახალგაზრდობა იმპერატორის ნებართვის მოლოდინში უქმად არ მჯდარა. ისინი საქართველოში ავითარებდნენ მწერლობას, ქმნიდნენ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრებს და ანოყიერებდნენ იმ ნიადაგს, რომელზეც შემდგომ ქართული უნივერსიტეტი უნდა აღმოცენებულიყო. მათ საამისო თადარიგიც დაიჭირეს — დაიწყეს მშენებლობა მაშინდელ თბილისში ყველაზე დიდი ნაგებობის — სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობისა (უნივერსიტეტის ახლანდელი მთავარი კორპუსი), რომელშიც ილია ჭავჭავაძე, ნიკო ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვა ქართველი მოღვაწენი იმთავითვე ქართულ უნივერსიტეტს მოიაზრებდნენ.

უნივერსიტეტის იდეის ხორცშესხმა მოხერხდა XX საუკუნის 10-იან წლებში, მას შემდეგ, რაც ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით რთული, დაბრკოლებებით სავსე და მიზანმიმართული ნაბიჯების გადადგმა დაიწყო.

რას იტყოგინებოდნენ პეტერბურგიდან პირდაპირი მავთულით

1914 წლის 1 ივლისს იმპერატორმა ხელი მოაწერა კანონს სახალხო განათლების სამინისტროს კერძო სასწავლებლების, კლასებისა და კურსების შესახებ. მეფის ხელისუფლების ეს იძულებითი ნაბიჯი მეტად შეკვეცილი და წინააღმდეგობრივი იყო, მაგრამ ყველა, ვინც უმაღლესი სკოლის შექმნაზე ოცნებობდა, აღტაცებით შეხვდა ამ კანონს. სწორედ ეს კანონი გამოიყენეს ქართველმა პატრიოტებმა ქართული კერძო უნივერსიტეტის გახსნისთვის ბრძოლის ლეგალურ საფუძვლად. სხვანაირად ვერც დაარსდებოდა ქართული უნივერსიტეტი. თვითმპყრობელობის დროს, ისევე, როგორც დროებითი მთავრობის ხანმოკლე ბატონობის პერიოდში, სახელმწიფო უნივერსიტეტი აუცილებლად რუსული უნივერსიტეტი უნდა ყოფილიყო. 1914 წლის 1 ივლისის კანონით შესაძლებელი ხდებოდა ეროვნული უნივერსიტეტის შექმნა კერძო დაწესებულების სახით. ამგვარი უნივერსიტეტის შემქმნელებს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით უნდა ემოქმედათ, სხვანაირად მკაცრი სანქციები იყო გათვალისწინებული.

ამ დიდი საქმის ყველა სიმძიმე ივანე ჯავახიშვილმა იკისრა.

1917 წლის 12 მაისს მოიწვიეს უნივერსიტეტის დამფუძნებელთა პირველი კრება, რომელსაც ქართული მეცნიერების, მწერლობის, კულტურისა და საზოგადო მოღვაწეთა 28 წარმომადგენელი დაესწრო. მათ შორის იყვნენ: კორნელი კეკელიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, აკაკი შანიძე, დიმიტრი უზნაძე და სხვები.

დამფუძნებელთა კრება გახსნა ივანე ჯავახიშვილმა, რომელმაც წაიკითხა ვრცელი მოხსენება ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ. მისი თხოვნით, კრებამ საჭიროდ ჩათვალა თავმჯდომარის არჩევა. თავმჯდომარედ აირჩიეს ექვთიმე თაყაიშვილი, მდივნად — ილია ზურაბიშვილი.

კრებამ გადაწყვიტა ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის დაარსება სათანადო ფაკულტეტებით. მაგრამ იმჯერად მხოლოდ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი უნდა გახსნილიყო. დასასრულ, კრებამ დაადგინა: „დაარსდეს განსაკუთრებული საზოგადოება ქართული თავისუფალი უნივერსიტეტისა, რომლის დამფუძნებელ კრებად დღევანდელი კრება ჩაითვალოს“.

ცარიზმის დამხობის შემდეგ დროებითი მთავრობის ფილიალს ამიერკავკასიაში (ოზაკომი), რომლის თავმჯდომარე იყო კადეტი ხარლამოვი, გეზი რუსული უნივერსიტეტისკენ ჰქონდა აღებული. ოზაკომის შემადგენლობაში იყვნენ კიტა აბაშიძე და აკაკი ჩხენკელი. კიტა აბაშიძე 1917 წელს გარდაიცვალა და ეროვნული ინტერესების დაცვა ამ ორგანოში დაეკისრა აკაკი ჩხენკელს, რომელიც გვერდით ედგა ივანე ჯავახიშვილს, რომელმაც ამ საკითხზე თანხმობის მისაღებად პეტერბურგს მიმართა. თუმცა იგი არ კმაყოფილდებოდა მარტო უნივერსიტეტის ძირითადი დებულების პეტერბურგში გაგზავნით — უკავშირდებოდა პეტერბურგელ ქართველ მოღვაწეებს და სთხოვდა, დაეჩქარებინათ მთავრობაში კერძო ქართული უნივერსიტეტის ძირითადი დებულების დამტკიცების საკითხი.

ამ პერიოდში გაჩნდა უაღრესად მუხანათური გეგმა, რომელიც დროებითი მთავრობის მიერ ინსპირირებულმა ძალებმა გაახმოვანეს: თბილისში შეიძლება შეიქმნას კერძო ქართული უნივერსიტეტი, მაგრამ მანამდე უნდა დაარსდეს ამიერკავკასიის რუსული სახელმწიფო უნივერსიტეტიო. შალვა ნუცუბიძე იგონებს: „ოლდენბურგი, ვასილიევი და სხვები მზრუნველი კილოთი გვირჩევდნენ, ხელი აგვეღო იმ უიმედო საქმის დაწყებაზე, რომელსაც საქართველოს უნივერსიტეტი ეწოდებოდა. ქართულ ენას არ აქვს არც მეცნიერული ტერმინოლოგია, არც მეცნიერული ტრადიცია, ყველა ამის შექმნა არა თუ ძნელი, უიმედო საქმეაო, გვეუბნებოდნენ ეს გულშემატკივარი ხალხი. თქვენ არც მსმენელები გეყოლებათ, რადგან მათი ნაწილი ძველებურად რუსეთში წამოვა სასწავლებლად, ხოლო მეორე ნაწილი ამჯობინებს რუსულ უნივერსიტეტში სწავლას, რომელიც თქვენს გვერდში იქნება და რომლის მეცნიერულ ღირებულებას თქვენ ვერასოდეს მეტოქეობას ვერ გაუწევთო“.

1917 წლის 14 ოქტომბერს აკაკი შანიძემ გაზეთ „სახალხო საქმეში“ გამოაქვეყნა წერილი „ორი უნივერსიტეტი“, სადაც აღნიშნულია: „პეტერბურგიდან პირდაპირი მავთულით იტყობინებიან, რომ ტფილისში იანვრიდან რუსული უნივერსიტეტი იხსნებაო. პეტერბურგიდან ნელ-ნელა ფოსტით მოდის და ჯერ ვერც კი ჩამოსულა ქართული უნივერსიტეტის ძირითადი დებულება, შეწყნარებული და ორი მუხლის გამოკლებით თითქოს დამტკიცებული დროებით მთავრობის მიერ. ვერ ჩამოსულა, მაგრამ ალბათ როდისმე ჩამოვა და, მაშასადამე, ტფილისში იანვრიდან ორი უნივერსიტეტი იქნება, ერთი — რუსული, მეორე – ქართული.“

ტყუილად ელოდნენ ქართველი მოღვაწენი ფოსტით მომავალ არარსებულ მომართვას

დროებითმა მთავრობამ გადაწყვიტა, დაეჩქარებინა გახსნა თბილისის პოლიტექნიკური სასწავლებლისა, რომელიც უნდა ქცეულიყო კავკასიის ერთიანი უნივერსიტეტის ბაზად. 1917 წლის 11 ივლისს პეტერბურგში სახალხო განათლების სამინისტროში გაიმართა საგანგებო უწყებათა წარმომადგენლების, თბილისის პოლიტექნიკური სასწავლებლის დაფუძნების მთავარი კომიტეტის დელეგატებისა და საგანგებოდ მოწვეული პირების თათბირი, რომელზეც დადგინდა, რომ თბილისში უნდა გახსნილიყო პოლიტექნიკური სასწავლებელი, ერთადერთი — სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტით და მომავალში კავკასიის უნივერსიტეტად გარდაქმნის პერსპექტივით.

მიუხედავად პოლიტექნიკურ სასწავლებელში შესვლის მსურველთა მრავალრიცხოვნობისა, რაც კავკასიაში უმაღლესი სასწავლებლის გახსნის აუცილებლობის დადასტურება იყო, ამ სასწავლებელს არც მატერიალური შესაძლებლობა ჰქონდა, არც მეცნიერ-პედაგოგთა კადრები, რომლებიც იქ იმუშავებდნენ. მიუხედავად თვითმპყრობელობის დიდი მცდელობისა, ვერც პოლიტექნიკური სასწავლებლის გახსნა გახდა ხელისშემშლელი ფაქტორი ქართული უნივერსიტეტის დაარსების გზაზე.

1917 წლის 27 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილმა ამიერკავკასიის კომისარიატს მიმართა უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დებულების დასამტკიცებლად.

ამ დღეებს აკაკი ჩხენკელი ასე იხსენებს: „მე მოწმე ვიყავი, რა ჭაპან-წყვეტა განიცადეს ივ. ჯავახიშვილმა და მისმა ვიწრო ჯგუფმა, სანამ მიზანს მიაღწევდნენ. თუმცა რევოლუციის პირველ ხანაში, მაშასადამე, თითქოს სრული თავისუფლების ფრთების ქვეშ, უნივერსიტეტის, თუ გინდა, კერძოსი, ნებადაურთველად გახსნა ყოვლად შეუძლებელი იყო... ვისთვის უნდა მიემართნა ი. ჯავახიშვილს ნებართვისთვის? ოზაკომისთვის, რომელიც ატარებდა პეტროგრადის დროებითი მთავრობის ძალა-უფლებას ამიერკავკასიის ფარგლებში. მასში შედიოდნენ თითო წარმომადგენელი სომხებისა და აზერბაიჯანელებისაგან, ორი ქართველისა და თავმჯდომარედ რუსი იყო დანიშნული...

ოზაკომმაც განიხილა ჯავახიშვილის შუამდგომლობა... მისი არა ქართველი წევრები მეგობრულად არ შეხვედრიან ჩვენ განზრახვას, თუმცა გარეგნულად არ იმჩნევდნენ ამას. მათ დააყენეს მეორე კითხვა, რომელსაც უნდა ჩაეშალა არა პირდაპირ საქმე. „ძლივს ველირსეთ იმ დროს, - ამბობდნენ ისინი, — როცა ჩვენ თვითონ მოგვეცა საშუალება ამ დიდი ხნის წადილის განხორციელების, ფულიც დადებულია, საცაა საქმეს უნდა შევუდგეთ და თქვენ კი ქართული უნივერსიტეტის კითხვას გვიყენებთ!“ ისინი განმარტავდნენ, რომ რუსული უნივერსიტეტი კავკასიის ერთა ინტელექტუალური ძალების გამაერთიანებელ ცენტრად იქცეოდა, მაშინ, როდესაც ქართულ-სომხური, თათრული უნივერსიტეტები უფრო მათი გათიშვის ბუდედ გახდებიანო.

... მარტო ამითაც არ განისაზღვრებოდა მათი არგუმენტაცია: „უნივერსიტეტის გახსნა ხომ ასე ადვილი არ არის, — ამბობდნენ ისინი ძლიერ თავაზიანათ, — მას ესაჭიროება, გარდა ათასგვარ ტეხნიკური მორთულობისა, პროფესორ-მეცნიერთა მთელი რიგი, აბა, სად შეიძლება ასე ნაუცბადევად ყველა ამ ნაკლის შევსება?“

ოზაკომის დასტური

„ბოლოს ოზაკომმა მაინც მოგვცა დასტური და მოიწონა წარმოდგენილი წინადადება“ (ჟურნალი „დამოუკიდებელი საქართველო“, 1928 წელი, პარიზი).

ამ დროისთვის გადაწყვეტილი იყო ერთი — სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის გახსნა, მაგრამ სრულ უნივერსიტეტად რომ გადაქცეულიყო, საჭირო იყო, არანაკლებ, ოთხი ფაკულტეტი — ისტორიულ-ფილოლოგიური, სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო, იურიდიული და სამკურნალო. კრებაზე, რომელიც 1917 წლის 9 ნოემბერს ჩატარდა, დადგინდა, რომ ჯერჯერობით დაარსებულიყო ერთი ფაკულტეტი — სიბრძნისმეტყველების, ანუ საფილოსოფოსო ფაკულტეტი შემდეგი განყოფილებებით: 1) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (რომელიც უდრიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ და აღმოსავლური ენების ფაკულტეტებს); 2) სამათემატიკო და 3) საბუნებისმეტყველო. რაც შეეხება სამკურნალო ფაკულტეტს, გადაწყდა, რომ „ეთხოვოს ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებას და მოსკოვის უნივერსიტეტის დოცენტს გაბრიელ გრიგოლის ძე ღამბარაშვილს, ერთად იქონიონ მსჯელობა იმის შესახებ, თუ როდის არის ახლო მომავალში შესაძლებელი, რომ ქართულ უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტი დაარსდეს“.

ივანე ჯავახიშვილის წინადადებით, უნივერსიტეტის პირველ რექტორად ცნობილი მეცნიერი, ქიმიკოსი, ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი პეტრე მელიქიშვილი აირჩიეს.

ძნელი და მძიმე გზის შემდეგ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ძალისხმევას შედეგი მოჰყვა. 1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, 1 საათსა და 20 წუთზე თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში გაიხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი.

23-ე გვერდზე

უნივერსიტეტის დაარსებისა და განვითარების ისტორია

22-ე გვერდიდან

სტუმრების მიღება და დღესასწაულის ხელმძღვანელობა ილია ჭავჭავაძის დისწულმა კოტე აბხაზმა იტვირთა.

უნივერსიტეტი აკურთხა და გზა დაულოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ მეორემ. მან თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: „სულითა და გულით ვისურვებ, რომ ამ ჩვენ ქართულ ნორჩ უნივერსიტეტში მალე გახსნილიყოს ყველა განზრახული ფაკულტეტებიც, როგორც ეს დასავლეთ ევროპაში არის მოწყობილი“ (ზ. გაიპარაშვილი „საუკუნის ნიშანსვეტი“, გვ. 107).

ხელისუფლების სახელით უნივერსიტეტის გახსნას მიესალმა უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი აკაკი ჩხენკელი, რომელიც ამ დღეს ასე იხსენებს: „ჩემთვის ძნელია მოგონება, რა ვთქვი იმ დღეს თავმჯდომარის სავარძლიდან. მახსოვს მხოლოდ არაჩვეულებრივი მღელვარება, გულის-ტოკვა, რომელიც განვიცადე... ამავე განცდას ადვილად ამოიკითხავდით სხვა დამსწრეთა სახეზედ. დიდი იყო მათი რიცხვი, ხალხს ვერ იტევდა საზეიმო დარბაზი, ვერც განიერი დერეფნები, თვით ეზოში ბევრი კანკალებდა სიცივისაგან. ამოდენა უადგილობით გაწამებულ ხალხს სხვა არ დარჩენოდა რა, გარდა იმისა, რომ ბანი დაეწია დარბაზიდან მიღებულ ვაშა-ტაშისათვის.

საყურადღებოა, რომ, გარდა მოსწავლე ახალგაზრდობისა, ბლომათ იყო მდაბიო ხალხი: მუშა, ხელოსანი, ვაჭარი... უკანასკნელი სჭარბობდნენ კიდეც პირველს. რაც შეეხება პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთ, მათ შორის არ სჩანდნენ ოფიციალური პირები. აღსანიშნავია მხოლოდ ჩვენი მეზობლების დელეგაციები, რომელთაც მოსალოცი სიტყვები წარმოთქვეს“ (ჟურნალი „დამოუკიდებელი საქართველო“, 1928 წელი, პარიზი).

გახსნის ცერემონიაზე სიტყვები წარმოთქვეს ასევე უნივერსიტეტის პირველმა რექტორმა პეტრე მელიქიშვილმა, პროფესორმა იოსებ ყიფშიძემ, ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და პოლონურ კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა. წაიკითხეს მისალოცი დეპეშებიც.

თავად ივანე ჯავახიშვილი იმ დროისთვის უნივერსიტეტში არსებული ერთადერთი – სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი გახდა.

პირველი ლექცია 1918 წლის 30 იანვარს ისტორიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა თემაზე - „ადამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ-საფილოსოფოსო მწერლობასა და ცხოვრებაში“.

უნივერსიტეტში იმ დროისთვის პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობა 18 კაცს ითვლიდა. სწავლას შეუდგა 369 სტუდენტი და 89 თავისუფალი მსმენელი.

უნივერსიტეტის დებულებით, სტუდენტად გახდომა შეეძლო ორივე სქესის მოქალაქეებს, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, რომელთაც საშუალო სკოლა ჰქონდათ დამთავრებული. სწავლება მიმდინარეობდა ქართულ ენაზე.

1918 წლის 30 მაისს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ სპეციალურად განიხილა საქართველოს მთავრობასთან უნივერსიტეტის დამოკიდებულების საკითხი. საბჭომ დაადგინა, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაქცევის შემდეგ მას „უნდა ჰქონდეს სრული ავტონომია. მთავრობას უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება და კონტროლი...

უნივერსიტეტის გამგეობა და პროფესორთა საბჭო დაუღალავად იღვწოდა ახალი ფაკულტეტების შექმნისათვის

1918 წლის 3 სექტემბრიდან საქართველოს ეროვნულმა საბჭომ უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოაცხადა და მას „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ ეწოდა. უნივერსიტეტის დამაარსებელნი ამის შემდეგაც თავგამოდებით იცავდნენ უნივერსიტეტის ავტონომიას. განათლების სამინისტროს ცდები, შეჭრილიყო უნივერსიტეტის თვითმმართველობის სფეროში, ყოველთვის ქარწყლდებოდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის აქტიური თავდაცვით.

უნივერსიტეტის გამგეობა და პროფესორთა საბჭო დაუღალავად იღვწოდა ახალი ფაკულტეტების შექმნისათვის. პირველ რიგში უნდა შექმნილიყო სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი, რისთვისაც პირველი ნაბიჯები თავიდანვე იქნა გადადგმული. 1918 წლის 10 მაისს უნივერსიტეტმა დააკმაყოფილა მოსკოვის უნივერსიტეტში „საპროფესოროდ მოსამზადებლად“ დატოვებული არჩილ ხარაძის თხოვნა ლექტორის თანამდებობაზე მუშაობის შესახებ. ასე დაიწყო მეცნიერული კადრების მოწვევა სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე.

1918 წლის 17 ივნისის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდა ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების თავმჯდომარე სპ. ვირსალაძე, გადაწყდა, მომავალი სექტემბრიდან გახსნილიყო საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო და საექიმო ფაკულტეტები.

1918 წლის სექტემბრისთვის ქართული გიმნაზიის შენობა, სადაც აქამდე უნივერსიტეტს მხოლოდ რამდენიმე ოთახი ჰქონდა დათმობილი, მთლიანად გადაეცა სახელმწიფო უნივერსიტეტს.

1918 წლის 8 ოქტომბერს უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტს გადაეცა მიხეილის საავადმყოფო, რამაც საშუალება მისცა ნორმალური ანატომიის კათედრას მოთავსებულიყო საავადმყოფოს პროზექტურაში.

უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო დარგები უზრუნველყოფდნენ სამკურნალო დარგს მთელი რიგი საერთო დისციპლინის წაკითხვით. ეს ფაკულტეტი არა მარტო ფუნდამენტური მეცნიერების განვითარების მთავარი კერა იყო, არამედ იგი გახდა საფუძველი ჯერ აგრონომიული და შემდეგ პოლიტექნიკური ფაკულტეტების ჩამოყალიბებისა.

1919 წლის 3 იანვარს პროფესორთა საბჭომ განიხილა იუსტიციის მინისტრის წინადადება იურიდიული ფაკულტეტის დაარსების თაობაზე, თუმცა სამეცნიერო ძალების ნაკლებობის გამო მისი გახსნა ვერ მოხერხდა. იურიდიული ფაკულტეტი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გაიხსნა.

1919 წლის ოქტომბერში უნივერსიტეტის წიაღში მუშაობა დაიწყო საპედაგოგო ინსტიტუტმა, რომლის მიზანი იყო პედაგოგიური მეთოდებისა და ბავშვის გონებრივ აღზრდასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა. ამავე წლის 17 დეკემბერს პროფესორთა საბჭომ უნივერსიტეტთან არსებულ საპედაგოგო ინსტიტუტის დირექტორად დაამტკიცა პროფესორი დიმიტრი უზნაძე.

არსებობის პირველ წლებში უნივერსიტეტში მუშაობდნენ არა მარტო ქართველი, არამედ რუსი და სომეხი მეცნიერებიც. ამასთან უნივერსიტეტმა კონკურსის წესით მოიწვია ევროპელი მეცნიერები, მათ შორის პირველთაგანნი იყვნენ კლერმონის უნივერსიტეტის პროფესორი ჟან ლ. ჟირო (გეოლოგიის კათედრა), რ. პ. ბლეიკი (ბიზანტიის ისტორიის კათედრა), ჰოლანდიელი მეცნიერი, პროფესორი ერენფესტი (ფიზიკის კათედრა). ჩამოთვლილ მეცნიერთაგან, გარდა პროფესორ ბლეიკისა, სამწუხაროდ, ჩამოსვლა ვერცერთმა ვერ მოახერხა.

უნივერსიტეტი საპროფესოროდ ამზადებდა ქართულ სამეცნიერო კადრებსაც. იმ დროისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მხოლოდ ერთი — მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი იყო შემოღებული. იგი უტოლდებოდა რუსეთის უნივერსიტეტების მაგისტრის და ევროპული უნივერსიტეტების დოქტორის ხარისხს.

დისერტაციის პირველი საჯარო დაცვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1920 წლის 9 მაისს, კვირას, დილის 10 საათზე, პირველ აუდიტორიაში (შემდგომ სამეცნიერო ბიბლიოთეკის დარბაზი) დაინიშნა. პირველი დისერტანტი გახლდათ — აკაკი შანიძე, რომელიც უნივერსიტეტებში მიღებული ტრადიციის თანახმად, თეთრი ხელთათმანებითა და ფრაკით წარდგა დარბაზის წინაშე. დისერტაციის თემა იყო: „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“. ოფიციალური ოპონენტები იყვნენ გიორგი ახვლედიანი და ივანე ჯავახიშვილი, რომელიც მაღალ შეფასებას აძლევდა ნაშრომს. დაცვა 6 საათს გაგრძელდა. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტმა ერთხმად მიანიჭა აკაკი შანიძეს ენათმეცნიერების დოქტორის ხარისხი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან იღებენ სათავეს ქართული უმაღლესი სასწავლებლები

1921 წელს საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც მიზნად დაისახა განათლების ძველი სისტემის ლიკვიდაცია და საერთო-სახალხო განათლების შემოღება. ეს ფუნქცია დაეკისრა დაწყებითი განათლების სისტემას. მომზადდა საფუძველი მუშათა და გლეხთა მასებში განათლების შესატანად და მუშათა რიგებიდან უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების მოსამზადებლად. ამ მიზნით 1922 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა პირველი მუშათა ფაკულტეტი.

„უმაღლესი განათლების ერთადერთ კერას ამ პერიოდში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენდა. აქ იყო თავმოყრილი სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების უდიდესი ნაწილი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან იღებენ სათავეს ქართული უმაღლესი სასწავლებლები. კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტების ბაზაზე დაარსდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1928 წ.), საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (1929 წ.) და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი (1930 წ.)...

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამავე დროს იყო პირველი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. უნივერსიტეტი აძლევდა ტონს მეცნიერების ყველა დარგის განვითარებას. უნივერსიტეტელი მეცნიერები გახდნენ შემდგომ სხვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დამაარსებელნი.

ქართულ უნივერსიტეტში დაფუძნდა არაერთი საქვეყნოდ აღიარებული სამეცნიერო სკოლა: მათემატიკის (ანდრია რაზმაძე, ნიკოლოზ მუსხელიშვილი, ილია ვეკუა, ვიქტორ კუპრაძე, არჩილ ხარაძე, ანდრია ბიწაძე და სხვ.) ფიზიკის (რაჟდენ ხუციშვილი, ელეფთერ ანდრონიკაშვილი, მათე მირიანაშვილი, ვაგან მამასახლისოვი, გივი ხუციშვილი და სხვ.); ქიმიის (პეტრე მელიქიშვილი, შალვა ცინცაძე, პეტრე ქომეთიანი და სხვა.); ფსიქოლოგიის (დიმიტრი უზნაძე, რევაზ ნათაძე, ფატი ხუნდაძე და სხვ.); ფიზიოლოგიის (ივანე ბერიტაშვილი, დიმიტრი გედევანიშვილი და სხვ.); ისტორიოგრაფიის (ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკოლოზ ბერძენიშვილი, შოთა მესხია, ვლადიმერ დონდუა და სხვ.); ლიტერატურათმცოდნეობის (კორნელი კეკელიძე); ქართული ფსიქოლოგიის (შალვა ნუცუბიძე, სერგი დანელია, მოსე გოგიბერიძე და სხვ.); ხელოვნებათმცოდნეობის (გიორგი და ნიკოლოზ ჩუბინაშვილები, შალვა ამირანაშვილი და სხვ.); ქართული ენათმეცნიერების (აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, ვარლამ თოფურია, კარპეზ დონდუა და სხვ.); იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების (არნოლდ ჩიქობავა, ქეთევან ლომთათიძე და სხვ.); კლასიკური ფილოლოგიის (გრიგოლ წერეთელი, სიმონ ყაუხჩიშვილი და სხვ.); აღმოსავლეთმცოდნეობის (გიორგი წერეთელი, სერგი ჯიქია, მაკარ ხუბუა, ვლადიმერ ფუთურიძე, კონსტანტინე წერეთელი, მზია ანდრონიკაშვილი და სხვ.).

1989 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მისი დამაარსებლის – ივანე ჯავახიშვილის სახელი მიენიჭა.

დღეს თსუ-ს ნდობას უცხადებს ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი

დღეისათვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს ამბიცია – იყოს ელიტარული საგანმანათლებლო დაწესებულება არა მარტო ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, არამედ, გახდეს ლიდერი რეგიონის მასშტაბით. 2005 წლის მაისიდან, როგორც საქართველოს უპირველესი უმაღლესი სასწავლებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მიუერთდა ბოლონიის პროცესს, რომელმაც განსაზღვრა უნივერსიტეტის განვითარების პერსპექტივები 2010 წლისთვის.

რეფორმის პროცესში, 2005 წლის მაისში არსებული 22 ფაკულტეტის ბაზაზე ჩამოყალიბდა 6 ფაკულტეტი: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ჰუმანიტარული, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის, იურიდიული და მედიცინის ფაკულტეტები. ფაკულტეტების ბაზაზე ფუნქციონირებს სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ლაბორატორიები. უნივერსიტეტში სწავლების სამი საფეხურია — ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს გაცვლით პროგრამებს სხვადასხვა პარტნიორ უნივერსიტეტებთან. ესენია: კა ფოსკარის (ვენეცია, იტალია), იენის, გისენის, ზაარლანდის (გერმანია), ტარტუს (ესტონეთი), ვილნიუსის (ლიტვა) და ლატვიის უნივერსიტეტები. გარდა ამისა, ფაკულტეტები დამოუკიდებლადაც ახორციელებენ სტუდენტთა გაცვლას სხვადასხვა უნივერსიტეტთან.

2007 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩაერთო “Erasmus Mundus“-ის გაფართოებულ პროგრამაში, რაც გულისხმობს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამების განხორციელებას.

უნივერსიტეტის პრიორიტეტული ამოცანაა ინტერნაციონალიზაცია. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხორციელებას. ამგვარი პროგრამები უკვე მუშაობს დასავლეთის წამყვან უნივერსიტეტებთან — ბერლინის, ფრანკფურტის, ოდესის უნივერსიტეტებთან, ბუდაპეშტის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტთან, მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტთან, მასაჩუსეტსის შტატის სახელმწიფო კოლეჯთან.

მიმდინარე წელს იურიდიულ ფაკულტეტზე ამუშავდა ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა კიოლნის უნივერსიტეტთან. კურსდამთავრებულები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომთან ერთად მიიღებენ კიოლნის უნივერსიტეტის დიპლომსაც.

უნივერსიტეტი აგრძელებს მისი დამფუძნებლების მიზნისკენ სვლას — გახდეს მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში ერთერთი წარმატებული უმაღლესი სასწავლებელი. ამ მიზნებზე წერდა ივანე ჯავახიშვილი: „მხოლოდ საფუძვლიანი ცოდნა მისცემს მათ (ახალგაზრდობას) შესაძლებლობას, ღირსეული ადგილი დაიკავონ საზოგადოებაში. უნდა ახსოვდეთ, რომ სიყვარულის გარეშე არ გაკეთდება არასოდეს დიდი საქმე. გულცივი, გულგრილი ადამიანი ვერ გააკეთებს ვერასოდეს დიდ საქმეს; უნდა უყვარდეს ყოველ მათგანს თავისი ხალხი, უნდა უყვარდეს მეცნიერება, უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას, რომ შეალიოს თავისი ძალა მეცნიერებასაც და ხალხსაც. სამეცნიერო მუშაობა ბედნიერებაა. ეს ისეთი ბედნიერებაა, რომელიც ყველას ხვედრს არ წარმოადგენს და ვინც ისეთი ბედნიერია, რომ ბუნებისაგან დაჯილდოებულია ნიჭით, რომ მას აქვს ნებისყოფა, აქვს აგრეთვე გატაცება, ის უნდა გრძნობდეს, რომ ვალდებულია სამაგიერო გადაუხადოს იმ ერს, რომლისგანაც ის წარმოშობილია“.

მოამზადა **მაია ტორაძემ**

გამოყენებული ლიტერატურა:

„თბილისის უნივერსიტეტი 1918 – 1968“ (თბილისი, 1968 წ.)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გზამკვლევი (2007 წ.)

ზ. გაიპარაშვილი „საუკუნის ნიშანსვეტი“ (2007 წ)

მ. ვაჩნაძე, ვ. გურული „საქართველოს ისტორია IX“ (2000 წ.)

„მეცნიერულად ღირსეული დაწესებულების“ შექმნის ისტორიიდან

ივანე ჯავახიშვილისა და გიორგი ახვლედიანის ეპისტოლარული მემკვიდრეობა

ზურაბ გაიპარაშვილი

ცნობილი ქართველი მეცნიერის გიორგი ახვლედიანის ქალიშვილმა ელენე ახვლედიანმა ახლახან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადასცა მამის ბიბლიოთეკა (7 000-მდე წიგნი) და პირადი არქივი. უნიკალური წიგნები და გიორგი ახვლედიანის ეპისტოლარული მემკვიდრეობა, რომელიც ამჟამად დამუშავების პროცესშია, მართლაც ფასდაუდებელი საჩუქარია უნივერსიტეტის პროფესორებისა და სტუდენტებისთვის, აგრეთვე, ქართული მეცნიერების ისტორიით დაინტერესებული მკვლევრებისთვის.

გიორგი ახვლედიანის კაბინეტში, საწერი მაგიდის უჯრაში, კონვერტში, გამორჩეულად შენახული იყო 2 წერილი და გიორგი ახვლედიანის უკანასკნელი ხელნაწერი „ორი მცირე მოგონება დიდ ივანე ჯავახიშვილზე“. მკითხველს ვთავაზობ ერთ წერილს, რომლის ავტორია ივანე ჯავახიშვილი, ადრესატი კი — გიორგი ახვლედიანი.

მცირე ზომის ქაღალდზე მელნით ნაწერი ბარათი პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებასთან დაკავშირებულ საინტერესო ინფორმაციას ინახავს.

ცნობილია, რომ თბილისში ეროვნული უმაღლესი სასწავლებლის გახსნის იდეას რუსეთის ხელისუფლებამ რუსული (კავკასიის) უნივერსიტეტის დაფუძნება დაუპირისპირა. ივანე ჯავახიშვილი „ამ საქმის მოთავედ და სულისჩამდგმელად“ ცნობილ მეცნიერს, საკუთარ მასწავლებელს, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორ ნიკო მარს თვლიდა. რუსული უნივერსიტეტის დაარსებას იგი განიხილავდა ავტონომიურობის დაკნინებისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის დაჩრდილვის მსგავს პოლიტიკურ აქტად, რომელსაც „მეცნიერებაში გამარუსებელი მთავრობის დაწესებულების“ ფუნქცია დაეკისრებოდა. ნიკო მარის მცდელობის შესახებ – ხელი შეეშალა ქართული უნივერსიტეტის გახსნისათვის – კარგად არის ცნობილი ქართული საზოგადოებისათვის. ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო მარის, როგორც მოსწავლისა მასწავლებლის, პატივისცემით აღსავსე, მაგრამ, ამავე დროს, პრინციპული და ღირსეული დამოკიდებულების შესახებაც ბევრჯერ დაწერილა (იხ. ს. ჯორბენაძე, „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა“, 1984 წ. „ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის მიმოწერა“, 1996 წ.), თუმცა, ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ არის ეს წერილი, სადაც სხვა მნიშვნელოვან დეტალებთან ერთად, ივანე ჯავახიშვილი ლაკონურად აფასებს რუსული უნივერსიტეტის ანტიქართულ მნიშვნელობას.

გიორგი ახვლედიანისადმი მიწერილ წერილში ნათლად ჩანს, როგორი რუდუნებით ქმნიდა ივანე ჯავახიშვილი პირველ ქართულ უნივერსიტეტს, როგორი მზრუნველობით ეკიდებოდა ახალგაზრდა მეცნიერთა დაოსტატების საქმეს.

„27 ოქტ. 1917 წელს
ტფილისი

დიდად პატივცემულო ბ-ნო გიორგი!

ორი კვირა იქმნება მას აქეთ, რაც თქვენი ღია წერილი გადმომცეს, რომელშიაც თქვენ ქართული უნივერსიტეტისა და თქვენი მომავალი მოღვაწეობის შესახებ მეკითხებოდით. აქამდის პასუხის მოცემა იმიტომ ვერ მოვახერხე, რომ ჯერ ბევრი რამ და მათ შორის ქონებრივ სახსარის რაოდენობა საბოლოოდ გამორკვეული არ იყო. ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების წესდება დამთავრებულია და იურიდიული პიროვნებაა და საზოგადოებათა სარეგისტრაციო წიგნშია შეტანილი. ქართული უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დებულებანიც სამინისტროს მიერ კარგა ხანია დამტკიცებულია, მაგრამ ჯერაც ეს დამტკიცებული ქაღალდი არ გამოუგზავნიათ ჩვენთვის. ამისი მიღების იმედიცა გვაქვს აკ. ჩხენკელის დახმარებით. უნივერსიტეტს იანვრითგან ვხსნით. ქართული გიმნაზიის შენობაში იქმნება მოთავსებული და მთელი ეს შენობა ჩვენი უნივერსიტეტის სრულ საკუთრებად იქცევა. ფულადაც ბევრი შეგროვდება: ამ ერთი წლის განმავლობაში რამდენიმე მილიონის თანხა უნდა შესდგეს ოთხ სხვადასხვა წყაროთგან. ამ თანხის სარგებელი მხოლოდ

კორნელი სანაძე, გიორგი ახვლედიანის პორტრეტი, 1964 წ.

უნდა მოხმარდეს ჩვენს უნივერსიტეტს. საქმე მეცნიერულად ღირსეული დაწესებულების შექმნაა. ამ მხრივ ყოველს ქართველ მეცნიერს დიდი პასუხისმგებლობა აწევს კისერზე. ამ ერთი წლის წინათ თქვენთან საუბრის დროს მე გაგიზიარეთ ეს აზრი და მოხარული ვარ, რომ მაშინაცა და ეხლაც თქვენ ამ დიად ეროვნულ საქმის მონაწილეობა მოისურვეთ. კერძო უმაღლეს სასწავლებლების შესახებ კანონისადა თანახმად და ჩვენი უნივერსიტეტის წესდებითაც პროფესორობა მხოლოდ სამეცნიერო ხარისხის მქონეებელს შეუძლიან. ვისაც მხოლოდ სამაგისტრო გამოცდა აქვს ჩაბარებული, ის, სანამ დისერტაციას დაიცავდეს, პროფესორის მოვალეობის აღმასრულებლად იწოდება. ეხლა რაკი თქვენ სამაგისტრო გამოცდები მთლად ჩაბარებული არა გაქვთ, ეხლავე პროფესორის თანამდებობის აღმასრულებლად ვერ აგირჩევთ, არამედ მეცნიერ ხელმძღვანელად და ლექციების კითხვას შეუდგებით. გაზაფხულზე რომ გამოცდებს დაამთავრებთ, მაშინვე პროფესორის თანამდებობის აღმასრულებლად აგირჩევთ, ხოლო თუ დისერტაციას ახლა დაიცავთ, პირდაპირ კათედრას მოგცემთ. ეხლა რაკი რუსეთში საქმეები ასე აირია და ღმერთმა უწყის მომავალი რას უქადის მას, ამიტომ ძალიან გთხოვთ ეცადოთ, რომ თუ შესაძლებელი იქმნება გამოცდები მანდვე ხარკოვში დაამთავროთ. ამით თქვენ თვითონ მოიშორებთ ამ პირველს, მაგრამ აუცილებელს საფეხურს და თვით ჩვენ უნივერსიტეტისათვისაც უკეთესი იქმნება სამინისტროს თვალში, რომელსაც უნდა პროფესორთა სია წარვუდგინოთ, რომ ხარისხისა და მაგისტრანტობის მქონებელნი მაინც ბევრნი გვყვანდეს. ეს ამას იმ შემთხვევისთვის გწერთ, თუ ეს მოსახერხებელი იქმნა. ჩვენ მთავრობის უნივერსიტეტის სახით უნდათ საქმე გაგვიძღელონ და გაგვიჭირონ. ამ საქმის მოთავე და რუსული უნივერსიტეტის სულის ჩამდგმელი ნ. მარია და ქართულ უნივერსიტეტს მეტოქეს უჩენს. დარწმუნებული ვარ, რომ არც ერთი ქართველი მეცნიერი მთავრობის რუსულ უნივერსიტეტში არ შევა და ყოველ ღონისძიებას იხმარს, რომ ქართული უნივერსიტეტი თუ უკეთესი არა, ღირსეული მეტოქე იყოს მაინც მეცნიერებაში გამარუსებელი მთავრობის დაწესებულებისა. როგორც რუს მიტროპოლიტის დანიშვნით ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დაჩრდილვა ჰსურთ, ისევე რუსული უნივერსიტეტის ტფილისში დაარსება ჩვენ ავტონომიის განხორციელების საწინააღმდეგო იარაღია. ბ-ნო გიორგი, გთხოვთ თქვენი სურვილი ქართულ უნივერსიტეტში მოღვაწეობის შესახებ და ყველა ცნობები თქვენს ეხლანდელი მდგომარეობისა და მომავალი გეგმის შესახებ წერილობით მაცნობოთ, აგრეთვე ლექციების სათაური და რამდენს საათს დანიშნავთ. თქვენ, რამდენადაც ვიცი, იკისრებთ საზოგადო და შედარებითი ენათმეცნიერების შესახებ ლექციების წაკითხვას. ამას გარდა, თუმცა ჩვეულებრივ ამ კათედრის წარმომადგენელნი სანსკრიტსაც კითხულობენ, მაგრამ ჩვენთვის უფრო მეტი მნიშვნელობა ძველ სპარსულსა აქვს და ამიტომ მე ასე ვფიქრობდი, რომ ეს ენა გაგვეხადა საფუძვლად ინდოევროპული ენათმეცნიერების შემსწავლელთათვის. ქართულისათვის ძველსა და ახალ სპარსულს უაღრესი მნიშვნელობა აქვს. თქვენ სწავლობდით ძველ სპარსულს, მომავალშიაც საშუალებას მოგცემთ, რომ დასავლეთ ევროპის საუკეთესო მეცნიერებთან თქვენი ცოდნა ამ დარგში გააღრმავოთ და ჩვენ უნივერსიტეტში მას მკვიდრი საფუძველი შეუქმნათ. რაც წიგნებისა და სახელმძღვანელოების შეძენას შეეხება თქვენი დარგისთვის, გთხოვთ, რაც მანდ მოიძებნება რუსულად ან უცხო ენებზე, მაცნობოთ სათაურები და ღირებულებაც. ფულს გამოგიგზავნით, შეიძინეთ და წიგნები აქეთ გამოგზავნეთ. ხოლო რაც საზღვარგარეთითგან უნდა იყოს გამოწერილი, ამის ნუსხა და ფასებიც შემატყობინეთ და ვეცდებით, რომ გამოვიწეროთ რამდენადაც ეხლანდელ პირობებში ეს მოსახერხებელი იქმნება. ველი თქვენს პასუხს.

ჩემი მისამართი: ტფილისი Александревская ул. д. 4 кв 2.

თქვენი პატივისმცემელი ივ. ჯავახიშვილი“

ვალენტინ შუხაევი, გიორგი ახვლედიანის პორტრეტი, 1952 წ.

მრავალი წლის შემდგომ, 1973 წელს, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე დაწერილ მოგონებაში გიორგი ახვლედიანი ასე გაიხსენებს ივანე ჯავახიშვილს:

„ჩვენი უნივერსიტეტის დაარსება, მისთვის პირველი მეცნიერული კადრების შერჩევა და მის განვითარება პირველი ათეული წლის განმავლობაში განუყრელადაა დაკავშირებული დიდი ივანე ჯავახიშვილის უკვდავ სახელთან. ჩვენთვის, მისი მომდევნო თაობის მეცნიერ მუშაკთათვის, იგი იყო ყოველმხრივ სანიმუშო. ამიტომ გვეძვირფასებოდა ჩვენ ყველას ივანე ჯავახიშვილის გვერდით დგომა და მასავით თავდადებული მუშაობა; ვუფრთხილდებოდით მის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს. ამასთანავე ჩვენ კარგად ვგრძნობდით, თუ როგორ ზრუნავდა იგი ჩვენზე.“

ასეთი თვისებებით შემკული და ურთიერთობით გამორჩეული ადამიანები ქმნიდნენ “მეცნიერულად ღირსეულ“ პირველ ქართულ უნივერსიტეტს.

P.S. ორივე ნახატი, ბიბლიოთეკასთან და არქივთან ერთად, უნივერსიტეტს გიორგი ახვლედიანის ქალიშვილმა ელენე ახვლედიანმა შემოსწირა.

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	რედკოლეგიის წევრები:	მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ. 11°
მთავარი სპეციალისტი	მაია ტორაძე	რისმაგ გორდეზიანი, ნოდარ ბელქანია, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, დიანა ძიძიგური, ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი, ბესარიონ ზოიძე, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნანა ჭიღლაძე, თეა ჯუღელი	(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე		
ფოტოკორესპონდენტი	სალომე მახარაძე		
კომპიუტ. უზრუნველყოფა	თამარ ქავჟარაძე		22 36 62